PRIME Time

N41 (239), ორშაბათი 14 ო

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲦᲣᲠᲬᲙᲐᲘᲐ: „ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲪᲠᲣᲢᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲤᲐᲠᲓᲐ ᲐᲔᲮᲓᲔᲑᲐ“

EXCLUSIVE

„ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲑᲔ᭢ᲓᲘᲚᲘ ᲕᲘᲓᲔᲝᲛᲐᲡᲐᲚᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲘ᭢ᲜᲔᲑᲘᲗ, ᲗᲣ ᲐᲛ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲐᲒᲘᲠᲔᲑᲐ“

ᲐᲓᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲡ ᲡᲝᲡᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲡ ᲐᲘ᭢ᲣᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ?

„ᲘᲗᲮᲝᲕᲓᲜᲔᲜ, ᲓᲐᲔᲬᲔᲠᲐ ᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲔᲓᲝ ᲡᲝᲡᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ, ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ ᲒᲐᲣᲡᲬᲝᲠᲓᲜᲔᲜ“

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲚᲐᲤᲐᲜᲧᲣᲠᲨᲘ ᲐᲤᲔᲗᲘᲥᲓᲐ

„ᲘᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲝᲛᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲠᲩᲐ“

„ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝ ᲤᲠᲐᲖᲐ, ᲠᲐᲪ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ „ᲓᲘᲓ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ“ ᲨᲐᲨᲙᲘᲜᲛᲐ ᲗᲥᲕᲐ, ᲘᲧᲝ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲘᲡ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ ᲥᲡᲔᲚᲘᲐ“

ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲛ ᲬᲔᲚᲡ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ 100 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ

ᲙᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲣᲮᲓᲘᲐᲜ

EXCLUSIVE

ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲢᲐᲮᲢᲘᲡ ᲘᲜᲢᲠᲘᲒᲔᲑᲘ

EXCLUSIVE

ᲕᲐᲜᲝ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲓᲐᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡ, ᲡᲝᲡᲝ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲥᲐᲠᲓᲐᲕᲐᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

EXCLUSIVE

ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ

„ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲫᲔᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲓᲘᲐ, ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲓᲐᲕᲐ ᲛᲘᲠᲗᲧᲐᲛᲓᲜᲔᲜ. ᲘᲒᲘᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲗᲥᲕᲔ ᲐᲡᲔᲗᲔᲑᲝ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲗᲔᲑᲝ, ᲠᲔᲙᲔᲢᲔᲑᲝᲝ...“

ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲕ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

EXCLUSIVE

„ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲡ, ᲘᲡᲔᲗᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲯᲔᲛᲐᲚ ᲮᲐᲮᲣᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲝᲓᲣᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲘᲔᲪᲐᲗ ᲐᲡᲬᲐᲠᲔᲑᲘ“

ᲠᲐ ᲡᲥᲔᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘᲡ ᲩᲐᲡᲐᲒᲓᲔᲑᲐᲓ

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ...“

EXCLUSIVE

„ᲔᲡ ᲡᲥᲔᲛᲐ ᲓᲐᲡᲐᲨᲕᲔᲑᲘᲐ ᲜᲐᲑᲘᲯ-ᲜᲐᲑᲘᲯ. 2015 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲙᲔᲜ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ“

ᲛᲐᲒᲗᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

MAGTI

ᲜᲘᲜᲝ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ „ᲘᲐᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ“

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲥᲛᲜᲔᲚᲐᲓ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ

26 ᲛᲐᲘᲡᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲓᲔᲡ

„ᲛᲐᲗ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔᲡ ᲡᲐᲬᲕᲘᲛᲠᲔᲑᲘ, ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲑᲣᲠᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ „ᲠᲐᲒᲐᲢᲙᲔᲑᲘ“. ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲕᲔᲡᲠᲝᲚᲝᲗ „ᲠᲐᲒᲐᲢᲙᲔᲑᲘᲗ“ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲑᲣᲠᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲕᲣᲢᲔᲮᲝᲗᲗ. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲡᲠᲝᲚᲐᲗ ᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ ᲛᲝᲔᲙᲘᲓᲔᲑᲘᲜᲐᲗ... ᲐᲛᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ...“

ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ“

EXCLUSIVE

ᲑᲔᲥᲐ ᲛᲘᲜᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲔᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜ ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲡ, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲒᲠᲝᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐᲖᲔ“

EXCLUSIVE

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲗᲐᲕᲓᲒᲘᲠᲘᲫᲔ: „ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ ᲕᲔᲠ ᲔᲠᲙᲕᲔᲕᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚ ᲫᲐᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲘᲡ ᲛᲐᲡ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ“

EXCLUSIVE

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„გარკვეულწილად ხარვეზები კვებაში ადრეც იყო“

თავდაცვის მინისტრმა ამჯერად ჯარისკაცების მოწამვლის მორიგი ფაქტი დაადასტურა. მხოლოდ მრავალჯერადი გაურკვეველი ინციდენტის შემდეგ გადაწყვიტა ალასანიამ მენეჯმენტის შეცვლა. შეცვალა და პირობაც დადო, ქართულ ჯარში აღარასოდეს არავინ მოიწამლებაო. განცხადებიდან ზუსტად რამდენიმე დღეში ისევ თავად მოუწია 7 სამხედრო მოსამსახურის მოწამვლის შემთხვევის აღიარება (არაოფიციალური მონაცემებით, მოწამლული უფრო მეტი ჯარისკაცია).

ექსპერტების განცხადებით, უწყებაში რამდენიმე სერიოზული პრობლემაა, რომელსაც თავდაცვის მინისტრი ვერ აკონტროლებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის საკითხებში ვერ ერკვევა.

გიორგი თავდგირიძის განცხადებით, ჯარისკაცების კვებას მთლიანად უნდა ჩამოშორდეს „ქართული კვების კომპანია“ წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემები არასოდეს ამოიწურება. ამის შემდეგ კი უნდა გაიზარდოს ის მინიმალური ფინანსები რაც თითოეული ჯარისკაცის გამოსაკვებად არის გამოყოფილი. თუმცა უნდა ითქვას, რომ თითო ჯარისკაცზე აქამდეც შვიდი ლარი იხარჯებოდა, მაგრამ მსგავსი სიხშირით არასოდეს იწამლებოდნენ. თავის მხრივ, „ქართული კვების კომპანია“ საკუთარ ბრალეულობას გამორიცხავს და აცხადებს, რომ მზად არის, პროდუქტებს ლაბორატორიული კვლევები ჩაუტარდეს...

გიორგი თავდგირიძე, სამხედრო ექსპერტი:

– თავდაცვის სამინისტრო და ქართული კვების კომპანია ორი დამოუკიდებელი უწყებაა. ეს უნდა აღინიშნოს თავიდანვე. თავდაცვის უწყებამ უარი თქვა ტენდერების ჩატარებაზე და პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო. თავისვე შპს-ს გადააბარა ჯარისკაცების კვება, რაც თავისთავად პრობლემურია და ასე არ უნდა იყოს. რაც შეეხება ჯანმრთელობის უზრუნველყოფას შეიარაღებულ ძალებში ყველაზე მარტივი საქმეა ტექნიკურად, ყველაზე ადვილი გასაკეთებელია. დასავლეთის ნებისმიერი ქვეყნის გამოცდილება იძლევა საშუალებას, ეს საქმე მარტივად დალაგდეს. ზოგადად, პრობლემა ყოველთვის არის იქ, სადაც არის ფინანსური სქემები. არ შეიძლება ჯარისკაცის კვება იყოს 7 ლარის ფარგლებში. თავდაცვის უწყება ეძებს იაფიან გამოსავალს, იაფიანი კი, როგორც წესი, არ არის ხარისხიანი. თუ დარჩება „ქართული კვება“, მაშინ მას აუცილებლად დასჭირდება სერიოზული ინვესტიცია. უნდა იყოს ლაბორატორიები, რომლებიც შეამოწმებენ ხარისხს, პროდუქტების მომწოდებლები, რომლებიც ორიენტირებულები იქნებიან არა იაფიანი პროდუქტის შეძენაზე, არამედ ხარისხიან პროდუქტზე. ამ ყველაფრის მოგვარება უმარტივესია, სამწუხაროდ, თავდაცვის ამჟამინდელ მინისტრს არ ესმის ეს თემა და არც სურვილი აქვს, გაიგოს. მით უმეტეს, არ ესმით საკითხი იმ ოფიცრებს, რომლებიც ამ საკითხს კურირებენ.

გიორგი თავდგირიძე: „ალასანია ვერ ერკვევა შეიარაღებულ ძალებში, საერთოდ არ ესმის მას, რა არის შეიარაღებული ძალების პრობლემატიკა“

– თუმცა ადრეც იგივე ფინანსები იყო, მაგრამ არ ხდებოდა მოწამვლა...

– რაც შეეხება ადრე რატომ არ ჩანდა ასეთი პრობლემები, ვფიქრობ, იყო შიში და ბევრი შემთხვევა იმალებოდა კიდეც. უკეთესი მდგომარეობა ძველადაც არ იყო. ახლა, როცა შიშის ფაქტორი არ არის, შესაბამისად, თავდაცვის უწყებიდან მეტი ინფორმაცია გამოდის.

– თქვენ ამბობთ, რომ ადრეც იწამლებოდნენ ჯარისკაცები და ეს არ ხმაურდებოდა?

– ხო, მე არ ვიცი, დეტალურად რამდენი შემთხვევა იყოს ასეთი, გარკვეულწილად ხარვეზები კვებაში ადრეც იყო. ადრე ამასთან დაკავშირებით ან ინფორმაცია არ გამოდიოდა, ან გამოსული ინფორმაცია არ ხმაურდებოდა.

– თქვენ ფლობთ ისეთ ინფორმაციას ჯარისკაცების მოწამვლის შესახებ, რომელიც არ გახმაურდა?

– კონკრეტულად ასეთ ინფორმაციას მე არ ვფლობ, რადგან ამას სჭირდება ოფიციალური ინფორმაცია, მე ვფლობ ჯარისკაცების მონათხრობს, ვიცი, რომ ისინი უკმაყოფილოები იყვნენ ცალკეულ ობიექტებზე კვებით. პრობლემა მარტო მოწამვლაში არ არის. ცუდი კვება ან უხარისხო პროდუქტის მიღებაც არანაკლებ სერიოზული პრობლემაა. ძველი დროიდან საშინელი კვება იყო, განსაკუთრებით საველე პირობებში და რეზერვისტების მომზადების გარკვეულ წერტილებში გამოირჩეოდნენ ცუდი კვებით. ეს პრობლემა ყოველთვის იყო, როცა საკითხი აეწყობა, უკვე შემდეგ აღარ იქნება ეს მინისტრის სადარდებელი. მაგრამ სანამ მანქანა აუწყობელია, მანამ არის ეს სერიოზული პრობლემა.

– „ქართული კვება“ მზად არის, რომ ლაბორატორიული შემოწმება ჩაუტარდეს პროდუქტებს, ისინი დარწმუნებულები არიან, რომ პრობლემა მათში არ არის... მიგაჩნიათ, რომ „ქართული კვება“ უნდა ჩამოშორდეს ამ საქმიანობას თუ მთლიანად ხელმძღვანელობა უნდა შეიცვალოს?

– ჩემი გამოცდილებით ვიტყვი, რომ „ქართული კვების“ სათავეში ვინც არ უნდა მოვიდეს, „ქართული კვება“ კარგად მაინც ვერ გაართმევს თავს ჯარისკაცის კვებას. საველე კვება არის სამხედროების საქმე, რაც შეეხება სტაციონარულ კვებას, უნდა ცხადდებოდეს ტენდერები, ოღონდ მათ უნდა გადაუხადონ არა სიიაფის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, რომ შეძლონ, უსაფრთხო კვება უზრუნველყონ. განსხვავება არის ძალიან დიდი. მარტივ მაგალითზე გეტყვით. გერმანიაში როცა „ოპელს“ მოქალაქე ყიდულობს, შვიდჯერ იაფია ის, ვიდრე მაშინ, როცა იგივე მანქანას თავდაცვის უწყება ყიდულობს. იმიტომ რომ მას აქვს გარკვეული სპეციფიკური მოთხოვნები. შეიძლება დღეში შვიდი ლარი რომელიმე საწარმოს მუშების კვებისთვის საკმარისი იყოს, მაგრამ გამორიცხულია, ჯარისკაცის კვებას ეყოს იგივე თანხა. ამიტომ მე ვფიქრობ, არა ხელმძღვანელობა უნდა შეიცვალოს „ქართული კვების“, არამედ მთლიანად „ქართული კვება“ უნდა ჩამოშორდეს.

– ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ მენეჯმენტი შეიცვალა და მსგავსი აღარ დაფიქსირდება, თუმცა სწორედ ამ განცხადების შემდეგ მოიწამლნენ ჯარისკაცები. ფიქრობთ, რომ შეიძლებოდა საერთოდაც არ შეცვლილიყო მენეჯმენტი?

– შეიძლება ალასანიას ჰქონდა სურვილი, მაგრამ ის ვერ ერკვევა შეიარაღებულ ძალებში, საერთოდ არ ესმის მას, რა არის შეიარაღებული ძალების პრობლემატიკა. აქედან გამომდინარე, მის ბრძანებას შეიძლება არ მოჰყოლოდა კონკრეტული საქმე. ხშირად ხდება ხოლმე მსგავსი რამ. შეიძლება მენეჯმენტი ქაღალდზე ლამაზი სიტყვებით შეიცვალა, მაგრამ რეალურად ის არც შეცვლილა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მაგთის გათამაშებაში

მოიგე!

2014 წლის რეინჯ როვერ სპორტი

ბინა ლისი ვერანდაზე

100 000 ლარი

მაგთის, ბანის, ბალისა და მაგთი ფიქსის აბონენტებმა გათამაშებაში მონაწილეობისათვის

დარეკეთ *599

*5990

www.magticom.ge

ნებართვა N19-03/061

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვანო მერაბიშვილის, დათა ახალაიას, სოსო თოფურიძისა და ლევან ქარდავას

ახალი სკან

მარიამ ნადირაძე

არც ჯღანაა რამე შუაში და არც სხვა „პირსისხლიანი“ მოჭიდავე...

ეს ამბავი ერთ ბიზნესმენს გადახდა, რომელიც 3 წელზე მეტ ხანს სასჯელს ქურდული სამყაროს წევრობისთვის იხდიდა. მისი ორი მეგობარი იგივე ბრალდებით ახლაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფება...

ეს არის ისტორია, რომელიც გაგვიმხელს დეტალებს იმის თაობაზე, როგორ უსწორდებოდა სააკაშვილის ხელისუფლება მოჭიდავეებს და როგორ იქმნებოდა ბრალდებები ქურდული სამყაროს წევრობაზე.

მაშ ასე, 2010 წლის 11 თებერვალი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი საზოგადოებას ამცნობს: კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: ლუკა მეგრელიძე, დამირ კირცხალია, ზურა გოგია და იოსებ სორდია, რომლებმაც მეწარმეს ქურდული სამყაროს სახელით, ძალადობისა და მუქარის გზით გამოძალეს 10 000 აშშ დოლარი. ამასთანავე, აღნიშნული თანხის სანაცვლოდ ისინი ე.წ. ქურდული სამყაროს სახელით, ჰპირდებოდნენ მისი ბიზნესის მფარველობას. დანაშაული ითვალისწინებს 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. გამოძიებას ანარმოებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

სამი წლის შემდეგ „ქურდული სამყაროს ერთ-ერთი წევრი“, ზურაბ, იგივე სოსო გოგია „პრაიმტაიმს ინტერვიუს აძლევს. თუმცა, სანამ ამ ინტერვიუს შემოგთავაზებთ, ცოტა რამ საბრალდებო დასკვნის გარშემო.

მაშინდელი სამართალდამცველებისთვის ქურდული სამყაროს წევრობის დასადასტურებლად არსებობდა ერთგვარი შაბლონი, რომელიც წერილობით ასე გამოიხატებოდა: „ის აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად, ქურდული სამყაროს მიერ დადგენილი სპეციალური წესების შესაბამისად, რითაც აღიარებს ქურდულ სამყაროს და ხელს უწყობს მის ფუნქციონირებას“. ეს შაბლონი ყველა ქვემოჩამოთვლილი ადამიანის ბრალს თან ახლავს და ოთხჯერ რომ არ გავიმეოროთ, ამის შესახებ ამიტომაც გაცნობეთ თავშივე.

„დამირ კირცხალიას წლების განმავლობაში მჭიდრო და სისტემატური კავშირი ჰქონდა „კანონიერ ქურდთან“, დავით ოდიშარიასთან, მეტსახელად „ლაკვი“, ქურდული სამყაროს აღიარებულ ავტორიტეტთან, დავით ქარსელაძესთან, მეტსახელად „კალატოზა“ და სხვა ლიდერებთან...

ლუკა მეგრელიძეს წლების განმავლობაში მჭიდრო და სისტემატური კავშირი აქვს ქურდული სამყაროს აქტიურ წევრთან, დამირ კირცხალიასთან და ქურდული სამყაროს სხვა ლიდერებთან...

იოსებ სიორდიას წლების განმავლობაში მჭიდრო და სისტემატური კავშირი აქვს ქურდული სამყაროს აქტიურ წევრთან დამირ კირცხალიასთან და ქურდული სამყაროს სხვა ლიდერებთან...

ზურაბ (სოსო) გოგიას წლების განმავლობაში მჭიდრო და სისტემატური კავშირი აქვს ქურდული სამყაროს აქტიურ წევრთან დამირ კირცხალიასთან და ქურდული სამყაროს სხვა ლიდერებთან...“

ერთი სიტყვით, ამ ჯაჭვის კომენტირებით თავს აღარ შეგაწყენთ, ვინაიდან დარწმუნებული ვართ, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ასეთი შესაშური სიმყარე, ისედაც თვალნათელი უნდა იყოს მკითხველისთვის. თუმცა, აქვე ერთი მინიშნება: როგორც უკვე ე.ნ. დამნაშავეების დაკავებისთანავე გასულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ისინი გამოძალვაზე დაიჭირეს. მოგვიანებით კი ეს ყველაფერი ნაციონალური ხელისუფლებისთვის ყველაზე საყვარელ მუხლზე, ქურდული სამყაროს წევრობაზე გადაკვალიფიცირდა. ბუნებრივია, ამას თავის მიზეზები ჰქონდა და ამ მიზეზების შესახებ ქვემოთ აუცილებლად შეიტყობთ.

მაშ ასე, პირველად მედიასივრცეში, ინტერვიუ „ქურდული სამყაროს წევრთან“, რომლის აყვანას პირადად ვანო მერაბიშვილი, სოსო თოფურიძე და ერეკლე კოდუა ესწრებოდნენ და რომელსაც დათა ახალაია, როგორც თავად ამბობს, საკუთარი ხელით გაუსწორდა:

– ეს ამბავი 2003 წელს დაიწყო. თბილისში, აფრიკისკენ ბანკ „რესპუბლიკას“ თხილის გადამამუშავებელი ქარხანა ჰქონდა. ეს ქარხანა გაუტეხავი თხილით უნდა მომემარაგებინა. ამის შესახებ უშუალოდ ლაშა პაპაშვილთანაც მქონდა მოლაპარაკება. ვინმე დიმიტრი ლორჩოშვილი შემთხვევით აღმოჩნდა ჩემს გვერდით, ახლობელმა მთხოვა, დამეხმარებინა, რადგან ახალი გამოსული იყო ციხიდან. მოგვიანებით მან თავისი ძმა, ზაზა დაასაქმა ამავე ბიზნესში. მართალია, ერთი წლის შემდეგ მე საქმიანობა სხვა ჯგუფთან ერთად გავაგრძელე, მაგრამ მათ ჩემი ვალი ჰქონდათ 20 ათასი დოლარი, რომელიც სხვისგან ვისესხე და მათ საქმეში ჩავუდე. როცა შევხვდებოდი, ვახსენებდი ხოლმე.

– ეს ვალი როგორ დაუგროვდათ?

– იმ ქარხანას კონკრეტული ჯიშის თხილი სჭირდებოდა. თუკი სხვა თხილსაც მოიტანდა გლეხი, ისინი ამას იაფად ყიდულობდნენ, მაგრამ ამისთვის ფული არ ჰყოფნიდათ და მე ვაძლევდი. ბოლოს ასე 20 ტონამდე თითა თხილი დაგროვდა. მე ფული საქმიდან არ გამომქონდა, იქვე ვტოვებდი, საქმის გასავითარებლად. როდესაც ქარხანასთან ურთიერთობა შევწყვიტე, დავსხედით, ვიანგარიშეთ და ეს თანხა გამოვიდა. მას მერე, რომელიც შემხვდებოდა, იმას ვახსენებდი, რომ ფული ჰქონდათ მოსაცემი. მგონი, არაფერი იყო ამაში კრიმინალური, ჩემს ფულს ვითხოვდი ადამიანებისგან, რომელთანაც საკმაოდ ახლობლური ურთიერთობა მქონდა, ერთ-ერთი ძმის ქორწილში თამადა ვიყავი, ბავშვი უნდა მომენათლა, ბინა ვაყიდვინეთ, რამე რომ გაუჭირდებოდათ, ყოველთვის გვერდით ვედექი. ბოლოს კი მათვე მიჩიენეს და ციხეში ჩამსვეს. თურმე ჩემამდე ბევრისთვის გაუკეთებიათ ასეთი რამ... ერთხელ თბილისში, მეგობრის სახლში ვიყავი, დამირ კირცხალიასთან. ბავშვობიდან ვმეგობრობდით, ერთად ვჭიდაობდით. ლუკა მეგრელიძეს მანამდე არ ვიცნობდი, დამირასთან გავიცანი, მისი მეზობელი იყო. იმ უბანში შემთხვევით შევხვდი ერთ-ერთ ლორჩოშვილს. აღმოჩნდა, რომ იმავე ქუჩაზე ჰქონდათ მაგათ პურსაცხობი, სადაც ჩემი მეგობარი დამირი ცხოვრობდა. როგორც ყოველთვის, ახლაც შევახსენე ფულის თაობაზე. თან ახალი საქმე მქონდა დაწყებული, შუა აზიაში ვაპირებდი წასვლას ჩემს მეგობართან სოსო სიორდიასთან ერთად, რომელმაც მანქანა გაყიდა ამ საქმეში ჩასადებად. ჯარს პროდუქტით რომ ამარაგებდა გეგენავას კომპანია, ის უნდა მოგვემარაგებინა ხახვით, ლობიოთი და ა.შ. ლორჩოშვილს ვუთხარი, ძალიან მჭირდება ახლა ფული და 10 ათას დოლარს თუ მომიტან, დანარჩენი 10 ათასი არ მინდა-მეთქი. მითხრა, ჩემს ძმებს დავურეკავ და შეგატყობინებ, 3 ან 5 დღეში გადმოგირეკავო. ამის მერე დამავიწყდა კიდეც ეს ამბავი. 10 თებერვალს დამირეკა დამირ კირცხალიამ, ვიღაც ლორჩოშვილი სამი დღეა თურმე მეძებსო და იქნებ მოხვიდეო. თურმე ეს ლორჩოშვილი ამ ჟუჩოკებით რომ დადიოდა, დამირი სახლში არ ხვდებოდა და შეუპატიჟებია მის მეზობელს, ლუკა მეგრელიძეს. ამასაც მოუყოლია, სოსო გოგია ფულს მთხოვს. გადავიხდი, მაგრამ დამირის ნახვა მინდაო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, იმათ დამირი სჭირდებოდათ. ხომ იცოდნენ ჩემი მეგობარი იყო, თან მოჭიდავეები ვიყავით. გახსოვთ, ალბათ, მოჭიდავეების საქმე როგორ ყელში ჰქონდა გაჩხერილი იმ ხელისუფლებას... პირველ ჩვენებაში ეს ე.წ. დაზარალებული არც მეგრელიძეს ახსენებდა და არც სიორდიას. წერდა, რომ თითქოს ჩემმა ძმამ, პოლკოვნიკმა კაცმა გამოიყვანა ის საცხობიდან, მოიყვანა დამირთან, სადაც დავხვდი მეც და მოვთხოვე ფული. ბოლოს სპეცოპერაციის დროს შემთხვევით ადგილზე სიორდია რომ არ ყოფილიყო, მეოთხე კაცად ჩემს ძმას დაიჭერდნენ. მერე დაჭერის დროს ადგილზე ჩემი ძმა რომ არ აღმოჩნდა, მას ჩვენება გადააკეთებინეს და დააწერინეს, სადაც ალიკა გოგია მყავს ნახსენები, სიორდიას ვგულისხმობდი, ვნერვიულობდი და შემეშალაო.

– თქვით, რომ 10 თებერვალს დამირ კირცხალიამ დაგირეკათ. იმავე დღეს მოხდა თქვენი აყვანა, არა?

– კი, ასე იყო. დილით ეს ლორჩოშვილი დამირმა შემახვედრა. მაშინ უკვე ჟუჩოკებით ყოფილა. მეუბნებოდა, ბანკიდან სესხს ვიღებ და იმ ფულს გადაგიხდი, მაგრამ ხომ იცი, ვალი არ არისო. როგორც ჩანს, ასე უნდა ეთქვა ჩანაწერისთვის. ეტყობა, ჩემი აგდება უნდოდა, რომ შემეგინებინა, ან ხელი დამერტყა. მეც და დამირმაც ვუთხარით, თუ ვალად არ თვლი, არ გადაიხადო, საერთოდ-მეთქი. არ მინდა, ჩემს ძმებს დავურეკო და სიტუაცია გავამწვავოო. მაშინ ვუთხარი, დაურეკე და დავილაპარაკოთ, სად არიან ის ქურდები, შენი ძმა რომ მთავაზობდა მათთან ერთად დალაპარაკებას-მეთქი...

– ქურდებთან დალაპარაკებას ისინი გთავაზობდნენ?

– დიმიტრი ლორჩოშვილი მთავაზობდა პირადად. ეს ის ერთ-ერთი ძმაა, რომელიც ორჯერ არის ნასამართლევი – ერთხელ ყაჩაღობისთვის, მეორედ – ქურდობისთვის... ამ ზაზა ლორჩოშვილმა მითხრა, ბანკმა შეიძლება 8 ათასი მომცეს, შეიძლება 5 ათასიო. ვერც ამაზე ამაგდო. ვუთხარი, რამდენსაც მოგცემენ, მოიტანე-მეთქი. მერე მითხრა, შეიძლება 5 დღეში მომცენ, შეიძლება ერთ თვეშიო. მეც ვუპასუხე, როცა მოგცემენ, მაშინ მოიტანე-მეთქი... რომ ვერაფერზე წამომიკიდა, მერე ისევ გამიმეორა, ხომ იცი, ვალი არ არისო. ვუთხარი, საერთოდ არ მინდა ეს ფული, შენს ძმებს დაუძახე და დავილაპარაკოთ-მეთქი. ასე დავშორდით ერთმანეთს. იმ დღეს შუა აზიიდან სტუმრები მყავდა. პარტნიორებთან ერთად დავილაპარაკეთ და სტუმარი წავიყვანე სახლში ჩემი მანქანით. სოსო სიორდიაც მახლდა. ამ დროს ისევ დამირეკა ზაზა ლორჩოშვილმა, ბანკში ვარ, ფულს დღესვე მაძლევენ და სად გნახოო. მეც ვუთხარი, რაკი დამირასთან მიმიყვანე და მასთან გინდოდა ამის მოგვარება, მასთანვე მომიტანე-მეთქი.

– იმან როგორ მიგიყვანათ დამირთან?

– თვითონ ხომ მიაკითხა მას ამ საკითხის მოსაგვარებლად? როგორც ჩანს, ასე აწყობდა კუდს, რომ ბევრი ადამიანი ჩაერია ამ საქმეში, რომ ორგანიზებული დანაშაულის სახე მიეცათ ამ ყველაფრი-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მენის საჩივარი შევიდა

EXCLUSIVE

დალური საქმე

სთვის... საღამოს შვიდის ნახევარი იყო უკვე...

– რომ თანამშრომლობდა არ გიეჭვიათ?

– არ მიეჭვია, რადგან ამის საფუძველი არ მიმიცია, არც ხელი დამირტყამს და არც იქით მიძებნია. სოსო სიორდია შემთხვევით გამომყვა კირცხალიასთან, მაინც ვარკეთილში მიდიხარ მერე და მეც გამოგყვებიო. ის აბსოლუტურად შემთხვევით მოხვდა ამ გაუგებრობაში. როდესაც დამირის ეზოში შევედი, სოსო მონოს საყიდლად გადასულა მაღაზიაში, იქიდან დაბრუნებული „სპეცნაზმა“ მაშინვე დაიჭირა. მის მაგივრად 5 კაცი რომ ყოფილიყო ჩემს მანქანაში, მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაინც ყველას დაიჭერდნენ.

– კირცხალიას სახლში რა მოხდა?

– ლორჩოშვილმა საათ-ნახევარი დაიგვიანა. მე მანქანაში დატოვებულ მეგობარს დავურეკე, ის აღარ მოდის და გამოვდივარ-მეთქი. როგორც ჩანს, ისმენდნენ ჩვენს საუბარს. უკვე ეზოში ვიყავი, როცა ლორჩოშვილმა დამირეკა, უკვე გზაში ვარო. მალევე მოვიდა და სახლში ერთად შევედით. სამი წუთი არ იყო გასული, დამირის მეზობელი შემოვიდა, მეგრელიძე. ლორჩოშვილმა ფული დადო, ორი შეკვრა 50-იანების. თან გამიმეორა, ხომ იცი, ეს ვალი არ არისო. ბიჭო, რამდენჯერ გაგიმეორო, თუ ვალად არ თვლი, არ მინდა-მეთქი. არა, მირჩევნია, გადავიხადოო. ამ საუბარში ვიყავით, ტელეფონმა დაურეკა. ამ დროს გარეთ ოპერაცია უკვე დაწყებული ჰქონიათ და სიორდიაც დაჭერილი ჰყავდათ, მგონი. ამან უპასუხა, გამოვდივარო. მადლობა გადავუხადე, ხელი ჩამოვართვი, ისიც ვუთხარი, ყველაფერი დავივიწყოთ, ვიახლობლოთმეთქი, სახლში წაყვანაც შევთავაზე. არა, მეჩქარებაო. ჭიშკრამდე მივაცილეთ მე და კირცხალიამ. შემოვტრიალდით, ფულს მოვკიდე ხელი, რეზინიც არ მქონდა მოხსნილი, ფეხის ხმა შემომესმა, მივხვდით, რომ რაღაც ამბავი იყო ჩვენს თავს და ინსტინქტურად გავიქეცით, სახურავზე ავირბინე, იქ დამიჭირეს.

– ვინ ჩაატარა სპეცოპერაცია?

– უამრავ „სპეცნაზელთან“ ერთად მოსული იყო დათა ახალაია, თვითონ მირტყამდა. მაგის გარდა, მოსული იყო ლევან ქარდავა, სოსო თოფურიძე, ერეკლე კოდუა.

– თოფურიძეც გირტყამდათ?

– არა, თოფურიძეს ხელი არ დაუდია, ახალაია და ქარდავა მირტყამდნენ. იგინებოდნენ, თქვე ასეთებო და ისეთებო, რეკეტებოო... არადა ჩემს სანათესაოში პატიმარი არ გვყოლია. პირველი მე ვიყავი. ციხეში რომ დამიჭირეს, დედაჩემი სამი წელი სახლიდან არ გასულა. დამირსა და სოსო სიორდიას მამები გარდაეცვალათ, სანამ დაპატიმრებულები ვიყავით. ორივეს სისხლი ჩაექცა. თვითონ დამირ ლორჩოშვილი ორჯერ იყო ნასამართლევი, ერთხელ ყაჩაღობაზე და ერთხელ ქურდობაზე...

– ასეთი კალიბრის „ავტორიტეტები“ იყავით, კუდ-ისა და სოდ-ის პირველი პირები რომ დაესწრნენ თქვენი აყვანის ოპერაციას?

– ესენი კი არა, ბოლოს მესამე სართულზე ამიყვანეს, სადაც მინისტრი დამხვდა. მერაბიშვილი მეკითხებოდა, აღიარებ დანაშაულსო? არა-მეთქი. აბა, ეს ფული რა არისო? ვალი მომიტანეს-მეთქი. ხედავ, რა დღეშია კიდევო? – ვიღაცას უთხრა. ჰკითხეს, ბატონო მინისტრო, რა ეკუთვნის ამათო? 15-15 ნელი სულ ყველასო. მე ვეუბნებოდი, ამ ხალხს რატომ ღუპავთ, არაფერ შუაში არ არიან, ვალი მე დამიბრუნეს-მეთქი. მერე ჩამომიყვანეს ქვემოთ მეც და ლუკა და დამირიც. ორივე მაგარი ნაცემი იყო. მერე, ტელევიზიით გადასცეს ჩვენი აყვანა, კალატოზას დაჯგუფებააო. კალატოზა საერთოდ რა შუაში იყო? ხომ იცით, მაშინ როგორ აჩვენებდნენ ხოლმე ასეთი ტიპის საქმეებს, ტექსტებს ადებდნენ ტიტრებად. ჩვენი ჩანაწერებიდან, როგორც ჩანს, თვითონვე ვერაფერი ამოყარეს.

– კალატოზას იცნობთ?

– ერთად ვჭიდაობდით, მაგრამ 1991 წლის მერე აღარ მინახავს, რაც სპორტიდან წავიდა. ჩემთან სხვებიც ჭიდაობდნენ, რომლებიც მერე მინისტრებიც გახდნენ. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვიყავი და ამ მასშტაბით ვიცნობ მოჭიდავეებს. ეს რამე კრიმინალია? ის კი არა, საქმეში ჩამიდეს ლაკვი ოდიშარია, რომელიც 2002 წელს გარდაიცვალა. 9 დედმამიშვილი იყვნენ და მათგან ორი ჩემთან ვარჯიშობდა. ეს ლაკვი ოდიშარია პირველად და უკანასკნელად ვნახე მაშინ, კუობში რომ ესვენა. ამათ კი საქმეში ჩამიწერეს, რომ თითქოს 2005 წელს ლაკვი ოდიშარიასთან მნახეს, თითქოს მასთან ერთად ფულს „ვტეხავდი“ და საქმეებს ვაკეთებდი. არადა ამ დროს კაცი 3 წლის გარდაცვლილი იყო.

– რამდენი მოგისაჯეს?

– პროკურორმა სიორდიასთვის ხუთ-ნახევარი წლით მოითხოვა თავისუფლების აღკვეთა, ჩემთვის და მეგრელიძისთვის – ექვს-ნახევარი წელი, დამირ კირცხალიასთვის – 7 წელი. მოსამართლემ ყველას დაგვაკლო ნახევარი წელი. ციხეში რომ შემოიტანეს ჩვენი საქმეები, სიორდიას ისევ ხუთ-ნახევარი წელი ეწერა, რაც პროკურორმა მოითხოვა. მას მოსთხოვეს, რომ ჩემზე დაედასტურებინა, თითქოს ქურდული სამყაროს წევრი ვიყავი. სოსომ ეს არ გააკეთა. თქვენ წარმოიდგინეთ, ქურდული ტრადიციების მატარებლის მუხლით 2010 წელს გლდანში რომ მოხვდებოდი და თანაც არც ერთი არ ვაღიარებდით, რა დღეში ჩაგვაგდებდნენ.

– რა დღეში ჩაგაგდეს?

– რა ხდებოდა იქ მაშინ, უკვე მთელმა მსოფლიომ იცის. 2012-ში, მე რომ წამოვედი, მერე, საერთოდ, საშინელებები დაწყებულა გლდანში. კირცხალიას პროკურორი გადაეკიდა, შელაპარაკება მოუვიდათ პროცესზე და იქვე საჯაროდ დაიგინა, გავამწარებო. დამირი 2 წელი და 4 თვე გააჩერეს გლდანში, იმ პირობებში.

ეს ინტერვიუ ჩვენს მკითხველს ისტორიის, რა თქმა უნდა, შინაარსობრივ ნაწილს გადასცემს. რაც შეეხება სამართლებრივ ნაწილს, ამის შესახებ ზურაბ გოგიას ინტერესების დამცველი, ირაკლი კერესელიძე მოგახსენებთ:

– ამ შემთხვევაშიც, როგორც სხვა ბევრ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა „დამნაშავის“ სელექციურ აყვანას. ხდებოდა არა დანაშაულის გამოძიება, არამედ პიროვნების არჩევა და დანაშაულის მიკერება, რომლის ერთ-ერთი კლასიკური მაგალითიც ეს ისტორიაა. ლორჩოშვილის ჩვენება, რომელიც განაჩენშია აღნიშნული, რა თქმა უნდა, ისეა შეცვლილი, როგორც გამოძიებას სჭირდებოდა, მაგრამ აქაც კი ე.წ. დაზარალებული აღიარებს, რომ ზურაბ გოგიასთან ჰქონდა თხილის ბიზნესი. წარმოგიდგენიათ ქურდული ავტორიტეტი, რომელიც ასეთი ბიზნესით არის დაკავებული? ასეთი რამ აბსურდია. ახლა კი ყველაზე საინტერესო დეტალის შესახებ: პირი, რომელიც კუდ-ის ოპერაციას ხელმძღვანელობდა, ბატონი უკლება და ბატონი ლორჩოშვილი არიან თანაკურსელები. ამას გიდასტურებთ დოკუმენტით, რომელიც მოგიტანეთ და თავად ნახეთ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1993 წლის ბრძანება, რომლითაც კურსდამთავრებულებს ენიჭებათ იურისტის კვალიფიკაცია. აქ მე-17 ნომრად ხედავთ, რომ წერია ზაზა ვიტალის ძე ლორჩოშვილი, მე-10 ნომრად კი – გიორგი თეიმურაზის ძე უკლება.

– ეს დანაშაულია?

– დანაშაული ის არის, რომ ყველა ეტაპზე ისინი უარყოფენ ერთმანეთის ნაცნობობას.

– და თუ დადასტურდება მათი ეს კავშირი, მაშინ რა ხდება?

– უკლებას თვითაცილება უნდა მიეცა. ამაში ვლინდება პირადი დაინტერესება.

– რამდენადაც ვხვდები, თქვენ ცდილობთ, ბრალდება დაშალოთ...

– რა თქმა უნდა, რადგან აღარ ეღირსა სამართლებრივი ხარვეზების შესახებ კანონს მიღება და მგონი, არც არასდროს მიიღებენ.

– მაგრამ პროკურატურას ახალი გარემოება დასჭირდება.

– საქმეში ბევრი ახალი გარემოებაა და მათ შორის ერთ-ერთი სწორედ ის დოკუმენტია, რაც თქვენ წარმოგიდგინეთ. გარდა ამისა, ჩვენ მივუთითებთ კონკრეტულ კრიმინალზე სამართალდამცველების მხრიდან, როცა მოხდა დანაშაულის დაბრალება. პროკურატურა ვალდებულია, ეს დანაშაული გამოიძიოს და თუ ეს ასე არ არის, უნდა დაასაბუთოს. სხვა შემთხვევაში ნებისმიერი შეიძლება გაასაღონ ქურდული სამყაროს წევრად ამ მუხლის ასეთი დეფინიციით, მათ შორის მეც, რომელიც მართლა ვიცნობ ცოცხალ ქურდებს და მათგან ზოგიერთის ადვოკატიც ვარ. საერთაშორისო სამართალში არის ტერმინი – ბრალი ასოცირებიდან გამომდინარე. მიიჩნევა, რომ ეს ყველაზე დაბალი დონის სამართლებრივ კულტურაშიც კი არ გამოიყენება. მაგალითად, თუ სადღაც აღმოსავლურ პროვინციაში ქალი იმის გამო ჩაქოლეს, რომ ქმარმა მის ერთგულებაში ეჭვი შეიტანა, ქოლავენ მის დებსაც. ასეთივე ასოციაციით იკერებოდა საქმეები. გამოდის, რომ, თუ მე ვიცნობ „კანონიერ ქურდს“ და პატივს ვცემ მას, მე ვიზიარებ ქურდულ წესებს და 223-ე პრიმა მუხლით 5-დან რვა წლამდე კარგად მეყოლეთ...

ერთი სიტყვით, მკითხველი ისტორიაში უკვე გაერკვა. ახლა ჯერი პროკურატურაზეა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ზურაბ გოგიას საჩივარი უკვე მიიღო. თუმცა, სანამ სამართლებრივი პროცესები განვითარდება და გარკვეულ შედეგამდე მივა, ორი მეგობარი კვლავაც რჩება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, როლებიც „ნაციონალური სამართლის“ მიხედვით მეზობლობისა და მეგობრობის გამო ქურდული ტრადიციების მიმდევრობისთვის გასამართლდნენ.

ირაკლი კერესელიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სინოდის სხდომის პოლ

ერეკლე სტურუა

თავის დროზე, როცა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გაერთიანებულმა ოპოზიციამ ერთობის აზრი ვეღარ დაინახა, დამოუკიდებლად განაგრძო პოლიტიკური საქმიანობა, თუმცა შეეცადა, შიდადაპირისპირება ლამაზი სიტყვებით შეეფუთა. მახსოვს, ლევან ბერძენიშვილმა თქვა: ჩვენ კი არ დავიშალეთ, გავიშალეთო. უხერხული პარალელია, მაგრამ გასულ კვირას საპატრიარქოში გამართული წმინდა სინოდის სხდომიდან გამოსულმა მღვდელმთავრებმა რატომღაც ბატონი ლევანი და მისი სიტყვები გამახსენა. რატომ? სინოდის სხდომის დაწყებამდე უკვე აქტიურად მუსირებდა აზრი, რომ უმაღლესი რანგის სასულიერო პირების შეკრებაზე რამდენიმე მღვდელმსახურს პენსიაზე გაუშვებდნენ. მოლოდინი გამართლდა კიდეც. სინოდმა ფშავ-ხევსურეთისა და თიანეთის მიტროპოლიტ თადეოზსა და ზესტაფონისა და მარგვეთის მიტროპოლიტ ვახტანგს ეპარქიები ჩამოართვა, თუმცა იქვე ცნობილი გახდა რამდენიმე ეპარქიის განცალკევების, ანუ „დაშლა-გაშლის“ ამბავიც.

წმინდა სინოდის სხდომას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე უძღვებოდა. სხდომის მდივანი კი სამთავისისა და გორის მიტროპოლიტი ანდრია გვაზავა გახლდათ. როგორც მღვდელმთავრებმა სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ აღნიშნეს, საქართველოს მოქმედი ეპარქიების რიცხვი ექვსით გაიზარდა. 7 სასულიერო პირი კი მღვდელმთავრის ხარისხში აიყვანეს.

წმინდა სინოდის გადაწყვეტილებას ეპარქიების დაყოფისა და მღვდელმთავრების დათხოვნის შესახებ თეოლოგი ბექა მინდიაშვილი საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი პოზიციისთვის ბრძოლას უკავშირებს. მინდიაშვილი განმარტავს, რომ აღნიშნულის განხილვა შესაძლებელია პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლის კონტექსტში, ეპისკოპოსების გამრავლება კი ხელს აძლევს გავლენიან მიტროპოლიტს და პატრიარქის ძმისშვილს დიმიტრი შიოლაშვილს, „ვინადან ამით ეს კანდიდატი იძლიერებს პოზიციებს ბრძოლის ასპარეზზე“.

ფშავ-ხევსურეთისა და თიანეთის მიტროპოლიტი თადეოზი

მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი

ზესტაფონისა და მარგვეთის მიტროპოლიტი ვახტანგი

ბექა მინდიაშვილი: „ეს ხელს აძლევს ერთ-ერთ გავლენიან მიტროპოლიტს, დიმიტრი შიოლაშვილს იმისთვის, რომ პოზიციები გაიმაგროს საპატრიარქო ბრძოლის ესტაფეტაზე“

ბექა მინდიაშვილი

ბექა მინდიაშვილი, თეოლოგი:

„ორი წლის წინათ დადგა ეს საკითხი და მაშინ გავრცელდა წერილი, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ ეს არის პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლის კონტექსტში განსახილველი საკითხი. გაყოფა ეპარქიებისა, ერთი მხრივ, და ეპისკოპოსების გამრავლება, ხელს აძლევს ერთ-ერთ გავლენიან მიტროპოლიტს დიმიტრი შიოლაშვილს, იმისთვის რომ პოზიციები გაიმაგროს საპატრიარქო ბრძოლის ესტაფეტაზე. როგორც ჩანს, მაშინ ეს ვერ განხორციელდა და სწორედ ახლაა ეს პროცესი. შემიძლია ვარაუდი გამოვთქვა, რომ ამით ერთ-ერთი კანდიდატი იძლიერებს პოზიციებს სამომავლო ბრძოლის ასპარეზზე. არ გამოვრიცხავ, რომ მსგავსი გადაწყვეტილებები კიდევ იხილოს საზოგადოებამ. თუკი ადამიანები, რომლებიც ამ საქმით არიან დაკავებულები და ხმებს ითვლიან, რომელ ეპისკოპოსს რამდენი ხმა აქვს, საჭიროდ ჩათვლიან ახალი ეპისკოპოსების დამატებას, ეს მოხდება, რა თქმა უნდა. ეს არის ერთ-ერთი ძლიერი პოზიციისთვის ბრძოლა საქართველოში, თუ ყველაზე ძლიერი პოზიციისათვის – არა. შესაბამისად, ბრძოლა ამ პოზიციის დაკავებისთვის იქნება სერიოზული“, – განაცხადა ბექა მინდიაშვილმა

ფშავ-ხევსურეთისა და თიანეთის ეპარქიის აწ უკვე ყოფილი მეთაური თადეოზი ამბობს, რომ პენსიაზე საკუთარი სურვილით გავიდა, მეუფე ვახტანგის თქმით კი, „ეს მისი გადაწყვეტილება არ ყოფილა“.

„ძალიან მშვენიერი და საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღო სინოდმა“, – განაცხადა ვახტანგ ახვლედიანმა, თუმცა აღნიშნა, რომ პენსიაზე საკუთარი გადაწყვეტილებით არ წასულა. მართალია, მას არ დაუკონკრეტებია, ვისი ინიციატივა გახლდათ პენსიაში გაშვება, თუმცა უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ მეუფე ვახტანგს ადგილობრივი მრევლი უპირისპირდებოდა და მას მღვდელმსახურისთვის შეუფერებელ ქცევაში სდებდა ბრალს.

სინოდის ბოლო სხდომა პოლიტიკური ქვეტექსტებისგან თავისუფალი რომ არ იქნებოდა, ამას მოწმობს ის ინფორმაციაც, რომელიც სხდომის დაწყებამდე ვრცელდებოდა. კერძოდ, პენსიაში გასაშვებთა შორის სახელდებოდა ქუთათელ გაენათელი მიტროპოლიტი, მეუფე კალისტრატეც, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის მეგობრად მიიჩნევა. როგორც ჩანს, სწორედ პოლიტიკური სპეკულაციების თავიდან ასაცილებლად სააკაშვილის მხარდამჭერი მეუფე კვლავ მღვდელმთავრის სტატუსს ინარჩუნებს, თუმცა საპატრიარქოში გავლენები გაიფართოეს სხვა პოლიტიკური ძალის მომხრე მღვდელმთავრებმა. მაგალითად, რუის-ურბნისის ეპარქიის წინამძღოლი მეუფე იობი ცნობილია „ქართული ოცნებისადმი“ მისი ღიად გამოხატული სიმპათიით. წინასაარჩევნოდ ის „ოცნების“ მიტინგებზეც ჩნდებოდა. მეუფე იობს სინოდის გადაწყვეტილებით სურამი-ხაშური გამოეყო და ის ცალკე ეპარქიად ჩამოყალიბდა, თუმცა ახალ ეპარქიას მისივე აღზრდილი, მამა სიმონ ცაკაშვილი უხელმძღვანელებს. ახალი მეუფეც ცნობილია თავისი პოლიტიკური აქტივობით... ის გახლდათ ერთ-ერთი იმ სასულიერო პირთაგან, რომელიც საპარლამენტო არჩევნების დროს ღიად უპირისპირდებოდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და ხაშურის საარჩევნო უბანს პირადად იცავდა. მეუფე იობის გარემოცვიდანაა მარნეულის ეპარქიის ახალი წინამძღოლი გიორგი ჯანდელიანიც. წალკის ეპარქიას კი ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული მიტროპოლიტის, მეუფე იაკობის ყოფილი მრჩეველი, ფოკას ყოფილი წინამძღვარი მამა იოანე შომახია ჩაიბარებს.

პენსიაში გასული მეუფე თადეოზი და ვახტანგი კი სინოდის წევრებად რჩებიან, თუმცა ეპარქიების გარეშე. საბოლოოდ აქამდე არსებული 39 ეპარქიას კიდევ 6 დაემატა და დღეიდან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სულ 45 ეპარქია ექნება. წმინდა სინოდის მიერ შვიდი ახალი მღვდელმთავრის კურთხევა ტრადიციულად სვეტიცხოველში მოხდება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რომელი პოლიტიკური ჯგუფები იფართოებენ გავლენებს საპატრიარქოზე?

„ვისოლმა“, მთელ ქსელში, საწვავის მიწოდების უახლესი ტექნოლოგია დანერგა

მაქსიმალური კომფორტი მინიმალურ დროში... კიდევ ერთი სიახლე „ვისოლ ჯგუფისგან“ ერთგულ მომხმარებელს. კომპანიამ ავტოგასამართი სადგურების მთელ ქსელში, პირველად საქართველოში, საწვავის მიწოდების უახლესი ტექნოლოგია-ავტომატიზაციის სისტემა დანერგა, რომელიც საწვავის ხარისხის კონტროლისა და 100% სიზუსტით მიწოდების დამატებითი მაღალტექნოლოგიური გარანტიაა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხორავამ განაცხადა, საწვავის მიწოდების უახლესი სისტემის დანერგვით „ვისოლს“ საშუალება აქვს მომსახურების სისწრაფეც გაზარდოს და მომხმარებელს დამატებითი კომფორტი შეუქმნას.

ვასილ ხორავა: - ვისოლი ინოვატორია საქართველოს ნავთობსექტორში. მოხარული ვართ, რომ კიდევ ერთი მაღალტექნოლოგიური სერვის პროდუქტის შეთავაზება შევძელით, რომელიც საწვავის ხარისხის კონტროლისა და 100% სიზუსტით მიწოდების დამატებითი გარანტიაა. ავტორიზაციის სისტემის პროექტის შემუშავებასა და დანერგვაზე 4 წელი ვიმუშავებთ, შესაბამისად, მაღალტექნოლოგიური სისტემა რომელიც ამერიკულ კომპანია GILBARCO-სთან ერთად შევქმენით, საქართველოში სრულიად უნიკალური და ინოვაციურია. ავტორიზაციის სისტემა უახლოეს მომავალში საშუალებას მოგვცემს საქართველოში ფართოდ დავნერგოთ თვითმომსახურების ავტოგასამართი სადგურებიც.

განვითარებისთვის აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიები. ბუნებრივია, ჩვენ გვინდა თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველვყოთ ჩვენი მომხმარებლის მომსახურება. საწვავის მიწოდების უახლესი სისტემა ჩვენი ავტოგასამართი სადგურის მთავარი ტვინია. დაახლოებით 2-3 მილიონ ლარამდე ადის ეს ინვესტიციები, რომელიც „ვისოლმა“ ამ მიმართულებით განახორციელა.

- რამდენ ბენზინგასამართ სადგურზე დგას ეს აპარატი?

- დაახლოებით 70%-ზე. უახლოეს პერიოდში, ჩვენი ყველა ბენზინგასამართი სადგური ამ აპარატით აღიჭურვება.

აპარატის უნიკალურობაზე საუბრობს კომპანია „ვისოლის“ ხარისხის კონტროლის მენეჯერი და ექსპერტი ბესარიონ მამისაშვილი.

ბესარიონ მამისაშვილი: „ეს გახლავთ ამერიკული კომპანია GILBARCO -ს წარმოების ავტომატიზაციური ულტრათანამედროვე სისტემა, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ გააჩნია. ამ აპარატის საშუალებით ხორციელდება ხარისხის კონტროლი, ჩასხმის სიზუსტის კონტროლი. რაც ყველაზე მთავარია, ეს აპარატი იძლევა საშუალებას შემცირდეს მომსახურების დრო“.

„ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურები ყველაზე ფართო არჩევანს სთავაზობს მომხარებელს. „ვისოლი“ ინოვატორია საქართველოს ნავთობსექტორში. 2001 წელს „ვისოლი“ იყო პირველი ნავთობკომპანია, რომელმაც საქართველოს ბაზარზე ინოვაციური პროდუქტი, კორპორაციული ჩიპური ბარათი დანერგა და 2009 წლიდან კორპორაციულ მომხმარებელს უკვე ავტოპარკის მართვის უნიკალურ GoLive სატელიტურ სისტემას სთავაზობს; უმაღლესი ხარისხის საწვავითა და მაღალტექნოლოგიური სერვის პროდუქტების შეთავაზებით „ვისოლი“ საცალო ბაზრის ლიდერია.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ნინო ბურჯანაძე „იარაღდება“

ქეთი ხატიაშვილი

ნინო ბურჯანაძე არეულობისთვის ემზადება. ისევ ქუჩაში გადის, ისევ ხელისუფლების დამხობას აპირებს და ისევ „იარაღდება“. როგორ ემზადება ბურჯანაძე არჩევნების მეორე დღისთვის?

რას გეგმავს ნინო ბურჯანაძე არჩევნების მეორე დღეს და როგორ ემზადება ის პროვოკაციისთვის? როგორ იგეგმებოდა 26 მაისი და რატომ აირჩია ნინო ბურჯანაძემ ქუჩა. ბურჯანაძის ისტორია პარლამენტის თავმჯდომარის სავარძლიდან ბინძურ და ჭუჭყიან ქუჩამდე...

ახლა, როცა უკვე ყველამ იცის, რომ გიორგი მარგველაშვილი პრეზიდენტი გახდება, დავით ბაქრაძე კი – მეორე ადგილს დაიკავებს, ნინო ბურჯანაძის ადგილი ვერტიკალში აღარ რჩება. ის ვერც ხელისუფლებაში მოდის და ვერც ოპოზიციაში იმაგრებს პოზიციებს. ამიტომაც, ისევ ქუჩაში გავა და ისევ პროვოკაციაზე ნავა, ისევე როგორც 26 მაისს.

ისე, უცნაურია, რომ ქუჩიდან გოგა ხაინდრავამაც კი იპოვა გამოსასვლელი, ნინო ბურჯანაძე კი შიგნით შედის, რაც შეიძლება ღრმად... თუმცა, გემოვნებაზე ხომ ვერ იდავებ. ვის ქუჩა და არეულობა იზიდავს და ვის რეალური პოლიტიკა... მას, უბრალოდ, არ შეუძლია ახლა იყოს კონსტრუქციული. არ შეუძლია, რადგანაც პუტინის მეგობარია, ამიტომაც უნდა დაჰპირდეს იგივე ვანო მერაბიშვილს: მოვალ თუ არა, ციხეში „მყარად“ ჩაგსვამო, საქართველო კი ევრაზიულ კავშირში შეიყვანოს...

თანაც ნინო ბურჯანაძე ქუჩაში ყველაზე უკეთ გრძნობს თავს, რადგანაც იგივე 2009 წლის მოვლენებისგან განსხვავებით, როცა მიტინგზე უსტვენდნენ, ოპოზიცია კი ამრეზით უყურებდა, ახლა თავს ნამდვილ დედოფალად იგრძნობს – კონკურენტი არ ჰყავს. არც 26 მაისს ჰყავდა. ამიტომაც მოუნევს, ახლა მაინც გააკეთოს ქუჩიდან ის, რაც ადრე ვერაფრით განახორციელა.

მოდით, ვნახოთ, რა მექანიზმებს გამოიყენებდა ნინო ბურჯანაძე, ხელისუფლებაში რომ მოსულიყო, ან ოპოზიციაში რომ დაფიქსირებულიყო ლიდერად და რა შანსებს ხედავს ახლა ის იმისთვის, რომ პუტინს ოცნება აუსრულოს...

ხელისუფლებაში

ნინო რომ პრეზიდენტი გამხდარიყო...

ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში მის ხელში მოხვდებოდა ისეთი მთავარი ბერკეტი, როგორიც არის პრემიერისა და კაბინეტის პარლამენტში წარდგენა. ანუ ბურჯანაძე სნორად ამ ბერკეტის გამოყენებით შექმნიდა პოლიტიკურ კრიზისს. წარმოიდგინეთ, რამდენად გაუჭირდებოდა პუტინის მეგობარს პროდასავლურ პარლამენტთან ერთად მთავრობის დაკომპლექტება. როცა პრეზიდენტი ევრაზიას გულშემატკივრობს და მეგობარ პუტინთან ერთად საბჭოთა კავშირს აშენებს, ძნელია ნატოსა და ევროკავშირისკენ მომზირალ პარლამენტთან საერთო ენა იპოვოს. ესეც რომ არა, ევრაზიაში საქართველოს შეყვანას პარლამენტის თანხმობაც სჭირდება. ეს პარლამენტი კი ნინოს უფრო შეუსრულებს, ვიდრე აუსრულებს. ამიტომაც მინისტრთა კაბინეტის გარშემო დაწყებული დავა, ნინოს გათვლებით, საბოლოოდ პარლამენტის დაშლით უნდა დასრულებულიყო. ახალი პარლამენტი კი ბურჯანაძის წარმოდგენაში ისეთივე იქნება, როგორიც მას „სახალხო კრება“ ჰყავს...

ოპოზიციაში

მეორე ადგილი ნინო ბურჯანაძეს არა მხოლოდ საკუთარი, ზოგიერთი მასთან დაახლოებული ექსპერტის დასკვნითაც ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის ლეგიტიმურ უფლებას მიანიჭებს. ამ შემთხვევაში დაგეგმილი იყო აგრესიული გამოსვლების მთელი სერია. ვითარება იქამდე უნდა გამწვავებულიყო, სანამ ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნებოდა. ნინო ბურჯანაძე შემთხვევით არ ამბობს ხოლმე: „ნაციონალურ მოძრაობას“ არ მიუღია 40%, ეს მონაცემები გაყალბებულია და მათი პარლამენტში ამ რაოდენობით ყოფნა არალეგიტიმურია, როცა მათი ადგილი ციხეებშიაო. იქვე კი იმასაც დასძენს, ნაციონალები კი არა, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნებაც“ არალეგიტიმური იქნება, იმიტომ რომ ხალხმა მხარი დაუჭირა ივანიშვილს და არა იმ პარტიებს, რომლებიც იქ არიან წარმოდგენილებიო.

მოკლედ, მეორე ადგილი, ექსპერტების გათვლებით, ნინოსთვის თითქმის გამარჯვება იყო. ვადამდელი არჩევნების დანიშვნას თუ შეძლებდა, ნინო, ფაქტობრივად, უკვე იქცეოდა კიდეც ქარიზმატულ ლიდერად მთელ პოლიტიკურ სპექტრში.

ქუჩაში

ნინო ბურჯანაძეს არჩევნებში მონაწილეობა არასოდეს მიუღია. და თუკი ოდესმე გაიმარჯვა, მხოლოდ იმიტომ რომ ჟვანიასა და სააკაშვილის გვერდით იდგა. ისე, ცოტა უცნაურია, როცა თავად სხვას იყო აკიდებული და ახლა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალ პარტიებს ნიშნს უგებს: ბიძინას გარეშე არაფერია თქვენი ფასიო.

მოკლედ, რაც პუტინის მეგობარი გახდა, არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდა – იცოდა რა, რომ მისი რუსული მისწრაფებები საქართველოში სულაც არ იყო მომგებიანი. ამიტომაც ქუჩაში გაშლილ კარავში ბევრი პოლიტიკოსი კი შეჰყვა, და მათ შორის ირაკლი ალასანიაც, მაგრამ მოგვიანებით ალასანია ქუჩას გამოექცა, ნინო ბურჯანაძე კი ლამის ქუჩის პოლიტიკოსად იქცა და სრულიად მარტო დარჩა.

მაშინ ის, ალბათ, ამ ერთადერთობით ტკბებოდა. ურჩევნია, ქუჩის ჭუჭყში იყოს პირველი, ვიდრე კონსტრუქციულ პოლიტიკოსებს შორის ერთ-ერთი ლიდერის როლი ითამაშოს.

ქუჩიდან ის ვითარების აყირავებს შეეცდება. რატომღაც დარწმუნებულია, რომ ახალი ხელისუფლება მას ვერ გაუმკლავდება. რატომ არის ასე დარწმუნებული? ამას ვერასოდეს გაიგებ. ის 9 აპრილის აქციების დროსაც დარწმუნებული იყო, რომ მიშა სააკაშვილი 9 აპრილსვე დასრულდებოდა. ასეთ განცხადებებსაც აკეთებდა, მაგრამ ამ აქციებმა მხოლოდ მისი იმიჯი და რეიტინგი შეიწირა.

ბიძინა ივანიშვილსა და მის ხელისუფლებას ახლა მოუნევთ დაამტკიცონ, რომ სახელმწიფო ახლა ძლიერია და სახელმწიფო ინსტიტუტები ნებისმიერ გამოწვევას გაუმკლავდება.

შეიძლება ითქვას, ნინო ბურჯანაძე სააკაშვილის ხელისუფლებამ ქუჩის მტვრად აქცია და მას შანსები ქუჩაშიც კი აღარ ჰქონდა. მაგრამ არჩევნების შემდეგ პრორუსულმა ძალებმა იგრძნეს, რომ არა მხოლოდ რეაბილიტაციის შანსი აქვთ, არამედ ხელისუფლებაში მოსვლისაც. ასეთია მათი ამბიცია.

სამზადისი

როგორ ემზადებოდა ნინო ბურჯანაძე 26 მაისისთვის? „პრაიმტაიმს“ ამ თემაზე ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი ესაუბრა. ის ვანო მერაბიშვილის უახლესი მეგობარია:

– 26 მაისისთვის მათ შეიძინეს საწვიმრები, ბოთლები მოლოტოვის კოქტეილებისთვის, რკინის ბურთები და „რაგატკები“. ამბობდნენ, პოლიციელებს თავში ვესროლოთ „რაგატკებით“ რკინის ბურთები და თავი გავუტეხოთო. იყიდეს სათამაშო გასაწუნი მოწყობილებები ბენზინის ჩასასხმელად, იმისთვის რომ პოლიციელების რიგებში ბენზინით სავსე მოწყობილობები ესროლათ, მისი გასკდომის შემდეგ კი ბენზინისთვის ცეცხლი მოეკიდებინათ... მათ რომ ასეთი გეგმები ჰქონდათ, ამის ჩანაწერები არსებობს... იარაღი ჰქონდათ ყოფილ ძალოვნებს. ბადრი ბინაძე კი შეფიცულების ჯგუფებს ხელმძღვანელობდა.

არსებული ინფორმაციით, ნინო ბურჯანაძის ოფისი ახლაც „იარაღდება“. მარაგდებიან საწვიმრებით, რაციებით... ითქვა, რომ აღადგინეს „შეფიცულების“ ჯგუფებიც. ბურჯანაძემ უკვე დაანონსა: ჩემს ხმებს დავიცავ, რადაც არ უნდა დამიჯდესო.

რა ხმებს დაიცავს, რაც არა აქვს? ყველა გამოკითხვის მიხედვით ასეა. ხოლო იმ მონაცემები, რის მიხედვითაც ბურჯანაძე საპრეზიდენტო მარათონის უალტერნატივო ლიდერია, არსად სახელდება.

ასე რომ, გასაგებია – ბურჯანაძე დიდი არეულობისთვის ემზადება. ისევ რუსთაველზე, სავარაუდოდ, 28 ოქტომბერს. ამ თარიღს შს ყოფილი მინისტრი და ექსპრემიერი ვანო მერაბიშვილი ასახელებს. რამდენიმე დღის წინ მან საპატიმროდან საგანგებო განცხადება გაავრცელა:

პოლიტიკური კრიზისის შესაქმნელად გეგმა უკვე მზად არის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დოფალი

„26 მაისისთვის მათ შეიძინეს საწვიმრები, ბოთლები მოლოტოვის კოქტეილებისთვის, რკინის ბურთები და „რაგატკები“. ამბობდნენ, პოლიციელებს თავში ვესროლოთ „რაგატკებით“ რკინის ბურთები და თავი გავუტეხოთო. იყიდეს სათამაშო გასაწუწი მოწყობილობები ბენზინის ჩასასხმელად, იმისთვის რომ პოლიციელების რიგებში ბენზინით სავსე მოწყობილობები ესროლათ, მისი გასკდომის შემდეგ კი ბენზინისთვის ცეცხლი მოეკიდებინათ... მათ რომ ასეთი გეგმები ჰქონდათ, ამის ჩანაწერები არსებობს...“

– ვილნიუსის სამიტის წინ რუსეთმა უკვე გამოუცხადა სავაჭრო ომი უკრაინასა და მოლდოვას და დაიყოლია სომხეთი საბაჟო კავშირში გაწევრიანებაზე. საქართველოს ჯერი, როგორც ჩანს, 28 ოქტომბერს დადგება, როდესაც არჩევნების მეორე დღეს, გაყალბების საბაბით, ნინო ბურჯანაძის ხელით რუსეთს განზრახული აქვს თბილისში არეულობის მოწყობა, რაც დაახლოებით 26 მაისის სცენარის განმეორება იქნება. ამ მოვლენების გენერალური რეპეტიცია ნინო ბურჯანაძეს დაგეგმილი აქვს 24 ოქტომბერს. კრემლი არ კმაყოფილდება დიცსა და დვანში მავთულხლართების გავლებით და სურს, ბარიკადები ამჯერად უკვე რუსთაველის გამზირზე აღმართოს. რუსეთის ძალადობრივი პოლიტიკა საქართველოს მიმართ არ იცვლება – მას დაგეგმილი აქვს შიდა არეულობის მოწყობის გზით შეაფერხოს საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი. მინდა მოვუწოდო ყველას, პირველ რიგში, პოლიციელებს, არავის მისცენ ქვეყანაში არეულობის მოწყობის საშუალება...

ნინო ბურჯანაძემ საკუთარი პარტიის ოფისი ლამის ბუნკერად აქცია. ჟურნალისტებისთვის მისი კარი დაკეტილია. ჩვენ დიდი ხანია, მასთან ვითხოვთ შეხვედრას და რამდენადაც ვიცით, ქუჩის დედოფალი არც სხვებს ხვდება. საინტერესოა მისი მოსაზრება ახალი ქაოსის მოწყობის სამზადისზე.

მისი პასუხი, ალბათ, ისევ ანზორიკომ გაახმოვანა. ანზორიკო ბურჯანაძემ რამდენიმე დღის წინ საკუთარ facebook-ზე დაწერა: „ამდენი შავი PR წარმოებას ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ თქვენი თავი აპიაროთ, არ სჯობია?“

შავ პიარს არქმევდა ნინო ბურჯანაძე და მისი გუნდი ყველაფერს, რაც იწერებოდა 26 მაისის სამზადისზეც და იმ ჩანაწერზეც, რომელიც ნინოსა და მისი შვილის ანზორიკოს შესახებ გავრცელდა. დედა-შვილი მაშინ სისხლისღვრაზე საუბრობდა.

შეგახსენებთ ჩანაწერს:

„ანზორ ბიწაძე – ნინო, ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა ვიფიქრე გუშინ, გთავაზობ ასეთ რაღაცას, რომ ერთი კვირის მანძილზე შეგიძლია მიიღო გადაწყვეტილება – „ქართული პარტია“ და ესენი გადავაგოროთ, მაინც შეიძლება გამოვიდეს. თუ პასუხისმგებლობას იღებ, მაშინ სამოქალაქო ომზე წასვლაც ღირს. ღირს 100 კაცის სიკვდილადაც და 500-საც

ნინო ბურჯანაძე – ხო, ეგრეა კი.

ა.ბ. – ყველა ერმა, ვინც რაღაცას მიაღწია, სისხლით არის მისი მიწა მორწყული, სუყველასი.

ნ.ბ. – ამასაც არ აკლია...

ა.ბ. – არ აკლია ეგრეც არ არის, თუ ძმა ხარ, 200 წელია სისხლი არ დაღვრილა. მერე იცოდე, პროცესს თუ დაიწყებ, იქ უკვე ერთ კაცს ფეხი მოტყდა და ორს თავი მოეჭრება, უკვე ვსიო, მორჩა დამთავრდა. იქ უკვე უკან სვლა აღარ უნდა დაიწყო, რა.

და 40 პროცენტი მხარს რო უჭერს საკაშვილს, მე მაგაში ცუდს ვერაფერს ვერ ვხედავ. განათებული რო ქონდეთ ტვინი ამათ, მაშინ რევოლუციაც არ იქნებოდა საჭირო, რა. რის საფუძველზე ამბობენ 40 პროცენტს? 40 პროცენტი ამბობს, რომ სააკაშვილს მისცემს ხმასო.

ნ.ბ. – ნუ ეხლა ესე დეტალურად არ ვიცი, მაგრამ მითხრეს ესე.

ა.ბ. – რეალურად მიგაჩნია შეენ?

ნ.ბ. – არ ვიცი, ანზორიკო, რა, ჩვენ მაინც ჩვენ წრეში ვტრიალებთ, რა.

ა.ბ. – ჩვენ რამდენი გვიჭერს?

ნ.ბ. – ჩვენ ვის?

ა.ბ. – რევოლუციონერებს.

ნ.ბ. – 35 არის უკმაყოფილო და 15 პირდაპირი მხარდამჭერია რა...

ა.ბ. – რა გინდა მაშინ? პიდისიატ ნა პიდისიატ.

ნ.ბ. – ხო, რეალურად ეგრე არის. არა, საზოგადოება ძალიან გაყოფილია, რუსეთთან დაკავშირებითაც 50/50-ზეა.

ა.ბ. – ხოდა, გეუბნები კავკასიური ცარცის წრეა-მეთქი, რა. 2 წლის ნაომარ ქვეყანაში 50 პროცენტი ცოტაა?

ნ.ბ. – არა, ცოტა კი არა, ძალიან ბევრია. მტრის განცდა 50 პროცენტში ვაბშე არ არის.

ა.ბ. – მხარს რამდენი უჭერს რუსეთთან დაახლოებას?

ნ.ბ. – არა, დაახლოებას ყველა უჭერს მხარს.

ა.ბ. – და პრორუსულია 50 პროცენტი ხო?

ნ.ბ. – იცი რა, ეხლა, ისიც არ მინდა, რომ მოგატყუო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პოლარიზებულიაო საზოგადოებაო. ეხლა მე მითხრა, რომ თქვენო ნანილობრივ დაგაზარალათო რუსეთთან ურთიერთობამ, მაგრამ მეორეს მხრივ პრაქტიკულად შუაზეა გაყოფილიო.

ა.ბ. – 30 000 კაცი გამოვა.

ნ.ბ. – მე მეტი მგონია,

ა.ბ. – თავისუფლების მოედანს გაავსებს ეგა? ხოდა, მივიდეს ეხლა და მითვალოს იქა, ოცდაათია თუ სამოცდაათი.

ნ.ბ. – აუ, როგორ გვჭირდება ისაა...

ა.ბ. – იქნებ მოვასწროთ, იმათ არაფერი არ უნდათ, ნინო. გადარიცხვის მეორე დღესვე ჩათვალე, ვსიო. ესენიც როგორ გაყუჩებული არიან.

ნ.ბ. – ვინ, ნაცები? ელოდებიან, ჩვენ რას ვიზამთ. მაგენი ეხლა არიან რთულ ვითარებაში, ანზორიკო. პაბალშომუ ისე მივყვებით, ფუ-ფუ-ფუ, რომ რეალურად ვერაფერში ვერ გედავებიან, რა.

ა.ბ. – ვიდეოები და რაღაცეები ექნებათ და გამოგვიჭერენ. აი, აქაც თუ გვისმენენ და... ეგვიპტის ვარიანტი იქნება, დროებითი მთავრობა უნდა იყოს ყველა ვარიანტში, ეს კრება რაღად გინდა მაშინ?.. კომიტეტამ კომენდანდსკი ჩას, კომენდანტის საათი და საგანგებო მდგომარეობა. მარა ეგვიპტეში 3 თვეში დაალაგეს და ტურისტები ჩავიდნენ, მაგრამ იქ ჯარია ძლიერი.

ნ.ბ. – ხო, ჯარია ძლიერი.

ა.ბ. – ჩვენი ჯარი კი დაგიდგება გვერდზე, მაგრამ მთხლეა, რად გინდა. ჯარში ისეთი სიტუაციაა, უფ!

ნ.ბ. – ხო?

ა.ბ. – არა, რას ლაპარაკობ! ჯარი დაავიწყე ვაფშე.

ნ.ბ. – აბა, პოლიცია ვერ მოგვერევა. კოჯრის ბატალიონი გვესვრის ვითომ?

ა.ბ. – არა, კაცო, რა სისულელეა. შეიძლება კოჯრის ბატალიონმა გადაგიხერგოს გზა. ჩაგიყენოს ტანკი, ბეტეერი, მაგრამ არ გვესვრის.

ნ.ბ. – რატო ხარ ეგეთი დარწმუნებული?

ა.ბ. – იცი, რა? – კოჯრის ბატალიონი თუ მესვრის, პირველ იერიშს ავიცილებ და დადგეს და გრუ-ს სპეცნაზთან გაარკვიოს ურთიერთობა“.

ეს მაშინდელი ჩანაწერია. ნინო ბურჯანაძემ „რუსთავი 2“-ის ეთერში განმარტა, რომ ეს ჩანაწერი ყალბია და რომ ამის შესახებ თავად მიხეილ სააკაშვილმა და ვანო მერაბიშვილმაც გააკეთეს განმარტებები.

ნინო ბურჯანაძე:

– ეს სრული დეზინფორმაციაა. ვანო მერაბიშვილს 26 მაისის ბრალდებები სრულად რომ არ დაუწყვეს ცხვირწინ, ამდენ ლაპარაკს ამიტომ ბედავს, მაგრამ 27 ოქტომბერს, როცა ხელისუფლებაში მოვალ, მე მას ვპირდები, წარმოვადგენ ყველა იმ ობიექტურ მასალას, რომლის საფუძველზეც ვანო მერაბიშვილიც, მიხეილ სააკაშვილიც და მათი მეგობრებიც კარგა ხნით, მყარად ჩაჯდებიან ციხეში.

ნინო ბურჯანაძის კომენტარზე კომენტარი ვანო მერაბიშვილმა სა-პატიმროდან გაავრცელა:

– „მინდა გამოვეხმაურო, გადაცემა „არჩევანში“ ნინო ბურჯანაძის მიერ გაკეთებულ სამარცხვინო განცხადებებს, რომელთა უმეტესობაც ელემენტარული სიცრუეა. პირველ რიგში, მინდა დავადასტურო, რომ ნინო ბურჯანაძის საკუთარ შვილთან საუბრის ჩანაწერი არის ავთენტური და ეს ჩანაწერი სრული სახით დღემდე ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. გარდა ამისა, არც მე და არც საქართველოს პრეზიდენტს არასოდეს არ გვითქვამს, რომ ის არის გაყალბებული. აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ 26 მაისის მოვლენების გამო, რაც მიმართული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და ამ მოვლენების შედეგად მიღებული მსხვერპლის გამო, ისევე როგორც მანამდე, ე.წ. „შეფიცულთა რაზმის“ ჩამოყალიბების გამო, ჩვენ სრული კანონიერი უფლება გვქონდა, პასუხისგებაში მიგვეცა ნინო ბურჯანაძე, ისევე როგორც მისი მეუღლე, ბადრი ბიწაძე, რომელიც აღნიშნულ „შეფიცულთა რაზმს“ ხელმძღვანელობდა. თუმცა, ჩვენ თავი შევიკავეთ ამ ნაბიჯის გადადგმისგან, რათა ვინმეს არ ჩაეთვალა, რომ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური მოტივებით დევნას. 26 მაისის მოვლენებს ნამდვილად მოჰყვა შედეგი, როგორც ამას ქალბატონი ბურჯანაძე აცხადებს, ეს შედეგი იყო გარდაცვლილი ადამიანები, მათ შორის ერთი პოლიციელი. რაც შეეხება ომისდროინდელ მოვლენებს, გასაკვირი არ არის, რომ ადამიანი, რომელიც საქართველოს დაუძინებელ მტერთან, ვლადიმირ პუტინთან ერთად მოსკოვში საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობას დიდ პატივად თვლის, საკუთარ ქვეყანას ადანაშაულებს ომის დაწყებაში. არც ის არის გასაკვირი, რომ სწორედ რუსეთთან ომის დროს, მისმა მეუღლემ, ბადრი ბიწაძემ უარი განაცხადა საბრძოლო მოქმედებებში მას დაქვემდებარებული საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩართვაზე. შედეგად აღარ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ეს ადამიანი ღიად ეწევა რუსული პოზიციის პროპაგანდას, რომელიც სიცრუესა და ფაქტების გაყალბებაზეა აგებული“.

ასე რომ, ბურჯანაძე არჩევნებისთვის აღარ ემზადება. მისი მიზანია სრული ქაოსის შექმნა და მღვრიე წყალში ოქროს თევზის დაჭერა. სამ სურვილს კი მას უკვე პუტინი აუსრულებს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ყველაზე საგულისხმო ფრაზა, რაც პარასკევის „დიდ პოლიტიკაში“ შაშკინმა თქვა, იყო ის, რომ საქართველოში რუსული დაზვერვის მძლავრი ქსელია

ატარებდა თუ არა მერაბიშვილის სტრუქტურა რუსულ ინტერესებს, ეს საქმის გახსნის შემდეგ გამოიკვეთება, თუმცა ფაქტია, რომ შს მინისტრმა ღარიბაშვილმა „დიდ პოლიტიკაში“ დაადასტურა, რომ გამოძიებაში ყოფილი მაღალჩინოსნების გვარები იკვეთება

my View
ინგა გრიგოლია

როდესაც დიმიტრი შაშკინთან ლაფანყურის ექსკლუზივზე მოვილაპარაკეთ, ორი დღე ვფიქრობდი, უნდა გამეკეთებინა თუ არ უნდა გამეკეთებინა ეს გადაცემა, რადგან საქმე ჩვენს ქვეყანას ეხება და სცდება უბრალოდ გადაცემის მთავარი თემის საკითხებს...

ამ გადაცემის შემდეგ კი მთელი ერთი დღე ვიფიქრე, დამეწერა თუ არ დამეწერა სნორედ ლაფანყურში აფეთქებულ დიდ პოლიტიკაზე...

ბოლოს მაინც გადავწყვიტე დამეწერა, რადგან თემა უკვე გახსნილია და სახალხო დამცველის ანგარიშშია ერთ-ერთ მთავარ საკითხად. სხვათა შორის, სწორედ ამის გამო, პარასკევის გადაცემაში უჩა ნანუაშვილი დიმიტრი შაშკინმა სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატში დაადანაშაულა...

რა მოხდა ლაფანყურში - ყველამ იცის და ამავდროულად თითქმის არავინ, გარდა იმ პირებისა ვისი გვარებიც, ალბათ, გამოძიებით იკვეთება და ამ გამოძიებას აწარმოებს. დანარჩენი ყველაფერი ვერსიებია.

ამ ვერსიების ფონზე კი იკვეთება ერთი რამ - იმ დღეებში საქართველო აშკარა ომს გადაურჩა. საზღვართან რუსული შენაერთები უკვე მობილიზებული იყო და რა წამშიც ტერორისტული დაჯგუფებები საზღვარს გადაკვეთდნენ, დაიწყებოდა საომარი მოქმედებები, ანტიტერორისტული სპეცოპერაციის სახელით.

ვის აწყობდა ეს პროვოკაცია და რატომ?

- ესაა მთავარი კითხვა, რომელიც ამ ამბიდან ჩნდება.

თუ გავიხსენებთ, რომ სწორედ მაშინ კარს იყო მომდგარი არჩევნები, შეიძლება ერთ-ერთ ვერსიად განგვეხილა, რომ არეულობა და ომი ხელისუფლების შესანარჩუნებლად აწყობდა „ნაციონალურ მოძრაობას“, თუმცა ამ ბრალდებას დღეს მათ ყველაზე მწარე ოპონენტებიც არ უყენებენ, მით უფრო იმ ფონზე, როცა ნაციონალები ყოველგვარი არეულობის გარეშე გადავიდნენ ოპოზიციაში და აღიარეს დამარცხება.

მაგრამ ფაქტია, რომ თვითონ ხელისუფლების შიგნით, რაღაც რგოლებში, რუსეთის მხრიდან დაგეგმილი ამ პროვოკაციის მხარდაჭერა ხდებოდა.

ყველაზე საგულისხმო ფრაზა, რაც პარასკევის „დიდ პოლიტიკაში“ შაშკინმა თქვა, იყო ის, რომ საქართველოში რუსული დაზვერვის მძლავრი ქსელია. ამერიკული სკოლაგავლილი შაშკინი, რომლის ცალსახა ამერიკული კავშირები ყველასთვის ცნობილია, შემთხვევით არასდროს არაფერს ამბობს. მან დაადასტურა, რომ ჩეჩნური დაჯგუფებები სამი მიმართულებიდან შემოვიდა საქართველოში (მათ შორის ევროპიდან) და მან თქვა, რომ ინფორმაცია პანკისში ჩეჩენი მებრძოლების გადაადგილების შესახებ საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონდა და შემთხვევით გაიგეს, მძევლების აყვანის შემდეგ.

ეს ან იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა პარალიზებული ყოფილა და

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

იც ლაფანყურში აფეთქდა

იმ დღეებში საქართველო აშკარა ომს გადაურჩა

EXCLUSIVE

ყველა ვარაუდით - ლაფანყურის საქმე ძველ შინაგან საქმეთა სამინისტრო-მდე მიდის

სამართალდამცველი სტრუქტურები პრაქტიკულად არ ჰყოლია, ან იმას, რომ მთელ ამ პანკისურ მოძრაობას სწორედ სამართალდამცავები უწევდნენ ორგანიზებას, ასაიდუმლოებდნენ და ხელს უწყობდნენ. ორივე შემთხვევაში ჩნდება კითხვა - რატომ? მით უფრო, როცა ჩვენ ვსაუბრობთ იმ საფრთხეებზე, რაც ქვეყანას ელოდა, თუ ბოევიკები საზღვარს გადაკვეთდნენ.

ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი ამბობს, რომ მთავარი ორგანიზატორი, სხვებთან ერთად, ვინც ამ დაჯგუფებას წვრთნიდა, იყო შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე, რომელიც წარმოშობით ახმეტელია. ექსპერტი ზაალ კასრელიშვილი ასახელებს მერაბიშვილის მეორე, ასევე ყოფილ მოადგილეს, ამირან მესხელს, თეა თუთბერიძე კი ვარაუდობს, რომ სააკაშვილს თავისივე გარემოცვაში ჰყავდა რუსეთის აგენტები და მინიშნებას ვანო მერაბიშვილზე აკეთებს.

ყველა ვარაუდით - ლაფანყურის საქმე ძველ შინაგან საქმეთა სამინისტრომდე მიდის.

ატარებდა თუ არა მერაბიშვილის სტრუქტურა რუსულ ინტერესებს, ეს საქმის გახსნის შემდეგ გამოიკვეთება, თუმცა ფაქტია, რომ შს მინისტრმა ღარიბაშვილმა „დიდ პოლიტიკაში“ დაადასტურა, რომ გამოძიებაში ყოფილი მაღალჩინოსნების გვარები იკვეთება. საინტერესოა, დაუმძიმდება თუ არა ამ მიმართულებით ბრალი ვანო მერაბიშვილს.

და კიდევ ერთი კითხვა, რომელიც გადაცემის შემდეგ გამიჩნდა - იყო თუ არ იყო აუცილებელობა ამ საკითხზე ღიად ესაუბრა სახალხო დამცველს თავის ანგარიშში, მაშინ, როდესაც რუსეთის მხრიდან მუდმივად გაისმის ბრალდება საქართველოში ტერორისტების მომზადების შესახებ და მაშინ, როცა რუსული ოკუპაციიდან ქვეყნის დასახსნელად საერთაშორისო მხარდაჭერას ვითხოვთ, რომელიც არც ერთ შემთხვევაში არ გვექნება თუ დადასტურდა, რომ საქართველოს ხელისუფლება თავადვე უწევდა ორგანიზებას ტერორისტების მობილიზებას საკუთარ ქვეყანაში...

ეს, ვფიქრობ, უკვე შემდეგი „დიდი პოლიტიკის“ ერთ-ერთი მთავარი კითხვა იქნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲐᲠᲐ
მცოცავ სოჭის

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ თუ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ?

my View
ᲛᲘᲠᲘᲐᲜ ᲑᲝᲥᲝᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობა-არმონაწილეობის შესახებ ცხარე დისკუსიები არ ცხრება. პეტიციას, რომელიც სოციალურ ქსელში ოლიმპიადის ბოიკოტირების მოწოდებით გავრცელდა, ხელს უკვე 10 ათასამდე მოქალაქე აწერს. რას ფიქრობენ თავად სპორტსმენები, რომლებმაც ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვეს. ამის გასარკვევად ჩვენ მოთხილამურე იასონ აბრამაშვილს ვესაუბრეთ, თუმცა მკითხველს გავახსენებ, რომ ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც რუსეთში დაგეგმილი ოლიმპიადა ბოიკოტირების საფუძველი ხდება. ისტორიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ისევე, როგორც 1980 წელს, ახლაც კრემლი ცდილობს, ოლიმპიური თამაშები პოლიტიკურ თამაშებად აქციოს. მაშინ საბჭოთა კავშირმა ამით სცადა კაპიტალისტური სამყაროსთვის მოსკოვის უპირატესობის დამტკიცება. მაშინაც ოლიმპიადა ფასადურ ხასიათს ატარებდა და ახლაც, პუტინის რუსეთი ცდილობს აგრესიული პოლიტიკის გალამაზებას და ცივილიზებული სამყაროს თვალში საკუთარი ნაკლოვანებების გადაფარვას. საქართველოს ხელისუფლება იმედოვნებს, რომ მოსკოვი თავს შეიკავებს აგრესიული პოლიტიკის წარმოებისგან და ოლიმპიური თამაშების პოლიტიზებისგან, თუმცა გამოცდილება აჩვენებს, რომ რუსეთს თამაშის თავისი წესები აქვს. 1980 წლის ოლიმპიადის წინ, მან ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესია წამოიწყო ავღანეთში და მოახდინა ქვეყნის სრული ოკუპაცია, რის გამოც მაშინ ოლიმპიადას ბოიკოტი ერთმანეთის მიყოლებით გამოუცხადა მსოფლიოს 64-მა ქვეყანამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. დღეს, ცხადია, არ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ საქართველო გახდება სოჭის ოლიმპიადის ტოტალური ბოიკოტირების მიზეზი, თუმცა მცოცავი ოკუპაციის გაგრძელების შემთხვევაში, ალბათ, ჩვენს ქვეყანას მოუწევს არჩევანის გაკეთება.

ახლა კი მოდით, ვნახოთ, რას ფიქრობს იასონ აბრამაშვილი, რომელიც იმ სამ მოთხილამურეს შორისაა, რომელმაც სოჭის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა.

იასონ აბრამაშვილი, მოთხილამურე:

– ბოიკოტთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ორად არის გაყოფილი მოსაზრებები, ამ ეტაპზე ვფიქრობ, რომ უნდა წავიდეთ, მაგრამ მეჩირაღდნის თემამ ცოტა გაამწვავა საკითხი. ამ ნაბიჯმა პოლიტიკური დატვირთვა მისცა ოლიმპიადას და ცხადია, გაღიზიანებას იწვევს, როგორც სპორტსმენებში, ასევე ნებისმიერ ქართველში. ჯერჯერობით, ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, გუნდი მიემგზავრება და ველოდებით, რა ვიცი... თუ შეიცვალა ეს გადაწყვეტილება, ცხადია, დავემორჩილებით. თუ კიდევ დაიძაბება ურთიერთობა და ეს ოლიმპიადა კიდევ უფრო გადაიზრდება პოლიტიკურ ღონისძიებაში, ალბათ, ჩვენც მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას. თუ ქვეყნის იმიჯი და კეთილდღეობა მოითხოვს, რომ სახლში უნდა დავრჩეთ, დავრჩებით. საწყენი იქნება, მაგრამ არ გამოვალთ და ეგ იქნება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

– შენ, როგორც ერთ რიგით სპორტსმენს, არსებულ სიტუაციაში მიზანშეწონილად მიგაჩნია ჩვენი დელეგაციის სოჭში ჩასვლა?

– სპორტსმენის გადმოსახედიდან ცოტა რთულია იმაზე საუბარი, რომ იცით, რა? მოდი არ გამოვიდეთ და ვიჯდეთ სახლში. თითოეულ ჩვენგანს მართლა წლები გვაქვს ნავარჯიმები და უდიდესი შრომა გვაქვს ჩადებული, შევეცადეთ, მაქსიმუმი გაგვეკეთებინა და ლიცენზიები მოგვეპოვებინა. ფაქტობრივად, დროის უდიდეს ნაწილს თოვლსა და ყინვაში ვატარებთ იმისთვის, რომ ფორმაში ვიყოთ და ვასახელოთ ჩვენი ქვეყანა. ტყუილი იქნება, რომ გითხრათ, არ მინდა წასვლა-მეთქი, ნაღდად მინდა და გულით და სულით ვეცდები, გამარჯვება მოვუტანო ქვეყანას, მაგრამ მესმის ისიც, რომ არსებობს კიდევ მოქალაქეობრივი პოზიცია. ჩემთვის, როგორც ქართველისთვის, რთული იქნება იქ გამოსვლა, მაგრამ იმედი მინდა, დავიტოვო, რომ თუნდაც იქ, სოჭში, არ იქნება პროვოკაციები და ეს ოლიმპიადა მთლიანობაში პოლიტიკურ ხასიათს არ მიიღებს.

– და ვისი მხრიდან ელოდებით პროვოკაციებს?

– რა თქმა უნდა, რუსეთის, ის, ვინც ცდილობს, პოლიტიკური სახე მისცეს ამ შეჯიბრს. ჩვენი დელეგაცია და მთავრობა მაქსიმალურად ცდილობს, არ აჰყვეს პროვოკაციულ ნაბიჯებს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, ალბათ, არსებობს რაღაც ზღვარი, რომელიც ჩვენი დელეგაციის საბოლოო გადაწყვეტილებაზე აისახება.

– ანუ ელოდებით ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას და რამე ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებას არ გეგმავთ?

– ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებაც შეგვიძლია. რა თქმა უნდა, არავინ არ გვაძალებს და თოკით არ გვექაჩება, მაგრამ სპორტსმენი ხარ და ძნელია, მიიღო ინდივიდუალური გადაწყვეტილება, როდესაც საქმე ეხება მსოფლიოს ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას.

– ხომ არ გიფიქრია უკვე იქ, ადგილზე, რაიმე ფორმით თქვენი პროტესტის გამოხატვა?

– რომ არ დაგიმალოთ, ამაზე ნამდვილად მიფიქრია, მაგრამ არც ისე მინდა გამოვიდეს ჩემი მხრიდან, რომ იქ სპორტზე მეტად რაიმე პოლიტიკურ პერფორმანსებზე ვიფიქრო. ეს მსოფლიო ოლიმპიადაა და არ მინდა, რაღაც დაბალი დონის ადამიანივით გამომივიდეს. თუ წავედით, არა მგონია, საჭირო გახდეს რაიმე საპროტესტო პლაკატები და წარწერები. ჩვენი ყველაზე დიდი პროტესტი იქნება, კარგად გამოვიდეთ ამ ოლიმპიადაზე და იქ აფრიალდეს ქართული დროშა. თუ იქამდე მივიდა საქმე, რომ პლაკატებით უნდა ვირბინოთ, მაგას არჩასვლა სჯობია, ალბათ. თუ ჩადიხარ, მაშინ ჩადი და გამოდი ისე, როგორც ოლიმპიადას შეეფერება.

– მთავარი კონკურენტები ვინ არიან შენთვის?

– ბევრი ქვეყანაა, რომელიც სპორტის ამ სახეობაში წარმატებულია, მაგრამ, ცხადია, იგივე პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე განსაკუთრებული აქცენტი საზოგადოებაშიც კეთდება რუს კონკურენტებზე. ალბათ, ეს გახდება რაღაც განხილვის საგანი მაინც, რომ საქართველომ რუსები დაჯაბნა, ან ვერ დაჯაბნა. ჩვენ შევეცდებით, რომ მაქსიმუმი გავაკეთოთ.

მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესოა, რას ფიქრობენ, ამ თემაზე ხელოვანები? მუსიკოსთა ნაწილმა გასულ კვირას „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში ბრიფინგი გამართა და ხელისუფლებას სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებისკენ მოუწოდა. მათ შორის გახლდათ ბესელა რაზმაძე ჯგუფი „კონტრაბანდიდან“. ბესელა, გარდა მუსიკოსისა, აფხაზეთის ომის ვეტერანიც გახლავთ. 17 წლის ასაკში ჩაერთო საომარ მოქმედებებში და 18 წელი ომში შეუსრულდა. ბესელა იყო ერთ-ერთი უკანასკნელი, ვინც ოჩამჩირე დატოვა. შესაბამისად, მკითხველისთვის, ალბათ, გასაგებია მისი პოზიცია. ის კატეგორიულად ეწინააღმდეგება რუსეთში გამართულ ღონისძიებებში ქართველი სპორტსმენებისა და ხელოვანების მონაწილეობას.

ბესელა რაზმაძე, მუსიკოსი:

– ქვეყანასთან ვიმყოფებით საომარ მდგომარეობაში, რადგან ეს ქვეყანა ნელ-ნელა გვავიწროებს და საკუთარი რუკით გვიწესებს საზღვრებს. თუკი ქართველ ადამიანს მენტალიტეტში აქვს, რომ, მეზობელი მეზობელს ღობეს რომ გადმოუწევს, ამის გამო სამკვდრო-სასიცოცხლოდ ფუჭდება მათ შორის ურთიერთობა, გაუგებარია, რაღაც კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე საუბარი რუსეთთან, რომელმაც ათასობით ჰექტარი მიწა მითვისა მხოლოდ ამ ბოლო პერიოდში, აღარაფერს ვამბობ, იმ 20 პროცენტზე, რომელიც ოკუპირებული აქვთ აქამდეც. როგორ შეიძლება ამ ქვეყანაში მივდიოდეთ და რაღაც სპორტულ ღონისძიებებში ვმონაწილეობდეთ?! როგორ შეიძლება პირსისხლიანი პუტინის მიწაზე რაიმე ღონისძიებებში ვერთვებოდეთ?! ეს ჩემამდე არ დადის. ჩემი როგორც ყოფილი მებრძოლის შეხედულებაა, რომ, მე თუ იმ ქვეყანაში წავალ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქვეყანა გონს მოეგება, ტერიტორიებს დაგვიბრუნებს და ბოდიშს მოუხდის ჩვენს ხალხს მრავალწლიანი აგრესიისთვის.

– მათ შორის მიუღებლად მიგაჩნიათ თქვენი კოლეგების, ხელოვანი ხალხის მოსკოვში ჩასვლა...

– მაგალითად, მე პირადად „ერისიონს“ არ მივიჩნევ ქართული კულტურის ნაწილად. ეს ანსამბლი, ალბათ, არის ძალიან ნიჭიერი, მის სათავეშიც, სავარაუდოდ, ნიჭიერი ადამიანი დგას, თუმცა ჩემს ირგვლივ მათ ადგილს ვერ ვხედავ, შესაბამისად, მე მათ ქართული კულტურის ნაწილად ვერ განვიხილავ. რა არის ქართული კულტურა? ის, რომ თუნდაც ნიჭიერმა ადამიანმა კრემლში, პუტინის სახლში აფრიალოს დროშა? როდესაც შენ ვიღაცასთან მიდიხარ და მიგაქვს შენი კულტურა, ის ვიღაც კი გსვამს ჩარჩოებში, შენს ხელოვნებას უწესებს საზღვრებს, რომლის იქითაც არ შეგიძლია არც ხმის ამოღება და არც რაიმე სახის ქმედება, ეს უკვე არაა კულტურა. ხელოვნება არის სრული თავისუფლება და არა პუტინის მიერ შემოსაზღვრული ჩარჩოები. კი, ბატონო, ააფრიალეთ ქართული დროშა, მაგრამ სად? კრემლში? ვინ გავართეთ? როგორ შემიძლია „ერისიონი“ მივიღო ჩემი ქვეყნის კულტურის ნაწილად, როდესაც ის ჩემი მტრის სახლში, სადაც ის წერს გეგმებს, როგორ დაანგრიოს და გაანადგუროს ჩემი ქვეყანა, მიდის და ვიღაცებს ართობს.

– ანუ არ იზიარებთ მოსაზრებას, რომ კულტურულ ურთიერთობას შეუძლია განმუხტოს ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობა?

– კი, მჯერა, კულტურულმა ურთიერთობამ შეიძლება წინ წასწიოს ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობა, თუმცა მხოლოდ მაშინ, როცა მე შემიძლია, გამოვხატო ჩემი კულტურა აბსოლუტური თავისუფლების რანგში, მაგრამ როდესაც წესდება ჩარჩოები, იქ არანაირ კულტურულ ურთიერთობებზე საუბარი არ არის. ამის ძალიან კარგი მაგალითია ქართული ღვინო, რომელიც ნამდვილად არის ჩვენი კულტურის ნაწილი. დამტკიცებულია, რომ ერთ-ერთი პირველი ყურძნის თესლი სწორედ საქართველოში იპოვეს ხომ? ამ უძველესი ღვინის ტრადიციის მქონე ქვეყანას გვიწესებენ რაღაც აბსურდულ ჩარჩოებს, ჩამოდის ვიღაც „ტელეგრეიკიანი ვანია“, რომლისთვისაც სულ ერთია, გინდა ქაჭა დაალევინო და გინდა ბურახი, ის მიწესებს სტანდარტებს, რა უნდა ვანარმოო და რა – არა.

ცნობისთვის: 2014 წლის სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე ლიცენზია სამმა ქართველმა მოთხილამურემ – იასონ აბრამაშვილმა, ალექსი ბენიაიძემ და ნინო წიკლაურმა მოიპოვეს. მოციგურავეებს შორის კი ელენე გედევანიშვილი ერთადერთია, ვინც ოლიმპიადის ლიცენზია მიიღო.



ᲘᲐᲡᲝᲜ ᲐᲑᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ:
„ᲗᲣ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲘᲛᲘᲯᲘ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲗ, ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲑᲘᲗ. ᲡᲐᲬᲧᲔᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲚᲗ“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

3 ოკუპაციას და ოლიმპიადას!

აჩიკო გულედანი: „ჩემი აზრით, ეს ოლიმპიადა ნაყიდია, ოლიმპიურ სოფელში ოსეთისა და აფხაზეთის დროშები კიდია, რაც დაუშვებელია“

ქართველი მომღერლები მცოცავი ოკუპაციისა და სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგ

ნანა ცინცაძე: „მე პროტესტს ვუცხადებ მცოცავ ოკუპაციას, ჩვენი მიწების დაპატარავებას და ჩვენი ხალხის გენოციდს რუსების მიერ“

ნინო დათაშვილი

ქართველი მომღერლები, მუსიკოსები, სტუდენტები, ერთი იდეის გარშემო ერთიანდებიან. „არა ოკუპაციას!“ - ამ ლოზუნგით ისინი მცოცავ ოკუპაციას აპროტესტებენ. ქართველი სპორტსმენების ნაწილი სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრების წინააღმდეგია. ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელოვნება, სპორტი და კულტურა პოლიტიკისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს. თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს ოლიპიადისადმი დამოკიდებულება, რუსეთის მცოცავი ოკუპაციის მიმართ მათი დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვანია - არა ოკუპაციას!

აჩიკო გულედანი: - ნებისმიერი „არა ოკუპაციას“ ნიშნავს არმონაწილეობას თუნდაც სოჭის ოლიმპიადაზე. ჩვენ ვართ ჩვენი ქვეყნის მოქალქეები და ჩვენ გვაქვს უფლება ამასთან დაკავშირებით ღიად დავაფიქსიროთ ჩვენი აზრი. არ შეიძლება ამდენი შეურაცხყოფის ატანა. რაღაცნაირად უნდა ვთქვათ, რომ ცოტანი არა ვართ. ხელისუფლება იქნება თუ მთავრობა, უნდა მიიღოს ბოიკოტის გადაწყვეტილება. ჩვენ აქ ვართ, ბევრნი ვართ და არ უნდა შეეშინდეთ ამ გადაწყვეტილების მიღების. ჩვენ საერთოდ გვგონია, რომ რუსები თუ ჩვენ „სულიკოზე“ ატირდებიან ეს ჩვენი მიღწევაა. ჩვენ ვერ გავითავისეთ, რომ ჩვენ ვართ მსოფლიოს ნაწილი. მოსკოვს ცრემლების არ სჯერა. ჩემი აზრით, ეს ოლიმპიადა ნაყიდია, ოლიმპიურ სოფელში ოსეთისა და აფხაზეთის დროშები კიდია, რაც დაუშვებელია.

ქეთათო ჩარკვიანი: - მხოლოდ ოლიმპიადას არ ეხება ჩვენი პროტესტი. დიდი ხანია ვიცით, რომ ვართ ოკუპირებული ერი. როდესაც ისეთი ცინიზმია, რაც ამ დღეებში მოხდა, როდესაც საცოდავი ხალხი სახლებიდან არის გამოყრილი და საკუთარი ხელით შლიან სახლებს, ამ დროს საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა დააფიქსიროს თავისი პოზიცია. არ აქვს მნიშვნელობა რა დამოკიდებულება აქვს პოლიტიკის მიმართ. აქედან გამომდინარე, ვუერთდები ქართველი მომღერლების პროტესტს და ეს არის ჩემი როგორც საქართველოს მოქალაქის ვალდებულება. ჩვენ 19 ოქტომბერს ჩავალთ დიცში, ადგილზე ვნახავთ ვითარებას და იქ გავაპროტესტებთ მცოცავ ოკუპაციას. კარგი იქნება თუ შემოგვიერთდებით, რადგან ჩვენი პერმანენტული, მშვიდობიანი აქციები და აზრის დაფიქსირება იმასთან დაკავშირებით თუ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ დროებით ვართ ოკუპირებულები, მაგრამ სახამ ვართ, ეს როლიც ღირსეულად უნდა მოვირგოთ. სხვა გზა არ არის.

უკვე შექმნილია ჰიმნი, რომელიც დვანში და დიცში განვითარებულ მოვლენებს ასახავს და რომელსაც მომღერლების სხვადასხვა თაობა ასრულებს.

„ჩვენ მამულის გვწამს“ - ასე ჰქვია კაკი ბოლქვაძის სიმღერას, რომლითაც მომღერლები მშვიდობას ითხოვენ. ჰიმნი მაწჩოს სტუდიაში ჩაიწერა. ტექსტზე ნანა ცინცაძემ იმუშავა, არანჟირებაზე კი ნოდარ ხელაძემ. მომღერლებს თავი ამ აქციის ორგანიზატორებმა - ჟურნალისტმა გიორგი საკარულმა და მომღერალმა თამთა გოგუაძემ მოუყარეს. კლიპს ქართველი მაყურებელი პირველად, სავარაუდოდ, „პროფილის“ ეთერში იხილავს.

ნანა ცინცაძე, ტექსტის ავტორი: - პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ მე პროტესტს სოჭის ოლიმპიადას არ ვუცხადებ. ის, რაც ემსახურება ჩემი ერის ნინსვლას, ამას ვერ გავაპროტესტებ. საერთოდ, კულტურა, ხელოვნება, სპორტი უნდა იყოს აპოლიტიკური. რა თქმა უნდა, თუ არის ისეთი სიტუაცია, რომ პირდაპირი დარტყმაა ჩემს სახელმწიფოზე, მე ყველანაირად წინააღმდეგი ვიქნები ამისა. ამ შემთხვევაში სოჭი ჩემთვის არ არის როგორც რუსეთის ნაწილი. ამ შემთხვევაში სოჭი არის პლანეტის ნაწილი, სადაც ხდება ოლიმპიადა. არ ვფიქრობ, რომ აქ ადამიანები არ უნდა წავიდნენ. ჩემი პოლიტიკური მრწამსი აბსოლუტურად განსხვავებულია ერის ინტერესებისგან. მე პროტესტს ვუცხადებ მცოცავ ოკუპაციას, ჩვენი მიწების დაპატარავებას და ჩვენი ხალხის გენოციდს რუსების მიერ. პროტესტს ვუცხადებ ყველაფერ იმას, რაც არის არაჯანსაღი ჩვენი სამშობლოსათვის. აი ლექსის ტექსტსიც, რომელიც ამ პროტესტისთვის დაიწერა.

შენ ხარ ერთადერთი
ჩემი სიყვარულის საქართველო,
ჭირშიც ვერ დაგთმობ იცოდე,
მინდა გული მხოლოდ შენთვის ავამღერო,
ჩემი იმედი გქონდეს!
ისევ მენატრება შენი ზღვის ნაპირი,
ლურჯი ზეცა,
დაღლილი გული გაიყო...
მინდა სიცოცხლე და მინდა სიყვარული
შენთან ერთად!
მინდა ყველამ გაიგოს, რომ არ გადის დრო
შენ ხარ ჩემი საფიცარი,
თავზე გადგას მზე,
როგორ შევძლო, რომ არ მიყვარდე.
მალე მოვა გაზაფხული,
ნუ მოიწყენ გთხოვ!
მინდა ტკივილი დაგიამო
გული ამღერდება, როცა სიყვარული გაგვიღიმებს
ახალი ცხოვრება იწყება.
უკვე აღარ მინდა ჩემი სინანულით ამიტირდე,
ისევ ერთად მივიდეთ მზესთან
იქნებ დაგავიწყო შენი უსაშველო ტკივილები
და მოგიშუშო იარა!
რა ვქნა, ვერ გიყურებ, როცა მოწყენილი იღიმები
მე მომავლის მწამს,
შენ განაცვალებ თავს!!!

„პრაიმტაიმი“ უერთდება აქციას - „არა ოკუპაციას, არა სოჭის ოლიმპიადას“!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ადუაშვილის მკვლელობაში ბრალდებულს სოსო პავლიაშვილის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ?

მირიან ბოქოლიშვილი

სკანდალი, რომელმაც შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ციხეებში პატიმართა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას ადგილი აღარ აქვს. სანამ სოზარ სუბარის უწყება არკვევს, რეალურად რა გახდა ქუთაისის ციხეში გასულ კვირას არასრულწლოვანი პატიმრის გარდაცვალების მიზეზი, ჩვენთვის ცნობილი ხდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მორიგი გაუხმაურებელი ფაქტის შესახებ. საქმეში კი, არც მეტი, არც ნაკლები ციხის ხელმძღვანელობა ფიგურირებს.

თუმცა, სანამ მომხდარის დეტალებს გაგაცნობთ, გეტყვით იმასაც, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ამ სტატიაში მოყვანილ ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს. საკუთარ პოზიციას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, მიხეილ ღურწკაია თავად აფიქსირებს „პრაიმტაიმთან საუბარში.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, გეტყვით, რომ საქმე ეხება ბიზნესმენ ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობისთვის გასამართლებულ კობა ყურუას წამების ფაქტს. როგორც ცნობილია, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ყურუას ადუაშვილის მკვლელობისთვის პატიმრობა აქვს მისჯილი, თუმცა ის თავს დამნაშავედ არ ცნობს და ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტს სააპელაციო სასამართლოში ასაჩივრებს. პარალელურად პროკურატურა აგრძელებს ძიებას ამ საქმეში სოსო პავლიაშვილის დანაშაულებრივი კავშირის შესახებ. როგორც ადვოკატი ირმა შალამბერიძე აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფს სწორედ მკვლელობის აღიარებასა და სოსო პავლიაშვილისთვის ხელის დადებას სთხოვდნენ. უარის მიღების შემდეგ კი მას ხელჯოხით გაუპატიურებას უპირებდნენ. ადვოკატმა გადმოგვცა კობა ყურუას გამოკითხვის ოქმიც, სადაც პატიმარი ზედმიწევნით ყვება მასზე განხორციელებული ხეწოლის შესახებ.

„სასჯელაღსრულების #6 დაწესებულებაში გადმოყვანამდე ვიმყოფებოდი #7 დაწესებულებაში. გადმოყვანის მიზეზი გახდა შემდეგი: 3 ოქტომბერს, საღამოს, რომელიღაც კაბინეტში შემიყვანა დაწესებულების უფროსის მოადგილემ, სახელად გიამ (გვარი არ ვიცი), მიჩვენა დაწერილი ფურცელი და მითხრა, ხელი მოაწერე ადუამშვილის მკვლელობის ფაქტსო. ზუსტად ისევე, როგორც მთავაზობდა #8 დაწესებულების რეჟიმის უფროსი გია ფიფია, რომელზეც საჩივარი უკვე დაწერილი მაქვს. თუ ხელს არ მოაწერ, საკუთარ თავს დააბრალე, რაც მოგიგაო. ამ დროს ოთახში იმყოფებოდა კიდევ ორი პიროვნება, რომელთაგან ერთი თავში მირტყამდა წიგნს და მეუბნებოდა, – დაუჯერე, რასაც გეუბნებაო. როცა უარი განვაცხადე ხელის მოწერაზე, იმ ორმა გამიკავა ხელები, გიამ კი დამიწყო ცემა პოლიეთილენის წყლით სავსე ბოთლით თავში და გვერდებში. შემდეგ იმ ორმა დამაყენა ოთხზე და გია მიყვიროდა, ამ ჯოხს გაგიკეთებ უკანო. მხედველობაში ჰქონდა ჩემი ხელჯოხი, რომლის გარეშეც გადაადგილება მიჭირს. ამ დროს მე შევძელი, გამეთავისუფლებინა ხელი, მოვიძრე სათვალე, რომელიც გატეხილი იყო და წინა დღეებში დამიწებეს, გამოვაძრე შუშა და თავდაცვის მიზნით ჭრილობა მივიყენე ხელებზე და მუცელში. ამის შემხედვარეს სამივეს შეეშინდათ და გაცვივდნენ გარეთ, ხოლო დაწესებულების თანამშრომლებმა გადამიყვანეს საკანში, საიდანაც მეორე დღეს გადმომიყვანეს #7 დაწესებულებაში და მხოლოდ აქ გამეწია სამედიცინო დახმარება“, – ყვება **კობა ყურუა.**

პატიმრის ადვოკატმა მომხდარის შესახებ უკვე აცნობა მთავარ პროკურატურას. ირმა შალამბერიძე კბილაშვილის უწყებიდან გამოძიების დაუყოვნებლივ დაწყებასა და კონკრეტული პირების პასუხისგებაში მიცემას ითხოვს.

ირმა შალამბერიძე, ადვოკატი:

– ბედუკაძე ხომ ვერ გავხდები, კამერა რომ მივიმაგრო და ეს ყველაფერი გადავიღო. მოწმის ჩვენება არის მტკიცებულება, მით უმეტეს, როდესაც ამ ადამიანმა საკუთარ თავზე ინვნია ის ძალადობა, რაც დღეს ხდება ციხეში. დავწერეთ საჩივრები, მივმართეთ პროკურატურასაც, თუმცა ჯერჯერობით რეაგირება არ ჩანს. ყველა ოთახსა და დერეფანშია ვიდეოთვალი, ამოიღონ ეს ჩანაწერები და დაამტკიცონ, რომ ჩვენ ვამბობთ ტყუილს. ამ ფაქტმა დამარწმუნა, რომ წამება და გაუპატიურების მუქარით ჩვენების მიღების ტენდენცია გრძელდება. მაინცდამაინც ცოცხი უნდა დაიკავოს ადამიანმა ხელში და აუცილებლად სისრულეში უნდა მოიყვანოს სექსუალური ძალადობის მუქარა? ეს მუქარა იყო რეალური. ყურუას ვენები რომ არ გადაეჭრა, ეს მუქარა შესრულდებოდა, რადგან სამ ადამიანს ავადმყოფი პატიმარი წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ამ ხელჯოხს უკან გაგიკეთებთ, თუ ჩვენებას ხელს არ მოაწერო, ამ დროს ჩაარტყეს მუხლში ფეხი, წააქციეს, ოთხზე დააყენეს და რომ დაინახეს, სისხლი სდიოდა, თავი გაანებეს. ამ ყველაფერს რომ მიყვებოდა, ადამიანი ტიროდა და ცრემლებს ვერ იკავებდა. დამნაშავეც რომ იყოს, მას აქვს უფლება, იმყოფებოდეს ადამიანურ პირობებში და არ დაექვემდებაროს ცემასა და წამებას. სხვას რომ ეთქვა მსგავსი ამბავი, არ დავიჯერებდი, ნამდვილად არ მეგონა, ამჟამინდელ ციხეებში კვლავაც თუ ხდებოდა მსგავსი რამ, მაგრამ ფაქტი სახეზეა. ვიღაცამ ხომ უნდა აგოს პასუხი.

– და ვისი პასუხისმგებლობაა ეს?

– ეს გაარკვიოს გამოძიებამ, რომელსაც ახლა, თქვენი გაზეთის მეშვეობითაც მივმართავ, ნუ წაუყრუებს ამ ფაქტს და დასაჯონ კონკრეტული დამნაშავეები. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში წამოვიდა ტენდენცია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მასობრივად ინიშნებიან პროკურატურის კადრები. ეს ნიშნავს იმას, რომ პროკურატურის დაკრულზე იცეკვოს ციხემ და მათთვის სასურველი ჩვენებების მიღება მოხდეს პირდაპირ საკნებში. კეთილი ინებოს პროკურატურამ და დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება. ადუაშვილის ოჯახის წევრმა თქვა, რომ მალე თვითონ ალაპარაკდებიან ბრალდებულები და ხელს დაადებენ პავლიაშვილსო. შესაბამისად, პროკურატურამ დაიწყო ზეწოლა, რომ როგორმე გაიმყარონ მტკიცებულებები. ითხოვდნენ, ხელი მოეწერა აღიარებითი ჩვენებისთვის და ხელი დაედო სოსო პავლიაშვილისთვის, რადგან, როგორც იცით, საქმე პავლიაშვილზე ცალკე წარმოებადაა გამოყოფილი.

ეს არ გახლავთ ერთადერთი საქმე, როდესაც ციხის ადმინისტრაციას არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებენ. ადვოკატმა ირმა შალამბერიძემ, ასევე, გადმოგვცა ქურდული სამყაროს წევრობაში ბრალდებულ ირაკლი ცანავას გამოკითხვის ოქმი, სადაც პატიმარი აღწერს, როგორ აიძულებდნენ აღიარებითი ჩვენების ჩამორთმევას და „კანონიერ ქურდ“ ტარიელ ფოცხვერიასთან კავშირს.

„კობა ყურუას გარდა, არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი აღმოჩნდა პატიმარი ირაკლი ცანავაც, რომელსაც #6 დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა იოსავამ პირდაპირ წაუყენა ულტიმატუმი, რომ ხელი დაედო ტარიელ ფოცხვერიასთვის. ზემოთ შეთანხმებულია ყველაფერი, საკმარისია, აღიარებითი ჩვენება მისცე და გაგიშვებთო. წინა ხელისუფლება იმიტომ შეიცვალა, რომ ასეთი მახინჯი ფორმებით ცდილობდნენ სასურველი ჩვენებების მიღებას. თუ იგივე ახლაც კეთდება, მაშინ ვსვამ კითხვას – რა შეიცვალა ამ ქვეყანაში? თავიდან რაღაც პერიოდი, დაახლოებით პირველი ორი თვე, მართლაც ნორმალური სიტუაცია იყო, მაგრამ ნელ-ნელა იწყება ისევ იგივე, კვლავ ცდილობენ ცემით, ტყეპით და წამებით მოახდინონ გავლენა პატიმრებზე“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას **ადვოკატი ირმა შალამბერიძე.**

თავად ქურდული სამყაროს წევრობაში ბრალდებული ირაკლი ცანავა კი გამოკითხვის ოქმში წერს:

„12 სექტემბერს ვიმყოფებოდი თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში, სადაც იხილებოდა ჩემი სისხლის სამართლის საქმე მოსამართლე კოჭლამაზაშვილთან. პროცესის დასრულების შემდეგ, როცა პატიმართა მოთავსების საკანში ჩავყავდი, ჰოლში შემხვდა ოთხი ახალგაზრდა კაცი, დაახლოებით 30 წლამდე ასაკის, რომელთაგან ერთ-ერთის (რომელიც მე მელაპარაკებოდა) ამოცნობა შემიძლია. დამიწყეს საუბარი, რა დროსაც მითხრეს, რომ: უჭირს ტარიელის საქმეს და შენ უნდა თქვა, რომ 1000 დოლარი გადმოარიცხვინა გიორგი ავალიანმა შენთვის „ობშიაკის“ ფული, რომელიც მიუტანე ტარიელ ფოცხვერიას, რის სანაცვლოდაც შეგპირდნენ, რომ რამდენიმე დღეში გაგათავისუფლებდნენო. მე თანამშრომლობაზე უარი განვაცხადე და დავუძახე სპეცრაზმის წევრებს, დამხმარებოდნენ, რა დროსაც ის ბიჭები უცებ გამშორდნენ.

სასამართლოდან მიმიყვანეს #6 დაწესებულებაში, სადაც მოვითხოვე მთავარ ექიმთან შეხვედრა, რის შემდეგაც დამიძახა და ოთახში შემიყვანა დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ე. იოსავამ. ოთახში ვიმყოფებოდით მხოლოდ ჩვენ ორნი, იოსავამ მითხრა: ციხიდან გასვლის შანსი გეძლევა, თუ იტყვი, რომ 1000 დოლარი მიუტანე ტარიელ ფოცხვერიას. ეს ამბავი შეთანხმებულია დეპარტამენტთან და სამინისტროსთანო, რაზეც შევლაპარაკდით და დამარტყა ხელი სახეში, ხოლო მუცელში, სადაც ჭრილობა მქონდა, ჩამარტყა მუხლი. იგივე განმეორდა მეორე დღესაც: დაწესებულების უფროსის მოადგილემ, დემურ ცომაიამ წამომიყენა იგივე წინადადება, კერძოდ, წყნარად ამიხსნა, რომ ჩემს წინააღმდეგ არანაირი სამხილი არ აქვთ, მაგრამ თავის დაზიანებები ვერ გიშველის, ამიტომ რახან ტარიელ ფოცხვერიას საქმესაც უჭირს, არა აქვს ხელმოსაკიდი მტკიცებულება, დაგვეხმარე, მიეცი ჩვენება, რომ 1000 დოლარი გადაეცი მას. ეს ამბავი შეთანხმებულია, ვისთანაც საჭიროა, რა დროსაც ჩვენებას მისცემ, მეორე დღესვე გაგათავისუფლებთო.

მე ისევ უარი განვაცხადე, რის გამოც იქვე მცემა დემურ ცომაიამ. დავინყე საჩივრების წერა, პროტესტის ნიშნად. ასევე, პროტესტის ნიშნად მივიყენე ჭრილობები, ეს მოხდა 13 სექტემბერს. 15 სექტემბრამდე ჩემზე ახორციელებდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლებს, რომ გავჩერებულიყავი და არ გამეხმაურებინა მომხდარი ამბავი. 15 სექტემბერს საკანში შემომიცვივდნენ სპეცრაზმელები, რომლებმაც ცემითა და გინებით (მირტყამდნენ ჭრილობებზე), წამომიყვანეს #7 დაწესებულებაში.

ოქმში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მზად ვარ, ჩვენება მივცე სამართალდამცველ ორგანოებს. დამატებით შემიძლია გითხრათ, რომ მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საფრთხე ექმნება ჩემს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ასევე, მინდა დავაფიქსირო, რომ არ ვაპირებ თვითმკვლელობას, ან ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებას“.

ადვოკატი ირმა შალამბერიძე

კობა ყურუა: „ითხოვდნენ, დაეწერა აღიარებითი ჩვენება და ხელი დაედო სოსო პავლიაშვილისთვის. როდესაც ამ ყველაფერზე უარი თქვა, სასტიკად გაუსწორდნენ“

ირაკლი ცანავა: „იოსავამ მითხრა: ციხიდან გასვლის შანსი გეძლევა, თუ იტყვი, რომ 1000 დოლარი მიუტანე ტარიელ ფოცხვერიასო“





ტარიელ ფოცხვერია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მიხეილ ღურწკაია: „ციხეში არსებულმა სიტუაციამ შეუქმნა წინა ხელისუფლებას პრობლემები და ციხიდანვე ცდილობენ იგივეს გაკეთებას“

თამარ გორთამაშვილი

ადვოკატ ირმა შალამბერიძესთან საუბრისა და მის მიერ ჩვენთვის გადმოცემული გამოკითხვის ოქმების გაცნობის შემდეგ, ჩვენ, კითხვით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელს მიხეილ ღურწკაიას მივმართეთ. უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის მოულოდნელობა იყო, რომ ის ინტერვიუზე უპრობლემოდ დაგვთანხმდა, რადგან კარგად გვახსოვს, როგორი ჩაკეტილი იყო ეს უწყება ნებისმიერი ჟურნალისტისთვის ბოლო წლების განმავლობაში.

ღურწკაია ამბობს, რომ საქმე გვაქვს აბსოლუტურ ტყუილთან და შანტაჟთან, რითაც პატიმრები გარკვეული შეღავათების მიღებას ცდილობენ. ადვოკატის განცხადებებში ღურწკაია პოლიტიკურ ქვეტექსტსაც ხედავს.

რა მოხდა რეალურად მკვლელობისთვის გასამართლებული კობა ყურუას საკანში, როგორ ცდილობს პატიმარი ირაკლი ცანავა ციხის შიგნით პრივილეგიების მოპოვებას და რა ვიდეოჩანაწერებს დაუპირისპირებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ადვოკატის ბრალდებებს - ამის შესახებ მიხეილ ღურწკაია, ექსკლუზიურად „პრაიმტაიმის“ მკითხველისთვის.

მიხეილ ღურწკაია: „ეს არის თავიდან ბოლომდე აბსურდი, საერთოდ არ არის სიმართლესთან ახლოს. ამაში რომ თავად დარწმუნდეთ, ამ ბრალდებების საპირწონედ მოგაწვდით რამდენიმე ძალიან ელემენტარულ მონაცემს, რომელიც თავადვე აქვს მოყვანილი ადვოკატს და რომელსაც დიდი იურიდიული განათლება არ სჭირდება. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი კვალიფიკაციით ემსახურებიან მსჯავრდებულებს და „იცავენ“ ადამიანის უფლებებს.

რაც შეეხება კობა ყურუას შემთხვევას - ის, რომ სამ ოქტომბერს დაიბარეს და სთხოვდნენ აღიარებით ჩვენებას, ეს არის აბსოლუტური სიცრუე და სისულელე, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ადამიანი არის მსჯავრდებული, მასზე ნაფიცმა მსაჯულებმა იმსჯელეს, მის მიმართ ყველა პროცესუალური მოქმედება 6 სექტემბერს დასრულდა. ამის შემდეგომ როგორ უნდა დამდგარიყო აღიარებითი ჩვენების მიცემის აუცილებლობა?! - ეს ხომ გამორიცხულია, როგორ შეიძლება ადამიანს სთხოვდნენ ისეთ რამეს, რისი საჭიროებაც აღარ იყო, როგორც გითხარით 6 სექტემბერს ყველა მოქმედება დასრულდა. მას დაუმტკიცდა დანაშაული და 6 სექტემბრიდან ყურუა უკვე მსჯავრდებულის სტატუსით სარგებლობს.

- მას ხომ აპელაციაზე აქვს საქმე?

- ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. საპროცესო მოქმედებები დასრულებულია, გამოძიება დამთავრებულია, ის პირველმა ინსტანციამ გაასამართლა. მიუხედავად იმისა, რომ აპელაცია შეაქვს და შემდეგ შეიძლება უზენაესში გასაჩივროს, ამ შემთხვევაშიც მისი ჩვენება არაფერს არ ცვლის და აქედან გამომდინარე არავის არ სჭირდებოდა. ეს არის ერთი დეტალი, რომელიც თარიღებთან დაკავშირებით თვალნათელს ხდის ამ აბსურდულ განცხადებებს. არის ასევე მეორე მნიშვნელოვანი დეტალი, რაც მდგომარეობს შემდეგში, რომ ამ ადამიანის აღიარებით ჩვენებას ციხის თანამშრომელი ვერ მოითხოვდა გამომძიებლის, პროკურორის და ადვოკატის გარეშე. თუნდაც რომ მოეპოვებინა ციხის თანამშრომელს ასეთი ჩვენება, მას არანაირი სამართლებრივი ძალა არ ექნებოდა, აქედან გამომდინარე ესეც თვალნათელი ტყუილია.

არის კიდევ ერთი მარტივი დეტალი - ადვოკატი ამბობს, რომ ეს ადამიანი ავადმყოფი და უძლურია, ამ დროს მან, რომელსაც თურმე სამი კაცი აბამს, ხელჯოხით ემუქრება, მოახერხა და სამ კაცს დაუსხლტა ხელიდან, მოახერხა ნივთის დაძლა და ამ ნივთით თვითდაზიანების მიყენება... შემდეგ თურმე შეეშინდათ, მისი თვითდაზიანების და იქიდან გაიქცნენ. ახლა ეს მკითხველმა განსაჯოს, რამდენად დამაჯერებელია, რომ ადამიანი, რომელსაც გადაადგილება უჭირს, სამ ჯანმრთელ თანამშრომელს ხელიდან უსხლტება, შემდეგ რაღაც მოქმედებებს ასრულებს და ამ დროს ეს სამი თანამშრომელი უმოქმედოდ დგას. მშვიდად უყურებს როგორ შლის ის სათვალეს, ჩარჩოს ნაწილით თვითდაზიანებას იყენებს და ამის შემდეგ თურმე გარბიან და ეს ის თანამშრომლები არიან, რომლებიც დღეში ათ თვითდაზიანებას მაინც უყურებენ...

კიდევ ერთი გარემოება, როდესაც ქალბატონი ირმა ამბობს, მე ბედუკაზე არ ვარ, კამერა დავიყენოო, ჩვენ მზად ვართ, გახსნილი ვართ ნებისმიერი ასეთი ქმედებისთვის და თუ ის კამერას დაიყენებს და კონკრეტულ ფაქტს დაგვიდასტურებს, ჩვენ მას მადლობას ვეტყვით და დავსჯით ყველას, ვინც დანაშაულს ჩაიდენს.

- თქვენ გაქვთ იმ დღის ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ყურუა საუბრობს და შეგიძლიათ გაასაჯაროოთ ის?

- კი, რა თქმა უნდა, გვაქვს ჩანაწერი და ეს კიდევ უფრო თამამად გვამტკიცებინებს, რომ მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. თუმცა ჩვენ, ამ ეტაპზე, არ ვართ უფლებამოსილი გავასაჯაროოთ. თუ გამოძიება დაიწყება, ჩვენ პირიქით მოხარული ვიქნებით და გადავცემთ ამ ჩანაწერს, რომ ამ საქმეს ბოლომდე ნათელი მოეფინოს.

- თქვენ ამბობთ, რომ გაქვთ მტკიცებულებები იმისა, რომ ეს ადამიანი იტყუება, მაშინ რა ახსნა აქვს მის ასეთ განცხადებებს, რისი მიღწევა შეიძლება უნდოდეს პატიმარს ასეთი მოქმედებით?

- იმ შემთხვევაში, როდესაც ის დაიწყებს ცრუ დასმენას, სპეკულირებას გამოგონილი თემებით და შანტაჟს, მას ჰგონია, რომ მის გასაჩერებლად ადმინისტრაცია გარკვეულ შეღავათებს მისცემს. ამას ჩვენ არ დავუშვებთ, ყველა კანონდარღვევაზე, ეს იქნება ადმინისტრაციის მხრიდან თუ მსჯავრდებულის მხრიდან, ადეკვატური რეაგირება მოხდება. შანტაჟზე ადმინისტრაცია არ წამოეგება და არანაირ დათმობაზე არ წავა ისეთ მსჯავრდებულთან, რომელიც ასე იმოქმედებს. ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ ვიღაც დაშანტაჟებს ადმინისტრაციას და ამის შედეგად ის რაიმე სარგებელს მიიღებს, იმიტომ რომ ადმინისტრაციის პოლიტიკაა დავიცვათ ადამიანის უფლებები და შევინარჩუნოთ მკაცრი რეჟიმი.

- რა შეღავათს შეიძლება ელოდოს ის?

- როდესაც კობა ყურუამ, რომელსაც მისჯილი აქვს 20 წელი, ზუსტად იცის, რომ ეს 20 წელი უნდა გაატაროს სასჯელაღსრულების დაწესებულების შიგნით, ის ეცდება ყველანაირი შეღავათის მიღებას, რაც კი დაწესებულების შიგნით შეიძლება ჰქონდეს მსჯავრდებულს. მსჯავრდებულისთვის ელემენტარული შეღავათის მიღება, რომელიც ყოფით ცხოვრებაში არც ისე მნიშვნელოვანია, წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს. აქედან გამომდინარე ამ ადამიანისთვის ნებისმიერი შეღავათის მიღება, შედარებით უფრო დაბალი რისკის დაწესებულებაში განთავსება, ზედმეტად ამანათის ან სატელეფონო ზარის მიღება და სხვა ნახალისების ფორმები, რომელიც შეიძლება მის მიმართ იყოს გამოყენებული, შესაძლოა, შიგნით პრივილეგიების მოპოვება თვითმმართველობაზე. ამიტომაც ის შეეცდება თავის საქმეში რაიმე ახალი გარემოება შეთხზას, რომ ვითომ მასზე ხდება ზეწოლა. ეს აბსურდია. თავიდან ბოლომდე ტყუილია!

- ჩვენ შარშან დავინახეთ რა ძალა აქვს ციხეს. როგორ ფიქრობთ შესაძლოა, წინასაარჩევნოდ გარკვეული ძალების მხრიდან ასეთი პატიმრების გამოყენება ხდებოდეს. ერთი მხრივ, პატიმარი ცდილობს შეღავათი მიიღოს და მეორე მხრივ, ატეხილი ხმაურითა და ბრალდებებით ის, თავისდაუნებურად, პოლიტიკური იარაღი ხდება, მმართველი გუნდის წინააღმდეგ. რას იტყვით, უშვებთ, რომ ეს მართული პროცესია?

- არამც თუ ვუშვებ, ეს ასეა... ეს მართული პროცესია და აბსოლუტური სიცრუე, რომელსაც ფარდა აეხდება. თავისთავად მიზანმიმართულია, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ამბობენ, რომ ამა თუ იმ დაწესებულებაში არის ესა თუ ის მაყურებელი და ამ დროს ასეთი გვარითა და სახელით მსჯავრდებულები საერთოდ არ გვყავს. გახსოვთ, ალბათ, ხელის მოჭრაც კი დაგვაბრალეს, რომელიც ხარაგაულის ტყეში მოხდა და სასჯელაღსრულებასთან საერთოდ არანაირი კავშირი არ ჰქონდა. მოიგონეს ქალთა დაწესებულებაში შიმშილობა და ვითომ 14 დღის განმავლობაში იქ წყალი არ არსებობდა, რაც მტკნარი სიცრუე იყო და მეტი არაფერი. გულწრფელად და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ სასჯელაღსრულებაზე ტელეეთერით და პრესით გასული ინფორმაციების 90 % არის ტყუილი. მე არ მინდა, რომ პოლიტიკურ განცხადებაში ჩამეთვალოს, მაგრამ შთაბეჭდილება რჩება, რომ ციხეში არსებულმა სიტუაციამ შეუქმნა წინა ხელისუფლებას პრობლემები და ციხიდანვე ცდილობენ იგივეს გაკეთებას. ეს არ გამოუვათ, იმიტომ რომ მიდგომა, სტანდარტები და დამოკიდებულება რადიკალურად შეცვლილია. ეს არ არის ერთი და ორი კაცის ნალაპარაკევი, ეს ათიათასობით ადამიანს ეხება და ამის დამალვა, უბრალოდ, შეუძლებელია, თუ არ ავიღებთ ცალკეულ პროვოკაციებს, რომელთანაც ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე.

- რეალურად, კობა ყურუას პირად საქმეში დევს თვითდაზიანების ფაქტი, როდესაც მან სათვალის ჩარჩოს გამოყენებით სხეულზე დაზიანება მიიყენა. რა დროს მოხდა ეს და რა გარემოებაში?

- თვითდაზიანების ფაქტს ჰქონდა ადგილი აბსოლუტურად სხვა ადგილას. რეალურად მოხდა ის, რომ მან მიიყენა თვითდაზიანება, რასაც ძალიან ხშირად მიმართავს მსჯავრდებულთა გარკვეული კატეგორია. დაახლოებით 500-600 ადამიანი არის თვითდაზიანებისკენ მიდრეკილი. ზოგადად კრიმინოლოგიაში არის ასეთი მიმართულება, როდესაც ისეთი ფსიქიკის მქონე ადამიანები, რომლებიც ძალადობრივ დანაშაულში არიან მხილებული, ეს ეხება გაუპატიურებას, მკვლელობას, როგორც ეს არის ყურუას შემთხვევაში, ასეთი ადამიანები ხშირად არიან თვითდაზიანებისკენ მიდრეკილები.

კობა ყურუას 3 ოქტომბერს ლამის 4-ის ნახევარზე აქვს თვითდაზიანება მიყენებული. ამ დროს იქ მისი ადვოკატი, დარწმუნებული ვარ რომ არ იყო, თვითონაც არ იქნებოდნენ და ჩვენებას ვერ მოსთხოვდნენ ფიზიკურად და არც პროკურატურის და არც საგამოძიებო ორგანოები ამ დროს იქ არ იმყოფებოდნენ და შესაბამისად ჩვენებაზე მას ხელის მოწერას არავინ არ მოსთხოვდა. უბრალოდ, აზრიც არ ჰქონდა, მოაწერდა თუ არ მოაწერდა ის რაიმე ჩვენებას ხელს, ამით არაფერი შეიცვლებოდა. ამიტომ ვამბობ, ეს არის შეთხზული ზღაპარი, მაგრამ ძალიან უხიჭოდ.

- იგივე ადვოკატი ჩვენთან ინტერვიუში მსჯავრდებულ ირაკლი ცანავაზეც საუბრობს და მისი გამოკითხვის ოქმს აქვეყნებს. რას იტყვით ამ შემთხვევაში?

- ცანავა არის განთავსებული სასჯელაღსრულების სისტემაში, ის ცდილობს გარკვეული პროვოკაციების მოწყობას. ამის თაობაზე ჩვენ შეტყობინება გავაგზავნეთ შესაბამის სამსახურებში. არსებობს ვიდეომასალაც. თავად წერს, თუ როგორც გამოიყვანეს საკნიდან ეს „უდანაშაულო“ კაცი, ჩვენ კი გვაქვს ვიდეომასალა სადაც მკაფიოდ ჩანს, თუ როგორ უნევს ის წინააღმდეგობას ათამდე თანამშრომელს და სამ სპეცრაზმელს, რომლებიც აბსოლუტურად ადეკვატურად და პროპორციულად იყენებენ ძალას. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად მინიჭებული უფლებისა, მათ ხელკეტი არ გამოუყენებიათ. ეს მასალა ჩვენ გადავეცით გამოძიებას, იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ადამიანი თავიდან ბოლომდე იტყუება. ცანავაზე ზუსტად შემიძლია გითხრათ, რომ ის ცდილობს მოიპოვოს გარკვეული პრივილეგიები დაწესებულების შიგნით, რისი საშუალებაც მას არასდროს არ მიეცემა.

ეს ორივე მსჯავრდებული ყურუაც და ცანავაც არიან ამ ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფები და, როგორც ჩანს, ეს არის ამ ადვოკატის მოქმედების უნიჭო ტაქტიკა, რაც საკმაოდ არაეფექტური და არადამაჯერებელია იმ ფაქტობრივი გარემოებების გამო, რომელიც მტკიცებულების სახით არსებობს. ის ამბობს, რომ მტკიცებულებაა გამოკითხვის ოქმიც, დიახ, ეს ნამდვილად ერთ-ერთი მტკიცებულებაა, მაგრამ ამას სჭირდება სხვანაირი დადასტურება. ნებისმიერ პატიმარს შეუძლია ნებისმიერი ტყუილი თქვას და თუ ეს მიჩნეული იქნება მტკიცებულებად, მაშინ ძალიან ცუდად იქნება მართლმსაჯულების საქმე.

„ეს მკითხველმა განსაჯოს, რამდენად დამაჯერებელია, რომ ადამიანი რომელსაც გადაადგილება უჭირს, სამ ჯანმრთელ თანამშრომელს ხელიდან უსხლტება, შემდეგ რაღაც მოქმედებებს ასრულებს და ამ დროს ეს სამი თანამშრომელი უმოქმედოდ დგას. მშვიდად უყურებს როგორ შლის ის სათვალეს, ჩარჩოს ნაწილით თვითდაზიანებას მიიყენებს და ამის შემდეგ თურმე გარბიან და ეს ის თანამშრომლები არიან, რომლებიც დღეში ათ თვითდაზიანებას მაინც უყურებენ...“

„კობა ყურუას შემთხვევაშიც არსებობს ვიდეომასალა და თუ ყურუას ადვოკატი მოისურვებს, ჩვენ პირიქით მოხარულები ვიქნებით თუ მოგვმართავს. ჩვენ გვაქვს ვიდეომასალა, სადაც აღბეჭდილია სცენა, რომელზეც ის საუბრობს, თუმცა აბსოლუტურად სხვა ვერსიით, უბრალოდ, იქ სამი ადამიანი არ არის, არც ჯოხია და არც სათვალე. ის მარტოა საკანში და იყენებს თვითდაზიანებებს“

„ეს მართული პროცესია და აბსოლუტური სიცრუე, რომელსაც ფარდა აეხდება“

„ყველაფერი ძალიან კარგად არის აღბეჭდილი ვიდეომასალაში და შესაბამისად ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ ამ ცილისწამებას, შესაბამისი რეაგირება მოჰყვება“

„როდესაც ეს ადამიანი ამბობს, რომ ის, ერთი-ერთზე, დირექტორის მოადგილემ სცემა კაბინეტში, ამ კადრში ჩანს, რომ იქ არის დირექტორის ორი მოადგილე, სარეჟიმო სამსახურის 10 თანამშრომელი და სამი სპეცრაზმელი, რომელთაც ის წინააღმდეგობას უწევს. კადრში აშკარად ჩანს, რომ ეს ადამიანი არ ემორჩილება არანაირ მითითებას და თვითონ უწევს წინააღმდეგობას რომ არ გაიყვანონ. კადრშიც ჩანს, მას შარვალი გადაჭრილი აქვს. ანუ უკვე წინასწარ არის მომზადებული, რომ წინააღმდეგობა გაწიოს. იმისთვის, რომ შარვლის ბოლოში არ მოკიდონ ხელი (ეს ერთ-ერთი მეთოდია, როცა წინააღმდეგობის გამწევის შეკავება გინდა) შარვალი მუხლებამდე აქვს დამოკლებული“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!

სიახლე ავიაკომპანია
აირზენასგან!

1 აგვისტოდან
ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**
ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნაციონალებისგან ვიყიდი იარაღს და მათ მათივე იარაღით დავხოცავ“

„თუ ხელისუფლება ყოფილ მაღალჩინოსნებს არ დააპატიმრებს, ხალხი მათ ქუჩაში დახოცავს“

ზურაბ ჯორბენაძე: „თუ ხელისუფლება არ დაიჭერს „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ თანამდებობის პირებს, მე ვიძლევი პირობას, რომ დავაფუძნებ სახალხო მოძრაობას და ყველას ლინჩის წესით გავუსწორდები ქუჩაში“

„ადეიშვილს ბატის ჭუკივით გავგუდავ უნგრეთში“

ნინო დათაშვილი

ეს რომ ფსიქიატრს წააკითხოთ, ალბათ, დიაგნოზის დასასმელად სათანადო კვლევას ჩაატარებს, რათა მკურნალობის ზუსტი კურსი დანიშნოს... მაგრამ ამას თქვენ კითხულობთ და მას შემდეგ, რაც გაიგებთ, რომ ის პარტია „ევრაზიული არჩევანის“ თანათავმჯდომარეა, ალბათ, იფიქრებთ, შესაძლოა რუსეთის აგენტია, თორემ ასეთი გეგმა ტვინში როგორ მოუვიდოდაო.

შეიძლება ითქვას, ნაციონალებს აგრესიულად სწორედ რუსული აგენტურა ებრძვის. მათ მხოლოდ პროდასავლური ორიენტაციის გამო ვერ იტანენ, თორემ ბედუკაძეს, რომელიც უშუალოდ აუპატიურებდა პატიმრებს, ორიენტაცია არ აქვს და შესაბამისად, ნერვებსაც არავის უშლის.

ზურაბ ჯორბენაძეც სწორედ ასეთია – ნაციონალებისთვის ყელის გამოჭრაზე ოცნებობს, თუმცა, ბედუკაძეს თავისი ინიციატივით არც ახსენებს. და კიდევ ერთი მსგავსება, აგრესიულ პრორუსებს, როგორც წესი, ლოზუნგად სამართლიანობის აღდგენა აქვთ აფარებული და ამ ლოზუნგის ქვეშ ისინი სწორედ პროდასავლური ძალების გაქრობას ცდილობენ.

ზურაბ ჯორბენაძე:

– სამართლიანობა რომ აღდგეს, ამისთვის საჭიროა, რომ ის არსებობდეს. სამართლიანობა კი ათი წლის განმავლობაში არ არსებობდა. ასე რომ, ის, პირველ რიგში, უნდა დამყარდეს. სამართლიანობის დამყარების გზა კი ყოველთვის ხისტი იყო. სიხისტე ნიშნავს განსაკუთრებულ სიმკაცრეს იმ პირების მიმართ, ვინც წლების განმავლობაში სჩადიოდნენ დანაშაულს. ეს სიხისტე გამოიხატება იმით, რომ ის თანამდებობის პირები, ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ დროს ყოველგვარ უზნეობას სჩადიოდა ხალხის წინააღმდეგ, სასწრაფოდ და დაუყოვნებლივ უნდა დააპატიმრონ და მათ მიმართ განსაკუთრებით მკაცრი ღონისძიებები გაატარონ. ეს არის სამართლიანობის დამყარება. თუ ეს ასე არ მოხდება, მე, ზურაბ ჯორბენაძე, მეგობრების ჯგუფთან ერთად, სათავეში ჩავუდგები ისეთ მოძრაობას, რომელიც სამართლიანობას ხალხის სამართლით დაამყარებს. ხალხის სამართალი კი ნიშნავს ლინჩის წესით გასამართლებას. თუ ხელისუფლება ყოფილ მაღალჩინოსნებს არ დააპატიმრებს, ხალხი მათ ქუჩაში დახოცავს. თუ ხელისუფლება არ დაიჭერს „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ მაღალი თანამდებობის პირებს, მე ვიძლევი პირობას, რომ დავაფუძნებ სახალხო მოძრაობას და ყველას, ვინც ხალხს ათი წლის განმავლობაში ანამებდა, ქუჩაში ლინჩის წესით გავუსწორდები. ნაციონალებისგან ვიყიდი იარაღს და მათ მათივე იარაღით დავხოცავ.

– მაგალითად, ვის?

– მაგალითად, მიხეილ სააკაშვილს, მაგალითად, ბატონ ადეიშვილს ბატის ჭუკივით გავგუდავ უნგრეთში. დამნაშავე რეჟიმთან მოფერება დანაშაულია. ხელისუფლებას ჰქონდა ერთი წელიწადი სამართლიანობის აღდგენისთვის. ეს მთავრობა ხალხმა სწორედ ამიტომ აირჩია, თუმცა ბიძინა ივანიშვილმა სამართლიანობა ვერ აღადგინა, რადგან მას ატყუებენ მისი თანამდებობის პირები და მინისტრები, თითქოს ხალხის ნება არის კოჰაბიტაცია. კოჰაბიტაცია არ არის ხალხის ნება. თუ ხელისუფლება სამართლებრივი ბერკეტებით არ დაამყარებს სამართლიანობას, ხალხი დაამყარებს არასამართლებრივი ბერკეტებით, ანუ დაიწყება ქუჩაში „ნაციონალური მოძრაობის“ იმ ვიგინდარების ჩახოცვა, ვინც ათი წლის განმავლობაში ხალხს ამწარებდა. მაგალითად, გეტყვით, რომ გიორგი ბარამიძე აქამდე უნდა დაეპატიმრებინათ აფრასიძეების მკვლელობისთვის, ასევე მიხეილ სააკაშვილი უნდა იჯდეს ციხეში აფრასიძეების მკვლელობის საქმეზე ბრძანების გაცემისთვის. ხალხმა ამისთვის მისცა ხმა „ქართულ ოცნებას“, მაგრამ სინამდვილეში ხელისუფლება დედოფლობს. ეს არის პოლიტიკური ქალიშვილობა, რომ ვიღაცის დასჯა გინდა და არ სჯი. სულ არ გამიკვირდება, რომ აფრასიძეების შთამომავალმა ეგ უკანასკნელი ძაღლივით მოკლას. რაკი სახელმწიფო არ ამყარებს სამართლიანობას, მას ხალხი დაამყარებს. ხალხია ხელისუფლება.

– სადამდე აქვს ხელისუფლებას ვადა, რომ სამართლიანობა აღადგინოს?

– ვადა ჰქონდა. თუ ხალხი დაინახავს, რომ სამართლიანობის აღდგენა საერთოდ არ მოხდება, ხალხი თვითონ დაიწყებს მოქმედებას.

– კი, მაგრამ მსგავსი, რა, ფაშისტებს არ გაუკეთებიათ?..

– აუცილებლად მოხდება ეს.

– ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია რომ სხედან, რას უმტკიცებენ?

– პროკურატურამ შეგნებულად არ ნაუყენა მტკიცებულებები ბაჩო ახალაიას, შეგნებულად არ მოძებნა მერაბიშვილის მიმართ მტკიცებულებები.

– ბედუკაძეზე რას იტყვით?

– ბედუკაძეზე მე ახლაც მიმაჩნია და არ ვმალავ, რომ ბატონმა არჩილმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც მას ბრალი მოუხსნა. იმაზე მეტად ვითანამშრომლე სახელმწიფოსთან, ვიდრე – ბედუკაძემ. მე არ მომიხსნეს ბრალი და ბედუკაძეს მოუხსნეს. ესე იგი, ვინც აწყობს „ქართულ ოცნებას“, ის დაუსჯელი დარჩება და ვინც უშლის ხელს, ის – არა.

– ბედუკაძეს გაასამართლებს ხალხი?

– ეგ უკვე ხალხის გადასაწყვეტია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კახეთის მოსახლეობამ წელს შემოსავლი

თორნიკე ყაჯრიშვილი

„პრაიმტაიმი“ კახეთიდან

კახეთში რთველი დასრულდა. მალე რაჭასა და დასავლეთის რამდენიმე რეგიონშიც დაიკრიფება ბოლო ყურძენი და „რთველი 2013“ დასრულებულად გამოცხადდება.

წელს კახეთის რეგიონში 84 კომპანიის მიერ მიღებულმა და გადამუშავებულმა ყურძნის რაოდენობამ, ბოლო ათეული წლების მანძილზე, რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. თუ შარშან ამ რეგიონში კომპანიების მიერ მიღებული ყურძნის რაოდენობა მთლიანობაში 52 000 ტონა იყო, წელს ამ რიცხვმა 88742,0 ტონას მიაღწია. „ღვინის ეროვნული საagენტო“ შედეგით კმაყოფილია და არც მევენახეებს აქვთ პრეტენზიის საფუძველი. „რთველი 2013“ შედგა.

გასულ წლებთან შედარებით, წელს კახელებს ორმაგად გაუმართლათ. ამინდმაც ხელი შეუწყოთ და ყურძენიც ორმაგ ფასში ჩააბარეს. მთლიანად, კახეთის რეგიონის მოსახლეობამ, 5 ოქტომბრის მონაცემებით, ყურძნის რეალიზაციის შედეგად, შემოსავლის სახით დაახლოებით 100 მილიონ ლარზე მეტი მიიღო. გასულ წელს ვაუჩერებით 15 000 000 ლარი იყო გაცემული და ინდუსტრიულად გადამუშავდა მხოლოდ 52 000 ტონა ყურძენი.

ქვეყნის ხელისუფლებამ 2013 წელი სოფლის მეურნეობის განვითარების წლად გამოაცხადა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვა უწყებებთან შედარებით ყველაზე დატვირთული წელი ჰქონდა. დარგი, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში „ხელოვნურ სუნთქვაზე“ იყო და მთავრობას მხოლოდ საარჩევნო პერიპეტიებისას ახსენდებოდა, რეაბილიტირებულია. დაპირება შესრულებულია. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით წელს, რთველში პირდაპირი დახმარება დაახლოებით 17 000 ოჯახმა მიიღო. სიტუაციის ადგილზე გასაცნობად, „პრაიმტაიმის“ გადამღები ჯგუფი კახეთში ჩავიდა, რომ საკუთარი თვალით ენახა და მოესმინა, რას ამბობენ კახელი მევენახეები წლევანდელ მოსავალსა და მიღებულ შემოსავალზე.

ყურძნის ყველაზე დიდი რაოდენობა სოფელ დიდი ჩაილურის ერთმა ფერმერმა ჩააბარა და შემოსავალი 200 000 ლარამდე მიიღო. სოფელ მუკუზანის მკვიდრმა ლიზა ბოკუჩავამ, სამ ჰექტარზე გაშენებული ვენახიდან, წელს 32 ტონა ყურძნის მოსავალი აიღო. შარშან დასეტყვილ ვენახში კი 16 ტონა დაკრიფა. როგორც „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, ყურძნის ფასის გაორმაგებამ, ადგილობრივებს იმედი გაუჩინა.

ლიზა ბოკუჩავა: „ძალიან კარგი წელი გვქონდა, შვილო. მოსავალიც კარგად ავიღეთ და ფასიც კარგად გადაგვიხადეს. შარშან, როგორც ყველა კახელი გლეხის ვენახი, ჩვენიც დაისეტყვა. მიუხედავად ამისა, 16 ტონამდე მაინც დავკრიფეთ. შარშანდელი ზარალი, რომელიც სტიქიამ მოგვაყენა, ჩვენს ოჯახსაც აუნაზღაურა მთავრობამ. წელს ყურძენს ისეთი ფასი დაედო, აქამდე რომ არ ჰქონია. შარშან რქაწითელი თუ 40 თეთრად ჩავაბარეთ, წელს ერთი ლარი ღირდა. იმ ოჯახებს, რომლებსაც აქამდე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული ვენახზე, უფრო მეტი სტიმული გაუჩნდათ. მიტოვებულ და გაჩეხილ ადგილებში მალე ვაზს ჩაყრიან. შვილო, უწამლ ყურძენს, რომელიც ხალხმა გაჩეხა, ადრე 25 თეთრად იბარებდნენ, წელს მისი ფასი 43 თეთრი იყო. სოფელში უკვე სიცოცხლის ხალისი იგრძნობა. მომავალს იმედით ვუყურებთ“.

დაახლოებით, ასეთივე პასუხი მივიღეთ ადგილობრივი ვიტალი ყიყინაშვილისგანაც, რომელმაც, თანასოფლელების მსგავსად, უხვი მოსავალი აიღო.

ვიტალი ყიყინაშვილი:

– ჰექტარზე და 80 მეასედზე მაქვს გაშენებული ვენახი. უკვე ოთხი წელია, ასეთი მოსავალი არ ამიღია. დაახლოებით 27 ტონა ყურძენი დავკრიფე, რომელიც უპრობლემოდ ჩავაბარე ქარხანაში და, რაც მთავარია, გაორმაგებულ ფასად. 1 ლარის ფარგლებში ჩაიბარეს რქაწითელი, ხოლო საფერავი – 1, 20 ლარად.

– შარშან როგორი მოსავალი გქონდათ?

– შარშან სეტყვამ გაგვიფუჭა მოსავალი და 14 ტონა დავკრიფე. სახელმწიფო 9 ათასი ლარით დაგვეხმარა.

– შარშან რამდენად ჩააბარეთ ყურძენი?

– 65 თეთრი იყო საფერავი და 50 თეთრი რქაწითელი. გასულ წლებთან შედარებით ახლა გაორმაგებულია ყურძნის ფასი, რაც გლეხს ცოტა ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს. წარმოიდგინეთ, მთელი წელი რამდენ შრომას ვდებთ და მოსავალს კაპიკებად ვაბარებდით... ვენახს მთელი ოჯახი, მეუღლე და შვილი ვამუშავებთ. ძალიან ბევრს ვშრომობთ, რომ მთელი წელი როგორმე ოჯახი გავიტანოთ. მომავალ წელს უფრო მეტი მოლოდინი მაქვს. ჩვენს სოფელში სარწყავის პრობლემაც თუ მოგვარდება, მაშინ მართლა რეკორდული მოსავლის მიღებას შევძლებთ.

ლიზა ბოკუჩავა

კახელი მევენახეები და ღვინის კომპანიები მიმდინარე წლის მოსავლის შედეგებს აჯამებენ

2012 წლის ნოემბრიდან, სოფლის მეურნეობა საქართველოს მთავრობის რეალური პრიორიტეტი გახდა. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში სახელმწიფოს დახმარება, გლეხის კონკურენტუნარიან სუბიექტად ჩამოყალიბების ხელშეწყობა და კერძო სექტორის ინტერესების დაცვა მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო. წელს ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში ჩართული 84 კომპანიიდან 82 კერძო, ხოლო 2 სახელმწიფო (შპს „გრუზვინპრომი“ და შპს „აკურა“) იყო. სახელმწიფო კომპანიების მიერ შესყიდული და გადამუშავებულია 15 341 ტონა ყურძენი, რაც საერთო რაოდენობის 17%-ს შეადგენს (ცნობისთვის, 2012 წელს სახელმწიფო კომპანიების მიერ გადამუშავებული ყურძნის წილი 65% იყო). რთველის წინასწარი პროგნოზი სრულად გამართლდა. კერძო სექტორის იაფი კრედიტითა და ფასის სუბსიდირების შედეგად საფერავზე დიდი მოთხოვნა იყო, რის გამოც საფერავის ჯიშის ყურძნის ათვისება მთლიანად კერძო სექტორის მიერ მოხდა. სახელმწიფოს მხოლოდ ჭარბი თეთრი ყურძნის ჩაბარება მოუწია. „გრუზვინპრომის“ მიერ მხოლოდ 190 ტონა დაზიანებული საფერავია ჩაბარებული, ხოლო დანარჩენი რაოდენობა თეთრ ყურძენზე მოდის.

კახელები ბიძინა ივანიშვილს მადლობას უხდიან

ვიტალი ყიყინაშვილი

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული შეღავათიანი აგროსესხების პროგრამას, სპეციალურად „რთველი 2013“-ისთვის დაემატა მე-5 კომპონენტი – შეღავათიანი სესხი ღვინის მწარმოებლებისთვის. ამჟამინდელი მონაცემებით, საწარმოებზე უკვე დამატებით გაიცა ჯამურად 43 688 024 ლარის ოდენობის 38 შეღავათიანი სესხი.

დღემდე 24-საათიან რეჟიმში მუშაობს ყველა ქარხანა, რადგან დიდი რაოდენობით მიღებული ყურძნის გადამუშავება საკმაოდ ბევრ დროს მოითხოვს. კომპანია „GWS“-ის საექსპორტო გაყიდვების მენეჯერი, მთავრობის მხარდაჭერასა და „რთველი 2013“-ის ორგანიზებულობაზე საუბრობს. როგორც გიორგი თეიმურაზიშვილი ამბობს, წელს ქართულ ყურძენზე განსაკუთრებული მოთხოვნაა და შესაბამისად, მათმა კომპანიამაც, გასულ წელთან შედარებით, უფრო მეტი ყურძენი ჩაიბარა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ს სახით 100 მილიონ ლარზე მეტი მიიღო

„მიტოვებულ და გაჩეხილ ადგილებში მალე ვაზს ჩაყრიან...“

გიორგი თეიმურაზიშვილი:

– 2013 წლის რთველი თითქმის დასასრულს უახლოვდება. ჩვენმა კომპანიამ დაასრულა ადგილობრივი ფერმერებისგან ყურძნის ჩაბარება. ამჟამად რთველი დასავლეთ საქართველოში, კონკრეტულად კი რაჭის რეგიონში მიმდინარეობს, სადაც ხვანჭკარის ჯიშის ყურძენი იკრიფება. რთველი რაჭაში, სავარაუდოდ, კვირის ბოლოსთვის დასრულდება. რაც შეეხება წლევანდელ რთველს, იქიდან გამომდინარე, რომ წელს გაზრდილია მოთხოვნა, ზოგადად, ქართულ ყურძენზე, ჩვენმა კომპანიამ გაცილებით მეტი ყურძენი ჩაიბარა, ვიდრე შარშან. უნდა აღინიშნოს, რომ რთველი საკმაოდ ორგანიზებული და წარმატებული იყო. ჩართული გახლდათ საქართველოს მთავრობა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეშვეობით, კერძოდ კი, „ღვინის ეროვნული სააგენტო“, რომელიც ადგილობრივ, ასე ვთქვათ, კერძო სექტორის კომპანიებთან ერთად კოორდინირებულად ახდენდა ამ რთველის ორგანიზაციული კუთხით მხარდაჭერას. ეს, გარკვეულწილად, ძალიან დაეხმარა კერძო კომპანიებს იმაში, რომ მომხდარიყო ყურძნის დროული ყიდვა, ხარისხიანი და სანდო პროდუქციის მისაღებად. დაახლოებით 5 ათას ტონამდე ყურძენი მივიღეთ. როგორც აღვნიშნე, რთველი კიდევ გრძელდება და, სავარაუდოდ, ეს ციფრი რადიკალურად არა, მაგრამ კიდევ გაიზრდება.

– რა შეცვალა წინა წლებთან შედარებით იმან, რომ სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამა იყო. ეს რაში დაგეხმარათ?

– რაც შეეხება სუბსიდირების თემას, სასიამოვნო და მისასალმებელია ჩვენთვის ის ფაქტი, რომ სახელმწიფო აგრძელებს კომპანიების მხარდაჭერას, ზოგადად, სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერას, როგორც იაფი სესხის, ასევე სუბსიდირების სახით. თითოეულ კილოგრამ თეთრ ყურძენზე ხდებოდა სახელმწიფოს მხრიდან 40 თეთრით სუბსიდირება, ხოლო წითელ ყურძენზე – 25 თეთრის. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიამ საკმაოდ დიდი რაოდენობის ყურძენი გადაამუშავა, საბოლოო ჯამში, საკმაოდ დიდი ფინანსური მხარდაჭერა იყო.

– რამდენად მოთხოვნადია თქვენი პროდუქცია?

– მოთხოვნა ქართულ ღვინოზე, ასე ვთქვათ, ყოველწლიურად იზრდება, საექსპორტო ბაზრებზე კომპანიები უკვე საკმაოდ კარგად არიან წარმოდგენილები. ჩვენი კომპანიის მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ ყოველწლიურად დაახლოებით 20%-ით გვაქვს ზრდა, როგორც უკვე არსებული ბაზრების, ასევე ახალი ბაზრების ხარჯზე. რა თქმა უნდა, ძლიერი იმპულსი ჰქონდა რუსეთის ბაზრის გახსნას. ივნისის მეორე ნახევრიდან, ჩვენი ორივე ბრენდი – „ძველი თბილისი“ და „თამადა“ წარმოდგენილია რუსეთის ბაზარზე და აქტიურად იყიდება. რაკი შიდა ბაზარი ძალიან პატარაა ბოთლში ჩამოსხმული ღვინისთვის, ჩვენი კომპანია ძირითადად, ისევე როგორც სხვა კომპანიები, ორიენტირებულია პროდუქციის ექსპორტზე. ჩვენი პროდუქციის დაახლოებით 90% ექსპორტზე გადის. ვვარაუდობთ, რომ მარტო ჩვენი კომპანია 3 მილიონ ბოთლზე მეტ ღვინოს გავიტანთ ექსპორტზე. დღეის მონაცემებით, „ძველი თბილისი“ და „თამადა“ 12 საექსპორტო ქვეყანაში გადის და ამას ემატება ჩვენი ქვეყნის ბაზარიც. კომპანია 18 სახეობის ღვინოს, მათ შორის ჭაჭასა და ერთი სახეობის ცქრიალა ღვინოს აწარმოებს.

კომპანია „GWS“-ის მთავარი მევენახე, ქართული ყურძნის ჯიშების უნიკალურობაზე საუბრობს.

ფილიპ ლესკი: „კარგ ღვინოს კარგი ყურძნის გარეშე ვერ მიიღებ, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია მისი როლი ჩვენი კომპანიისთვის. მართალია, მე ამ კომპანიას ექვსი თვის წინ შემოვუერთდი, მაგრამ ჩემთვის ძალიან საინტერესოა მუშაობა. კმაყოფილი ვარ მოსავლით, რაც წელს გვქონდა. მინდა აღვნიშნო ორი სახეობის ღვინო – რქაწითელი და მწვანე, რომლის ხარისხითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. შაქრის რაოდენობა თითოეულ მარცვალში ჩვენთვის დამაკმაყოფილებელია და მიმაჩნია, რომ ამ ყურძნით შეიძლება ძალიან კარგი ღვინის დაყენება. რაც შეეხება შედარებას ქართულ და ევროპულ ღვინოებს შორის, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ქართული ღვინის ევროპულთან შედარება. რქაწითელი, საფერავი, მწვანე – ყურძნის ის ჯიშებია, რომლითაც ღვინოს ვაყენებთ და უნიკალურია. შესაბამისად, ვერც ერთი სხვა სახეობა, კონკურენციას ვერ გაუწევს“.

სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობასა და იაფ კრედიტებზე საუბრობს „თელავის ღვინის მარნის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ზურაბ რამაზაშვილიც.

ზურაბ რამაზაშვილი: „წლევანდელი წელი განსაკუთრებული იყო რამდენიმე მიზეზით. პირველ რიგში, ბუნებრივი პირობები იყო ძალიან კარგი. ყურძნის მომწიფების პერიოდი გახანგრძლივდა, რაც მის ხარისხზეც აისახა. ძალიან კარგი ღვინო უნდა გამოვიდეს წლევანდელი მოსავლიდან. კარგი ხელშეწყობა იყო სახელმწიფოს მხრიდან. კომპანიებს შესაძლებლობა მოგვეცა, იაფი კრედიტები აგვეღო, სადაც სახელმწიფო თანადგომით შემოვიდა და გარკვეული პროცენტის დაფარვა თავის თავზე აიღო. ეს ძალიან დიდი შეღავათია, როგორც ჩვენი, ასევე სხვა დანარჩენი კომპანიებისთვის. წელს, მთლიანობაში, 6 000 ტონაზე მეტი ყურძენი გადავამუშავეთ. აქედან დაახლოებით ნახევარზე ცოტა ნაკლები, ჩვენი საკუთარი ვენახებიდან, დანარჩენი ყურძენი კი შესყიდულია მოსახლეობისგან. ჩვენ ამ წელს ძალიან მომზადებულები შევხვდით. საკმაოდ დიდი რაოდენობის სადუღარი და შესანახი ჭურჭელი გვაქვს. რაც შეეხება ბაზარს, ამჟამად მსოფლიოს 26 ქვეყანაში ვყიდით პროდუქციას და ჩვენი წლიური გაყიდვა წლის ბოლოსთვის 4 მილიონ-ნახევარი ბოთლი იქნება. მომავალი წლისთვის, თუ რაღაც შეზღუდვები არ იქნება ცნობილი ქვეყნებიდან, როგორც ეს ადრე ხდებოდა, სავარაუდოდ, 6 მილიონ ბოთლს ავცდებით. 60 სხვადასხვა ტიპის ღვინოს ვანარმოებთ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ბრენდებს, სხვადასხვა ფასის კატეგორიებში. მათ შორის არის ჭაჭა და კონიაკი. გვაქვს ქვევრში, უჟანგ ფოლადში და ასევე მუხის კასრში დაძველებული ღვინოებიც“.

ზურა ჩხაიძე, „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ დამფუძნებელი:

– მთავრობამ უპრეცედენტო დახმარების ნაბიჯი გადადგა, როგორც გლეხებისთვის, ასევე მეწარმეებისთვისაც. საბოლოო ჯამში, შეიქმნა პროდუქცია, რომელიც იქნება ექსპორტირებული და წაადგება ქართულ ეკონომიკას. 17 წელია, ჩვენი კომპანია რთველს ატარებს და მსგავსი დახმარება, როგორც წელს იყო, ამ დარგისთვის არ ყოფილა. ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „ღვინის ეროვნულ სააგენტოს“ და საერთოდ, მთავრობას, პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს. აქ მთავარი ეროვნული სულისკვეთებაა, რომელიც გამოხატულია. ეს არის კეთილი ნება დახმარების კუთხით და მე მგონი, ეს ყველაზე დიდი მონაპოვარია. ყველაზე დიდი მონაპოვარი თავისუფლებაა, სადაც თავისუფლად შეუძლია გლეხს თავისი აზრი გამოხატოს, კომპანიას შეუძლია, თავისუფლად იმსჯელოს სამინისტროსთან, სამინისტროს შეუძლია, სრულიად თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და საბოლოო ჯამში, ჯანმრთელი აზრი იმარჯვებს. ვფიქრობ, რომ ეს უფრო დიდი გამარჯვებაა, იგივე გლეხებისთვის, რომლებმაც თავისუფლად ჩააბარეს ყურძენი და ფასიც დაადეს.

როდესაც ჩვენ ვიგრძენით რუსეთთან მოახლოებული პერსპექტივა, არ დავაყოვნეთ და ეს ქარხანა შვიდ თვეში დავამთავრეთ. რასაც აქ ხედავთ, იტალიური წარმოების ტექნიკით არის აღჭურვილი და 24-საათიანი რეჟიმის შრომით ავაშენეთ. მომავალ წელს, გაცილებით ბევრ ყურძენს ჩავიბარებთ. მარტო ჩვენს კომპანიას დაახლოებით 30 ათასი ტონა ყურძენი ესაჭიროება, ვინაიდან ჩვენ აქედან საკონიაკე სპირტსაც ვხდით. ჩვენ 13 ქვეყანაში გვაქვს ექსპორტი, აქედან დიდი წილი უკავია უკრაინის ბაზარს. საერთოდ, რუსეთში, ერთ-ერთი პირველები ჩვენ შევედით კონიაკით და ღვინით. გვაქვს ძალიან დიდი ასორტიმენტი, დაახლოებით 150-მდე სახეობის პროდუქციას ვაწარმოებთ. გვაქვს სავაჭრო ბრენდები, როგორც კონიაკი, ასევე პრემიუმ კლასის ღვინოები, ასევე სხვადასხვა სასუვენირო, სხვადასხვა სასაჩუქრე ღვინოები. წლევანდელი მიღებული ყურძნიდან, დაახლოებით 4 მილიონი ბოთლი ღვინო ჩამოისხმება. კონიაკის მოცულობა, წელს დაგეგმილი გვაქვს 8 მილიონი ბოთლი და ვფიქრობთ, რომ რუსეთის ბაზრის გახსნით, უფრო მეტი გვექნება წლის ბოლომდე ექსპორტირებული პროდუქცია. ადვილი წარმოსადგენია, რამდენი უცხოური ვალუტა შემოვა ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტში.

წელს რქაწითელის მაქსიმალურმა ფასმა 1,40 ლარს მიაღწია. ამ ფასად შეძენილი და გადამუშავებული იქნა 72 ტონა ყურძენი, უმეტესად ნინანდლის მიკროზონაში. მწვანე კახურის მაქსიმალურმა ფასმა 1,45 ლარი შეადგინა. ამ ფასად შეძენილი და გადამუშავებული იქნა 98 ტონა ყურძენი, ძირითადად მანავის მიკროზონაში. „წითელი“ ყურძნის, ანუ საფერავის გადამუშავების პიკი 12 სექტემბერს დაფიქსირდა და ერთ დღე-ღამეში 4 500 ტონა გადამუშავდა, რაც ბოლო 20 წლის განმავლობაში არ მომხდარა. ხოლო „თეთრი“ ყურძნის, ანუ რქაწითელის, კახური „მწვანეს“ გადამუშავების პიკი 25 სექტემბერს დაფიქსირდა. დღე-ღამის განმავლობაში 3 800 ტონა ყურძენი გადამუშავდა. მევენახეები უკვე მომავალი წლის გეგმებს აწყობენ. მათ იმედი აქვთ, რომ მთავრობა აღებულ კურსს გაჰყვება და მევენახეებს შორის კონკურენცია კიდევ უფრო გაიზრდება, რაც მათ შემოსავალზე პირდაპირპროპორციულად აისახება.

„უკვე ოთხი წელია, ასეთი მოსავალი არ ამიღია. დაახლოებით 27 ტონა ყურძენი დავკრიფე, რომელიც უპრობლემოდ ჩავაბარე ქარხანაში და, რაც მთავარია, გაორმაგებულ ფასად. 1 ლარის ფარგლებში ჩაიბარეს რქაწითელი, ხოლო საფერავი – 1, 20 ლარად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა სქემა მუშავდება ივანიშვი

რამაზ საყვარელიძე:

„შეიძლება მოხდეს ასეთი „აყირავება“, არ გამოვრიცხავ“

ლევან ალაფიშვილი:

„ეს სქემა დასაშვებია ნაბიჯ-ნაბიჯ: პირველ ეტაპზე ფრაქციად გამოყოფა... საბოლოო ჯამში კი, 2015 წლის გაზაფხულისკენ ეს ყველაფერი უკვე რეალური შეიძლება გახდეს“

პრემიერ-მინისტრის წასვლის შემდეგ საზოგადოებისთვისაც და კოალიციისთვისაც მისაღები ფიგურის გამოკვეთა, გენერირება შეუძლებელი გახდება

მარიამ ნადირაძე

ნინო ბურჯანაძის გეგმა „ა“ ცნობილი და დაუფარავია - თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ის გამარჯვებას ვერ მოიპოვებს, ქუჩაში ვითარების „აყირავებით“ იმუქრება...

რაც შეეხება გეგმა „ბ“-ს - სწორედ ამის შესახებ გიამბობთ დღეს „პრაიმტაიმი“.

ვერ გეტყვით, რამდენად ემთხვევა ბურჯანაძისეული ჩანაფიქრი ივანიშვილის ცნობილ და დამაინტრიგებელ ნახევრადგაჟღერებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ „ერთი-ორი“ კაცი კოალიციაში სიტუაციის „აყირავებას“ აპირებს, თუმცა თუ მკითხველი ჩვენ ხელთ არსებული ვერსიის ლოგიკას გაყვება, ვინ იცის, იქნებ ეს თანხვედრა არცთუ ულოგიკოდ მოეჩვენოს.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე დღეებს პოლიტიკური ძალები უკვე თითებზე ითვლიან, მაგრამ ექსპერტები ყველაზე საინტერესო ეტაპად სწორედ მის შემდგომ პერიოდს მიიჩნევენ, როდესაც თვით „ოცნების“ ყველაზე გულმხურვალე მხარდამჭერებსა და წევრებსაც კი არ სჯერათ კოალიციის სიმტკიცის შენარჩუნების. ბევრი გვსმენია მოსალოდნელ ახალ გადაჯგუფებებზეც, მაგრამ ის ჩანაფიქრი, რაც „პრაიმტაიმს“ გაუშიფრეს, ჯერ არსად გაჟღერებულა.

ამ სქემის მიხედვით არჩევნების შემდეგ „გაშიშვლებული“ ბურჯანაძე, რომელიც ვერც დაპირებული ქუჩის აქციებით მიაღწევს მიზანს, აქვე იჭერს თადარიგს, რომ გავლენები პარლამენტში მოიპოვოს. ბუნებრივია, პრემიერის წასვლით და ახალი პრემიერის დანიშვნით წარმოქმნილი მცირეხნიანი სიცარიელე მას ამის საშუალებას მისცემს. არც ის არის გამორიცხული, რომ ამას არც „ოცნებამ“ და არც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არ შეუშალოს ხელი და საკანონმდებლო სივრცეში მაინც შეახონ მცირე სეგმენტს იმისთვის, რომ ბურჯანაძემ შეწყვიტოს ყვირილი მის ყველა საფეხურზე დაბლოკვასთან დაკავშირებით.

ალბათ, მკითხველისთვის საინტერესოა, ვინ შეიძლება გახდეს მისი ძირითადი დასაყრდენი არჩევნების შემდგომდროინდელ პარლამენტში?

ვარაუდობენ, რომ ეს ფორუმელები და „მრეწველები“ გახდებიან. ფორუმელ დეპუტატს, ანი მიროტაძეს თუ ჰკითხავთ, აუცილებლად ასე გიპასუხებთ: „მსგავსი სისულელე არასდროს მომისმენია. ფორუმი კოალიციიდან გამოსვლას კატეგორიულად არ აპირებს და თუ ეს გეგმა ვინმეს მაინც გააჩნია, მას პოლიტიკური აზროვნების აბსოლუტური დეფიციტი აქვს“. რა თქმა უნდა, გვჯერა, რომ ქალბატონი ანი შესაძლოა მართლაც გულწრფელი იყოს თავის პოზიციაში, თუმცა რას გაუგებ ამ ჩახლართულ პოლიტიკურ ლაბირინთებს? ასე რომ, კვლავაც გავაგრძელებთ იმ სქემაზე საუბარს, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენებდით.

ვერსიის მხარდამჭერებს საკუთარი არგუმენტებიც აქვთ, როცა ბურჯანაძის იატაკქვეშა მხარდამჭერებად სწორედ „ეროვნულ ფორუმსა“ და „მრეწველებს“ ასახელებენ. ამის საფუძველს მათ ამ ორი პოლიტიკური სუბიექტის წარსული და ზოგიც, ამჟამინდელი პოლიტიკური განცხადებები აძლევს. ანუ, ერთი მხრივ ფორუმის მჭიდრო თანამშრომლობა ბურჯანაძესთან წარსულში, მეორე მხრივ, „მრეწველთა“ ღიად გაცხადებული მხარდაჭერა ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ერთი სიტყვით, კოალიციაში ეს სწორედ ის ორი პოლიტიკური ძალაა, რომელიც პრაქტიკულად, არ მალავს თავის პრორუსულ ორიენტაციას.

ამ სუბიექტების კოალიციიდან გამოყოფითა და ცალკე ფრაქციად ჩამოყალიბებით ბურჯანაძე უკვე იწყებს ზრუნავს პერპექტივაზე. ეს პერსპექტივა კი საკმაოდ შორს გამიზნული და არავის გავაკვირვებთ, თუ ვიტყვით, ამბიციურია.

შემდეგი სვლა უნდა იყოს შეტევა ივანიშვილის დანატოვარ მინისტრთა კაბინეტზე, რომელსაც სხვადასხვა ხერხებით თუ ხუთ მინისტრს გამოაცლიან, უკვე ჭადრაკული მატით პრემიერსაც დაემუქრებიან.

რა თქმა უნდა, არავის გაუკვირდება თუ ვიტყვით იმასაც, რომ ამ ინტერესის გარშემო ხსენებული სუბიექტების გარდა სხვებიც დაინტერესდნენ, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ, როგორც „პრაიმტაიმს“ უამბობენ, უკვე მიდის მოლაპარაკებები შედარებით ნეიტრალურ ფიგურებთან პარლამენტში, რომლებიც შეთავაზებაზე მორცხვ უარს ჯერჯერობით იმით ხსნიან, რომ მათი გადეპუტატება სწორედ ივანიშვილის დამსახურებაა და მის გარეშე ისინი პარლამენტის კედლებში ვერ შეაღწევდნენ. თუმცა, როდესაც არსებობს დიადი იდეა და შორს გამიზნული კარიერული პერსპექტივები, ამ სიმორცხვის დაძლევაც დიდ პრობლემას არ წარმოადგენს დიდ პოლიტიკაში.

ერთი სიტყვით, ეს არის იმ სქემის უხეში მონახაზი, რომლის მომსწრენიც შესაძლოა უახლოეს მომავალში, სავარაუდოდ, ადგილობრივ არჩევნებამდე გავხდეთ, რომლის შედეგადაც სულაც არ არის გამორიცხული, რომ პრემიერად სწორედ ნინო ბურჯანაძე მოგვევლინოს.

სხვათა შორის, ექსპერტებისა და ივანიშვილის შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებით იმ ანალიტიკოსებს დაუცაცხანა, ვინც ყველაზე მეტად შეიმჩნევა ამ ქალბატონის ახლო ორბიტაზე და სწორედ მათ თხოვდა ახსნას, რატომ თვლიან, რომ მისი წასვლის შემდეგ კოალიცია ერთიანობას ვერ შეინარჩუნებს. მართალია, იქ მათგან პასუხი ვერ მიიღო, თუმცა იგივე ანალიტიკოსები ამ შეხვედრის მერეც ჯიუტად განაგრძობენ იგივეს მტკიცებას.

ზემოთ წარმოდგენილი სქემის შესახებ „პრაიმტაიმი“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა, რომელსაც რატომღაც ასეთი „შეთქმულების“ მონაწილეებად ჩვენ მიერ დასახელებული პოლიტიკური სუბიექტები ვერ წარმოუდგენია, თუმცა, ისიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ პრემიერ-მინისტრის წასვლის შემდეგ კოალიცია ერთობის შენარჩუნებას ვერ შეძლებს:

- „ეროვნული ფორუმი“ ისე მიჩუმდა ბოლო ხანს და ისე შეერწყა „ქართულ ოცნებას“, რომ უკვე დიდი ხანია პოლიტიკურ ასპარეზზე დამოუკიდებლად ნაბიჯი არ გადაუდგამს. ამიტომ, ბოლო პერიოდის განწყობებზე „ეროვნულ ფორუმში“ საუბარი რთულია. რაც შეეხება „მრეწველებს“, მათზეც რთულია მსჯელობა, მაგრამ ფაქტია, რომ მათსა და ბიძინა ივანიშვილს შორის იმდენად მჭიდრო კავშირია, რომელიც პოლიტიკური კავშირის ფარგლებს სცილდება, მათი მხრიდანაც მეეჭვება ასეთი ნაბიჯის გადადგმა, თუკი მკაფიო იქნება ასეთი ნაბიჯის მიმართ ივანიშვილის მკაფიოდ უარყოფითი დამოკიდებულება. ამიტომ, ცალკე აღებული „ფორუმი“ ვერ იქნება ისეთი ძლიერი, რომ მან ცალკე, დამოუკიდებლად არსებობა შეძლოს. ამ მოსაზრებების გამო, ეს მოდელი არ მეჩვენება დამაჯერებლად.

- თუ ამ ახალ შენაერთს გამოუჩნდება ახალი პატრონი ბურჯანაძის სახით?...

- თუ ბურჯანაძეს ამ შემთხვევაში არ განიხილავთ როგორც უკვე პრეზიდენტს, მაშინ ის „ქოლგად“ არ გამოდგება, ვინაიდან მას ძალა არ ექნება. „მრეწველებს“ კი ძალა სჭირდებათ. მათთვის თუ ხეირი არ

რამაზ საყვარელიძე

ლევან ალაფიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლის მემკვიდრის ჩასაგდებად

„ახალი პრემიერის დანიშვნის შემდეგ, შესაძლოა, მოხდეს გადატრიალებები, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება, თუმცა მეეჭვება დღეს გამოიკვეთოს ის პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც ახალ პრემიერზე მისცემს რეაქციას“

EXCLUSIVE

გუგა სანიკიძე

იქნა, ისე არ წავლენ ამ მიმართულებით და რა ხეირი შეიძლება იყოს ამ საქმიდან? ასეთი გათვლები შორ მანძილზე არ კეთდება. მომავალ საპარლამენტი არჩევნებამდე რა მოხდება, კაცმა არ იცის.

- თუმცა, როდესაც პრემიერი მიდის და სწორედ ამ დროს კოალიციას გამოეყოფა ჯგუფი, რომელიც შექმნის ახალ ფრაქციას, სწორედაც რომ, პრემიერის თქმის არ იყოს, შეიძლება გახდეს სიტუაციის „აყირავების“ საფუძველი...

- შეიძლება მოხდეს ასეთი „აყირავება“, არ გამოვრიცხავ. მე ვეკუთვნი ანალიტიკოსების იმ ნაწილს, რომლებიც ამბობენ, რომ კოალიციას ერთიანობის შენარჩუნება გაუჭირდება, მაგრამ ეს კონკრეტული კომბინაცია არ მეჩვენება დამაჯერებლად. რაც შეეხება იმას, რაც თქვენ ახსენეთ, რომ ახალი პრემიერის დანიშვნის შემდეგ, შესაძლოა მოხდეს გადატრიალებები, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება, თუმცა მეეჭვება დღეს გამოიკვეთოს ის პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც ახალ პრემიერზე მისცემს რეაქციას, მით უმეტეს, ვინ იქნება ის, ჯერ არ არის ცნობილი.

რაც შეეხება ჩვენს მომდევნო ექსპერტს, ლევან ალაფიშვილს, ის ზემოთ წარმოდგენილი სქემის ამუშავების პერსპექტივას მხოლოდ მოგვიანებით, ადგილობრივი არჩევნებისთვის ხედავს, როდესაც პოლიტიკური ძალები სტარტს ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის აიღებენ:

- ეს ვერსია ჰიპოთეტურად, რა თქმა უნდა, არის. თუმცა, ვერსია, რომ კონკრეტულ სიტუაციას მივუახლოვოთ, ამისათვის, პირველ რიგში კონსტიტუცია უნდა ვნახოთ და ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ისიც, პარლამენტში კონფიგურაცია როგორ შეიძლება შეიცვალოს. თუ ამ ყველაფერს გავითვალისწინებთ, არ ვფიქრობ, რომ ფორუმელები და მრეწველები შეძლებენ საკმარისი დეპუტაციის შეკრებას იმისათვის, რომ „ოცნებას“ უახლოეს პერსპექტივაში მთავრობის დამტკიცება გაუჭირდეს. ამიტომ ეს ყველაფერი არაპერსპექტიულად მიმაჩნია საპრეზიდენტო არჩევნებიდან უახლოეს 2-3 თვის განმავლობაში. თუმცა შეგვიძლია ვიმსჯელოთ გრძელვადიან პერსპექტივაზე. მეორეადგილოსანის გათვლა სწორედ გრძელ ვადაზე უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ პრემიერ-მინისტრის წასვლის შემდეგ საზოგადოებისთვისაც და კოალიციისთვისაც მისაღები ფიგურის გამოკვეთა, გენერირება შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, ადგილობრივ არჩევნებში საპრეზიდენტო არჩევნების მეორეადგილოსანი სასტარტო პირობებით გამარჯვებულია, თვით „ოცნებაზეც“ კი. თუკი ფორუმი მოკლევადიან გათვლას გააკეთებს და ამ სქემით შეეცდებიან მინისტრთა კაბინეტის ჩაგდებას, შესაძლოა ამ ყველაფერს ემსხვერპლოს მათივე კანდიდატი, რომელიც დღეს მთავრობაშია წარმოდგენილი და თავადაც ეს პოლიტიკური ძალა მარგინალიზებული აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში მთავარია კონსტიტუციური ჩანაწერი მთავრობის ფორმირებაზე, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევა ძალაში, რომ პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტი წარუდგენს პარლამენტს, უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პოლიტიკური სუბიექტიდან, ან საპარლამენტო უმრავლესობის მიერ წარდგენილ კანდიდატს... ეს არის ჩარჩო. შესაბამისად, ახლო მომავალში მინისტრთა კაბინეტის ჩაგდების პერსპექტივა არ არსებობს. ასეთი გათვლა მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება.

გოგი თოფაძე

- თუ ახლად დამტკიცებულ მინისტრთა კაბინეტს გამოაცლიან, ვთქვათ, ხუთ მინისტრს, შესაძლებელია მინისტრთა კაბინეტის მთლიანად შეცვლა?

- როგორ შეიძლება ეს მოხდეს?

- ახალი კაბინეტების დამტკიცების შემთხვევები უახლოეს წარსულში არაერთხელ გვინახავს...

- ის მთავრობა მთავრობა არ იყო. ერთი სიტყვით, ეს სქემა დასაშვებია მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, ნაბიჯ-ნაბიჯ: პირველ ეტაპზე ფრაქციად გამოყოფა და რბილი განცხადებების გაკეთება სამომავლო პერსპექტივებზე გათვლით... პოლიტიკური პროცესების ფონზე კიდევ უფრო გაძლიერება... შემდგომ კი, საბოლოო ჯამში, 2015 წლის გაზაფხულისკენ ეს ყველაფერი უკვე რეალური შეიძლება გახდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კანდიდატი 2013

ნინო ჭანიშვილი - ბრძოლა გამარჯვებისთვის

„ჩემი პრეზიდენტობა იქნება დამატებითი გარანტია ბიზნესისთვის, რადგან მე ბიზნეს საზოგადოება მსოფლიოს 270 ქალაქში მიცნობს, როგორც პასუხისმგებლობით აღსავსე ბიზნეს ლედის...“

„ბიზნეს ასოციაცია არის ჩემი ბიზნესი, ჩვენი ქსელი რომ დაიშალოს, ამისთვის 270 ქალაქს ერთდროულად უნდა დაეცეს ბომბი...“

ნანა შონია

„მომავალი ჩვენია“ ამ ლოზუნგით დაძაბულ საპრეზიდენტო მარათონში კიდევ ერთი კანდიდატი ნონო ჭანიშვილი ერთვება. ჭანიშვილი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ კანდიდატთაგან ერთ-ერთია, რომელიც არჩევნებში გამარჯვებისთვის იბრძოლებს. დასაქმებაზე ორიენტირებული წინასაარჩევნო პროგრამა პრეზიდენტობის კანდიდატმა, ბიზნეს გამოცდილებიდან გამომდინარე შექმნა და თოთოეულ მოქალაქეზე მოარგო. მიუხედავად იმისა, რომ მისი სარჩევნო კამპანია არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე დაიწყო, მისი რეინტინგი მზარდია და როგორც თვითონ ამბობს, გამარჯვების რეალური იმედი აქვს. ვინ არის ბიზნესსექტორიდან პოლიტიკაში გადასვლის მსურველი 38 წლის ნინო ჭანიშვილი? როგორია მისი გეგმები და ვის განიხილავს რეალურ კონკურენტად ამაზე „პრაიმტაიმთან“ თავად საპრეზიდენტო კანდიდატი საუბრობს.

ნინო ჭანიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატი: „ჩვენ მოვდივართ ახალი რესურსებით. ეს არის ახალი, კვალიფიციური კადრები, რომლებსაც კარგად აქვთ შესწავლილი ქართული პრობლემები და ყველაზე მთავარი ზუსტად ვიცით, როგორ ვებრძოლოთ ჩვენი საზოგადოების მთავარ სენს, უმუშევრობას. მე მოვდივარ ბიზნესიდან და ჩემი კონკრეტული ბიზნეს გეგმებით. დღეს ქვეყანაში ეკონომიკური ბერკეტები დაულაგებელია, მცირე და საშუალო ბიზნესს კი საშუალება არა აქვს განვითარდეს. ყველანი ვყოფილვართ თურქეთში და თუნდაც თურქეთის მაგალითზე ვიცით, თუ რა აქტიურად მუშაობს იქ სასტუმროების ბიზნესი, რაოდენ მომზადებულია პერსონალი და მაღალია მომსახურების დონე. ჩვენ მოვახდენთ ჩვენი პერსონალის გადამზადებას შესაბამის უნარ-ჩვევებში, რათა მათ შეძლონ დამოუკიდებლად ბიზნესის წარმოება და მიიღონ იმაზე მეტი შემოსავალი, რაც 300 ან თუნდაც 500 ლარია. ჩვენ უნდა მივიდეთ თითოეულ ადამიანთან და დავადგინოთ მათი ინდივიდუალური პრობლემა, რათა შევთავაზოთ გამოსავალი და ბიზნესის განვითარების გეგმა. როდესაც ამაზე ვსაუბრობთ, ყველას აინტერესებს, როგორ მოვახერხებთ ამის გაკეთებას. მე ჩემი ბიზნეს გეგმა და კავშირები მაქვს მთელს მსოფლიოში. ჩემი პრეზიდენტობა ეს იქნება დამატებითი გარანტია ბიზნესისთვის, რადგანაც მე ბიზნეს საზოგადოება მსოფლიოს 270 ქალაქში მიცნობს, როგორც პასუხისმგებლობით აღსავსე ბიზნეს ლედის“.

ბიზნეს ლედი

- რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს ჩემი კარეირა, დაიწყო სამი წლის ასაკიდან. როდესაც ბებიამ, ოპერის მომღერალმა, ქალბატონმა ნათელა სვანიშვილმა მიმიყვანა ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდში. ერთ წელიწადში, 4 წლის ასაკში მე სცენაზე აღიარებულ ვარკვალევებთან ერთად ვიდექი და ვმღეროდი. ჩემი სასცენო კარიერა 16 წლამდე გაგრძელდა, რის შემდეგაც ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიურ ფაკულტეტზე. ძალიან ბევრს ვმოგზაურობდი, ოჯახში მქონდა ლინგვისტური გარემო დედაჩემი ვიოლეტა ჭანიშვილი ლინგვისტი იყო და ბავშვობინად ოჯახში მესმოდა ბევრი ენა. ამ მოგზაურობის და ლინგვისტიკური გარემოს დამსახურებაა ის, რომ დღეს მე ვიცი ათი ენა. მოგვიანებით კი სწავლა გავაგრძელე გერმანიაში, ეკონომიკურ-იურიდიულ ფაკულტეტზე, ამ დროს ვიყავი 20 წლის და დავაფუძნე ქართულ-გერმანული საზოგადობა, რომლის პრეზიდენტიც გავხდი. გერმანიაში აქტიურად ვეწეოდი საქართველოს პოპულარიზაციას. ვატარებდით საღამოებს და ვაცნობდით გერმანელებს საქართველოს. სწორედ ამას დაუკავშირდა ჩემი პირველი ბიზნესი და დავიწყე გერმანელების ჩამოყვანა საქართველოში. გერმანიაში ჩვენს მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ საღამოზე გავიცანი მომავალი მეუღლე აქტან ბილდე, რომელიც გერმანიაში მოღვაწე ბიზნესმენია და აქტიურად ჩავერთე ბიზნეს საქმიანობაში. 23 წლის ასაკში მე უკვე მქონდა ჩემი პირველი ქარხანა.

„მე მჯერა, რომ საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც რეალურ კონკურენციას გამიწევენ, მაგრამ სამწუხაროდ, დღეს არჩევნებში ეს ადამიანები ჩართული არ არიან...“

Ⓐ გაგრძელება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჩემს კონკურენტებთან შედარებით ყველაზე ძლიერი კანდიდატი ვარ! მე ვარ ხალხის ხმა, რომელიც იზრუნებს ხალხზე!“

„მე უკვე ცოდნამიღებული და ამბიციებდაკმაყოფილებული მოვდივარ ხალხის სამსახურში...“

ჩემმა მეუღლემ იცოდა, რომ მე დროებით ვიყავი გერმანიაში სასწავლებლად ჩასული და საქართველოში წამოსვლის გადაწყვეტილება მანაც მიიღო. 1999 წელს ჩამოსვლისთანავე გავხსენით სარეცხი საშუალებების ბიზნესი საქართველოში. გავაკეთეთ ქარხანა, დავიწყეთ მოღვაწეობა და აღმოჩნდა, რომ აქ ძალიან ბევრ ბიზნესმენს დასჭირდა ჩვენი კონსულტაციები, რადგანაც გვქონდა გარკვეული კავშირები და გამოცდილება. საქართველოში ჩამოსვლის მიუხედავად კვლავ აქტიურად ვაგრძელებდი გერმანიასთან კულტურულ კავშირებს და გავაკეთე ინტერკულტურული თანამშრომლობის ცენტრი. გამოფენებს ვაწყონდით გერმანიაში, ვაკეთებდით კულტურის კვირეულებს, ამ კვირეულის ფარგლებში გამოვუშვით წიგნი „ქართული მხატვრობის ისტორია“ ქართულ-ინგლისურ ენაზე. ვისაც ერთი წელი მაინც უცხოვრია საქართველოდან შორს, მიხვდება რატომ ვაკეთებდი ამას. თვითონ კითხვა „Are you Russian?“ ჩემში იწვევდა აგრესიას, რადგანაც მინდოდა ყველას სცოდნოდა საქართველო. მცირე პერიოდში, ამ ინტერაქციაში დავინახე, რომ ბიზნესმენები უფრო ინტერესდებოდნენ ბიზნესით და მე დავიწყე დახმარება ამ ადამიანებისთვის, რათა მათ შეძლებოდათ ქართულ ბაზარზე შემოსვლა. იმდენად ბევრი ადამიანი მიკავშირდებოდა ამ თემით, რომ ძალიან მალე ჩამოვყალიბდი ბაზარზე შესვლის სპეციალისტად. ინტერნეტის განვითარების პარალელურად დავამთავრე სპეციალური პროგრამირების კურსები. მე და ჩემმა მეგობრებმა გავაკეთეთ სპეციალური პროგრამა, რომლითაც ბიზნესმენები უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. დღეს, როდესაც სოციალური ქსელები ასეთი აქტიური და პოპულარულია, ეს არავისთვის არ წარმოადგენს სიახლეს, მაგრამ მე ვსაუბრობ ჯერ კიდევ იმ პერიოდზე, როდესაც არ არსებობდა სოციალური ქსელი. ამ პროგრამის ამუშავებით ჩვენ დავიწყეთ გაერთიანება და ნელ-ნელა გავფართოვდით. ყველაფერი დავიწყეთ 14 კაცმა, დღეს ვართ 4 მილიონ ნახევრიანი ქსელი და მსოფლიოს 270 ქალაქში 87 ქვეყანაში ვართ წარმოდგენილი. ეს არის სოციალური ქსელის ტიპის თანამედროვე ბიზნეს ასოციაცია, რომელიც მიმაგრებულია შიდა ქსელთან. ნელ-ნელა კი გავაკეთეთ საკუთარი ჯგუფი უკვე რეგისტრირებული წევრების. დღეის მდგომარეობით 15 ათასამდე რეგისტრირებული წევრი გვყავს და ყოველდღიურად ვაფართოებთ ჩვენს შესაძლებლობებს. დღეს ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ წინა მთავრობამ ჩემი ბიზნესი დააზარალა, რადგანაც მე ის გადავიტანე თურქეთში. ჩემი პარტნიორები და ჩემ მიერ საქართველოში შემოყვანილი უცხოელი ინვესტორები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. თურქეთში საკმაოდ სერიოზულად აყვავდა ჩემი ბიზნესი და აღმოჩნდა, რომ სწორად მოვიქეცით. ხალხი იქ დაინტერესდა ჩვენი კონცეფციით.

„არჩევნებში ჩვენ გვაქვს ნომერი 7! შვიდ დღეში შექმნა ღმერთმა სამყარო და შესაბამისად, მე ვთვლი, რომ რეალური გამარჯვების მისაღწევად ჩვენ წინ გვაქვს კიდევ გარკვეული დრო!“

დაბრუნება

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როდესაც გარკვეული პოლიტიკური ცვლილებები მოხდა საქართველიოში, არჩევნების წინ, როდესაც დავინახე, რომ პოლიტიკაში გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, აბსოლუტურად სხვა სიგნალი მივიღე და დავიწყე მომზადება ჩემი ბიზნესის საქართველოში დასაბრუნებლად. ეს ასოციაცია არის ჩემი ბიზნესი, ჩვენი ქსელი რომ დაიშალოს, ამისთვის 270 ქალაქს ერთდროულად უნდა დაეცეს ბომბი. ეს არის ქსელური მარკეტინგი, ოღონდ ინტერნეტის მეშვეობით. ნებისმიერ ადამიანს, ვისაც უნდა რომ ჩაერთოს ბიზნესში, აწიოს გაყიდვები, გაიტანოს პროდუქცია, ადვილად შეუძლია ჩართვა. სამი თვიდან 6 თვემდე საკმარისი დროა იმისთვის, რომ თქვენ დაიკმაყოფილოთ გლობალური ამბიცია. გარდა ამისა, ჩვენ გავაფორმეთ ხელშეკრულებები და დავაფუძნეთ საინვესტიციო ფონდი, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი პროექტების ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების განხორციელებას. ამდენი აქტიურობის შემდეგ, მე ჩემმა უცხოელმა და ქართველმა პარტნიორებმა შემომთავაზეს მიმეღო მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში. ჩემი ჩართვით პოლიტიკაში, ბიზნესი ყოველგვარი პოლიტიკური ზემოქმედებისგან გათავისუფლდება, აღდგება სამართლიანობა და ღირსება და შევძლებთ განვავითაროთ ეკონომიკა. ჩვენი ეკონომიკური მაჩვენებელი გვაძლევს საშუალებას განვვითარდეთ და რეგიონში გავხდეთ გადაკვეთის წერტილი. ჩვენ შეგვიძლია ამის გამოყენება ენერგეტიკაში, საზღვაო სფეროში, ტელეკომუნიკაციებში, რეექსპორტის სისტემის განვითარებაში, ტრანსპორტში და ლოჯისტიკაში ახალი ქარხნების განვითარებაში. ჩვენი ჯგუფის მიზანია დაფუძნდეს და გაძლიერდეს ბრენდი „Made In Georgia“ ! მართალია წინა ხელისუფლების პირობებში გაკეთდა თავისუფალი ზონა, მაგრამ ყველამ კარგად ვნახეთ, რომ ვერ აამუშავეს. ეს იმიტომ არ მოხდა, რომ არ არსებობს ბაზარზე გასვლის სტრატეგია. ამიტომაც ჩემი ძირითადი ბერკეტი ეს არის ბაზარზე გასვლის 100%-იანი შესაძლებლობა. ჩემი სპეციალობა არის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ბაზარზე კომპანიის გაყვანა და ინვესტორების მოძიება. ის, რაც დღეს ყველაზე მეტად სჭირდება საქართველოს. ჩემს გუნდში არის ხალხი, რომლებიც საკუთარი საქმის პროფესიონალები არიან. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში ზუსტად ვიცი დამატებით სამუშაო ადგილებს და ე.წ. დამატებით ღირებულებას როგორ შევქმნით და როგორ გავზარდოთ მთლიანი შიდა პროდუქტი. დღეს თითოეულ მოქალაქეს შეუძლია წავიდეს იუსტიციის სახლში და 140 ლარად გახსნას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაიწყოს მცირე ბიზნესი, თუნდაც სახლში. მაგრამ ხალხი, ადგილზე შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შეშინებულია. როგორ შეიძლება ბიზნესი და კეთილდღეობა ასოცირებული იყოს დალუპვასთან. ჩვენს რეალობაში ეს სამწუხაროდ ასეა. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში გავაკეთებთ სახელმწიფო პროგრამას, რომლის მიხედვითაც გატარდება რეფორმა განათლების სისტემაში და მოხდება ადამიანების გადამზადება. ჩვენ ინდივიდუალურ დონეზე უნდა დავადგინოთ თუ რა სჭიდება ნებისმიერ ადამიანს იმისთვის, რომ დამოუკიდებლად ცხოვრება შეძლოს. როდესაც მოდიხარ პრეზიდენტად და მერე იწყებს ფიქრს რა გააკეთო, ეს დაუშვებელი. ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში მხოლოდ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მე მინდა საზოგადოებას მოვუწოდო, მოითხოვოთ პოლიტიკური ვალების დაბრუნება...“

„ჩათვალეთ, რომ პრეზიდენტობა ეს არის სოციალური სესხი მოსახლეობისგან, ისინი შენ გაძლევენ ვალს, რომელიც უნდა დააბრუნო!

ჩემს ინაუგურაციაზე იმდენი ბიზნესმენი ჩამოვა, ამ ადამიანებიდან თუნდაც 10%-მა რომ ჩადოს ფული საქართველოში, ეს მოხსნის დასაქმების პრობლემას.

კონკურენტები

შეიძლება ითქვას, რომ არჩევნებში მონაწილე 22 კანდიდატი ჩემი კონკურენტია, თუმცა მე და ქართულმა საზოგადოებამ წლების მანძილზე მათ მიერ გაკეთებული საქმე ვერ ვნახეთ. მე მჯერა, რომ საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც რეალურ კონკურენციას გამიწევენ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს არჩევნებში ეს ადამიანები ჩართული არ არიან. მე ვთვლი, რომ ჩემს კონკურენტებთან შედარებთ ყველაზე კარგი კანდიდატი ვარ! მე ვარ ხალხის ხმა, რომელიც იზრუნებს ხალხზე! პოლიტიკაში ახალი სახე ვარ. 20 წელია პოლიტიკას ვსწავლობთ, ამ ხნის მანძილზე მეც ბევრი შეცდომა დავუშვი, შეცდომებზე ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ მაშინ, როდესაც შენ ჯდები პრეზიდენტის სავარძელში და შემდეგ იწყებ შეცდომებზე სწავლას, ეს ქვეყნის წინაშე უპასუხისმგებლობად მიმაჩნია! მე უკვე ცოდნამიღებული და ამბიციადაკმაყოფილებული მოვდივარ ხალხის სამსახურში. მაშინ, როდესაც შენს გვერდით მყოფ ადამიანებს, ან თუნდაც წალენჯიხის რაიონ სოფელ ლიას მოსახლეობას შია, შენ შეცდომებზე სწავლის დრო არ გექნება! ჩათვალეთ, რომ პრეზიდენტობა ეს არის სოციალური სესხი მოსახლეობისგან, ისინი შენ გაძლევენ ვალს , რომელიც უნდა დააბრუნო! მე მინდა საზოგადოებას მოვუწოდო, მოითხოვონ პოლიტიკური ვალების დაბრუნება, ისე, როგორც თქვენ მოითხოვთ იმ ადამიანისგან თანხის დაბრუნებას ვისაც ეს თანხა ასესხეთ. ამიტომაც ვთვლი, რომ არც ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი ჩემზე მეტად საჭირო არ არის. მე ვარ ის, ვინც სჭირდება საზოგადოებას, ქართველ ხალხს, უკეთესი მომავლისათვის!

„ცნობადობა არაფერს ნიშნავს, ამ კრიტერიუმით თუ აპირებს ქართველი ხალხი პრეზიდენტის არჩევას, მაშინ აირჩიეთ მიხეილ სააკაშვილი...“

ცნობადობა მნიშვნელოვანია, თუმცა არა გადამწყვეტი

ხშირად მეუბნებიან, რომ ჩემი კონკურენტები ჩემზე ბევრად უფრო მეტად ცნობადი სახეები არიან. ამაზე მინდა ვთქვა, ცნობადობა არაფერს ნიშნავს, ამ კრიტერიუმით თუ აპირებს ქართველი ხალხი პრეზიდენტის არჩევას, მაშინ აირჩიეთ მიხეილ სააკაშვილი... ანდრეს ბრეივიკი ერთ-ერთი ცნობადი ადამიანია მსოფლიოში. ამიტომაც მე ვთვლი, რომ ცნობადობა მნიშვნელოვანია, თუმცა არა გადამწყვეტი მაშინ ისევ გყავდეთ მიხეილ სააკაშვილი. გეტყვით, რომ ჩემი აქტიურობიდან სამ დღეში უკვე მქონდა გარკვეული გამოკითხვებით შედეგი, რაც ნამდვილად მისასალმებელია. 15 წელია, რაც ვარ საქართველოს ბაზარზე და არც ისეთი ცოტა მაქვს გაკეთებული ჩემი ქვეყნისთვის. ადამიანები, რომლებსაც ბიზნესში ჰქონდათ პრობლემები ყოველთვის მოდიოდნენ ჩემთან. რადგანაც ბიზნეს სივრცეში ვარ ცნობადი სახე,ჩემი რჩევებით კმაყოფილი ხალხი მე გამიწევს პროპაგანდას.

Ⓐ გაგრძელება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კანდიდატი 2013

ნინო ჭანიშვილი - ბრძოლა გამარჯვებისთვის

„მე ვარ დეფიციტური კანდიდატი და კონკურენტები არ მყავს! ...“

„საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული იქნება ჩემი პრეზიდენტობა და ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობა ერთდროულად...“

„მე მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი შეცვლის მის გადაწყვეტილებას საზოგადოებრივ სექტორში გადასვლასთან დაკავშირებით და მომავალი ოთხი წლის მანძილზე იქნება საქართველოს პრემიერ-მინისტრი...“

არჩევნებში ჩვენ გვაქვს ნომერი 7! შვიდ დღეში შექმნა ღმერთმა სამყარო და შესაბამისად მე ვთვლი, რომ რეალური გამარკვევის მისაღწევად ჩვენ წინ გვაქვს კიდევ გარკვეული დრო! რეალური გამარჯვება ნებისმიერ დარგში ეს არის მოთხოვნა და მიწოდება, მე ვთვლი, რომ იმის მიწოდება, რაც სურს ქართველ ამომრჩეველს, შემიძლია მარტო მე და არც ერთ ჩემს კონკურენტს. მე ვარ დეფიციტური კანდიდატი და კონკურენტები არ მყავს! მე ძალიან ბევრი მაქვს ნაფიქრი სოციალურ პრობლემებზე! ამიტომაც ჩემი და ჩემი გუნდის მთავარი ამოცანაა გადავჭრათ რიგითი მოქალაქეების პრობლემები. თითოეული დასაქმებული ადამიანი იქნება ნაკლები სოციალური პრობლემა. ამავდროულად მათ მიერ გადახდილი გადასახადით შესაძლებელი იქნება დამატებითი პრობლემების მოგვარება.

სამართლიანობის აღდგენა

- მე ვთვლი, რომ სამართლიანობის აღდგენა აუცილებელია. ეს რომ ორმაგი მორალი არ იყოს გასამართლებული უნდა იყოს ყველა, ვინც დაარღვია კანონი, მაგრამ ეს უნდა მოხდეს კანონიერად. სამწუხაროა, რომ ჩვენთან გასამართლებამ მიიღო არასამართლიანობის ფორმატი. ჩვენთან ყველაფერი პიარაქციაა, ქართველებს გვიყვარს ადრენალინის აწევა და ვთვლი, რომ ყვლაფერი უნდა გაკეთდეს კონსტრუქციულად. ქართველი ქართველს არ უნდა ებრძოდეს. ჩვენ პატარა ერი ვართ და თითოეული მოქალაქე ერთმანეთთან არის დაკავშირებული. დღეს პატრიარქი იმდენი ბავშვის ნათლიაა, რომ ძალიან მალე ადამიანების უმეტესობა ერთმანეთის ნათესავები ვიქნებით. ჩვენ არ გვაქვს უფლება ერთმანეთს შურისძიებისა და რევანშის მეთოდებით ვებრძოლოთ.

- თქვენი არჩევის შემთხვევაში, როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება თქვენი თანამშრომლობა მთავრობასთან და ახალ პრემიერთან?

- მე ვთვლი, რომ ჩემთან კოოპერაცია ყველას ინტერესშია. მთავრობასთან მექნება აბსოლუტურად კონსტრუქციული და საქმიანი ურთიერთობა. ვთვლი, რომ საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტი არავის ოპოზიციაში არ უნდა იყოს. მან უნდა იზრუნოს საქართველოზე და ქართველ ხალხზე. რაც შეეხება ახალ პრემიერს, მე მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი შეცვლის მის გადაწყვეტილებას საზოგადოებრივ სექტორში გადასვლასთან დაკავშირებით და მომავალი ოთხი წლის მანძილზე იქნება საქართველოს პრემიერ-მინისტრი. თუ ეს ასე მოხდა, საკმაოდ ნაყოფიერი და წარმატებული იქნება ჩემი პრეზიდენტობა და ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობა ერთდროულად. ჩვენ ორივე ბიზნესიდან მოვდივართ პოლიტიკაში და ზუსტად ვიცით რა სჭირდება ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს. პრემიერთან შეხვედრა მქონდა სამჯერ, თუმცა ეს იყო ყოველთვის კონფერენციულ ფორმატში. მე ვაპირებ მასთან თანამშრომლობას. ჩვენი მზიანი საქართველოს მშენებლობა და გაძლიერებაა და ვთვლი, რომ ამ საქმეში პარტნიორები და ინტერესეთა ალიანსში ვართ.

„მინდა მივმართო ქართველ ამომრჩეველს, 27 ოქტომბერს ყველანი მიდით არჩევნებზე და შემოხაზეთ თქვენი უკეთესი მომავალი - ნომერი 7!“

- ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში როგორ აპირებთ რუსეთთან ურთიერთობას და თუ გაქვთ კონკრეტული გეგმები ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებით?

- კონფლიქტური რეგიონები ეს ის პრობელმაა, რომლის მოგვარებაც ფინანსურად არ არის შესაძლებელი. ჩვენ გვაქვს ჩვენი კონკრეტული გეგმები აფხაზეთთან, ოსეთთან და რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების კუთხით. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ჩემი უმთავრესი ამოცანა იქნება ეკონომიკური კავშირები გავამყაროთ ჩვენს მოძმე აფხაზებთან და ოსებთან. დღეს ჩვენ მათთან გვაქვს ურთიერთობა, მაგრამ ეს კავშირი არ არის. ეკონომიკურად უნდა გამყარდეს ეს ყველაფერი. გერმანიამ ორი ომი გადაიტანა, იმისთვის, რომ ძალაუფლება და ბატონობა ჰქონდა ევროპაზე, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. ძალით ვერაფერს მიაღწია, მაგრამ მისი ეკონომიკური რეფორმით შექმნა ევრო, ევროკავშირი და დღეს ეს არის ის გაერთიანება, სადაც ნებისმიერი ცივილური სამყარო ინატრებს ყოფნას. ჩვენი მიზანია გავხდეთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. ეს მოიტანა ეკონომიკურმა რეფორმამ. დღეს ჩვენ ყველას გვინდა, ვიყოთ ევროსივრცის წევრი სახელმწიფო. რეგიონში ყველაზე ძლიერი მოთამაშე და შესაძლოა ჩვენთან თანამშრომლობა იმაზე მეტ ქვეყანას მოუნდეს, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ. რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს და მასზე ატეხილ ხმაურს, მინდა ვთქვა, რომ ეს კავშირი საერთოდ არ არსებობს. მე არ მჯერა მისი და იმის, რომ ეს კავშირი რამე საშიშროებას ნარმოადგენს საქართველოსთვის. აქ არის ფუნდამენტური პრობლემები და შეუძლებელია ჩვენ ვიყოთ ამ ალიანსის ჩამოყალიბებაში. ჩვენი ორიენტაცია იმდენად არის ევროპული, რომ ამ კურსის შეცვლა შეუძლებელია. ჩვენ გვაქვს რეალური შანსი და შესაძლებლობა გავხდეთ ევროპის სრულფასოვანი წევრები. რაც შეეხება ნატოს, ვთვლი, რომ მასში გაწევრიანება მარტივი არ არის, თუმცა ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გაგრძელდეს მუშაობა და ვიმედოვნებ, რომ სერიოზული გადაწყვეტილებების მიღება ამ მიმართულებით ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში მოხდება.

- რას აპირებთ იმ შემთხვევაში, თუ კი 27 ოქტომბერს ვერ მიიღეთ ის შედეგი, რასაც არჩევნებისგან ელით, რა გეგმები გაქვთ, აპირებთ პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას, როგორც ახალი პოლიტიკური სახე?

- მოდით გეტყვით პირდაპირ, რომ მე არჩევნებში გამარჯვების რეალური იმედი მაქვს და ამიტომაც წაგებაზე არ ვფიქრობ. მე მივმართავ ქართველ ხალხს და ვეუბნები მათ, რომ არ დანებდნენ, არ უნდა დანებდნენ საქართველოს ნათელ მომავალს, ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე და შედეგიც წარმატებული იქნება! თუ ჩემი პრეზიდენტობა არ გამოვა, მართალია ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ მაინც აქტიურად ვიზრუნებ საქართველოს უკეთესი მომავლისა და აღმშენებლობისთვის! მინდა ყველას უთხრა მე პოლიტიკაში მოვდივარ დიდი პოლიტიკური გეგმებით. მინდა მივმართო ქართველ ამომრჩეველს, 27 ოქტომბერს ყველანი მიდით არჩევნებზე და შემოხაზეთ თქვენი უკეთესი მომავალი, ნომერი 7!

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სამეფო ტახტის მემკვიდრეები

ერეკლე სტურუა

ვინ ეცილება დავით და ანა ბაგრატიონების ვაჟს ჯერ არარსებულ სამეფო გვირგვინს?



EXCLUSIVE

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში უფლისწულ გიორგი ბაგრატიონის ფოტო გავრცელდა. ფოტოს თან ერთვის წარწერა, რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ გიორგი ბაგრატიონს ესპანეთის შსს-მ საპატიო ინსპექტორის წოდება მიანიჭა.

„დღეს, უფლისწული გიორგი, დავითისა და ანას ძე ბაგრატიონ-ბაგრატიონს ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერ-ოვნულმა პოლიციამ საპატიო ინსპექტორის წოდება მიანიჭა. ამით ესპანეთის სამეფომ, კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი დიდი პატივისცემა ბაგრატიონთა დინასტიის მიმართ“ - ნათქვამია უფლისწული გიორგის მეგობართა კლუბის „ფეისბუქის“ გვერდზე.

სანამ ესპანეთის სამეფო კარი უფლისწულ გიორგის ეცნობა, საქართველოში მისი კონკურენტების შესახებ ვრცელდება ინფორმაცია. ვინ შეიძლება შეეცილოს დავით და ანა ბაგრატიონების ვაჟს ჯერ არარსებულ სამეფო ტახტში? სამეფო გვირგვინის წარმომადგენელი, ია ბაგრატიონ-მუხრანელი „პრაიმტაიმს“ ბაგრატიონთა იმ მემკვიდრეებს უსახელებს, რომლებიც შესაძლოა პრეტენდენტებად განვიხილოთ. მოკლედ, ინტერვიუში შეიტყობთ კიდევ ორი უფლისწულის შესახებ, რომლებიც დავითის და ანას ვაჟის მსგავსად მცირეწლოვნები არიან და სათავადაზნაურო წრეებში, ისინიც ტახტის მემკვიდრეებად სახელდებიან.

- რა პერსპექტივა აქვს მონარქიის აღდგენას და როდის შეიძლება გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები?

- მე ვფიქრობ, ეს არის ერთადერთი იდეა, რომელიც გადაარჩენს საქართველოს. რა თქმა უნდა, ამ იდეას აქვს მომავალი. მადლობა ღმერთს, არიან ახალგაზრდა ბაგრატიონები. ჩვენ ძირითად ფოკუსირებას ვაკეთებთ იმაზე, რომ მათი პირმშოები აღიზარდონ საპატრიარქოს წიაღში. თუ მეფე არ იქნება მორწმუნე, რა მონარქიაზეა საუბარი. ის ასოცირებული უნდა იყოს დავით აღმაშენებელთან. ნაწინასწარმეტყველებია, რომ მხოლოდ მონარქისტულმა იდეამ შეიძლება მოუტანოს ჩვენს ქვეყანას ერთიანობა.

- კონკრეტულად ვის განიხილავთ სამეფო ტახტის მემკვიდრედ, ვიცით, რომ დავით და ანა ბაგრატიონების ვაჟს აქედანვე ამისთვის ამზადებენ...

- კონკრეტულ პერსონალიებს არა აქვს მნიშვნელობა. დავითის და ანას ვაჟი გიორგი 2 წლის გახდა, შესანიშნავი ბავშვია, თუმცა არიან კიდევ სხვებიც, რომელთა განხილვაც შეიძლება. იქნება კიდევ გამოჩნდეს. ჩვენი ბოლო წმინდანი, მამა გაბრიელის სიტყვებს გაგახსენებთ - საქართველო გაბრწყინდება მაშინ, როდესაც ქვეყანას მოევლინება ღვთითკურთხეული მეფეო.

- თქვენ პირადად ემხრობით გიორგი ბაგრატიონის ვარიანტს?

- რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა, ბაგრატიონთა ორი შტოს შეუღლების ნაყოფი. გიორგი პატარაა, ალბათ, ჩამოიყვანენ მალე საქართველოში და მოხდება მისი მომზადება. მე ვფიქრობ, საპატრიარქოს წიაღში რამდენიმე ბაგრატიონის პირმშო უნდა აღიზარდოს და შემდეგ გამოჩნდება ვინ არის საუკეთესოთა შორის საუკეთესო.

- ანუ ძირითადი სიტყვა მაინც საპატრიარქოზე იქნება?

- საპატრიარქოს წიაღში უნდა გამოიკვეთოს ეს, სხვაგვარად ვერ მოხდება.

- და მაინც, ვინ შეიძლება განვიხილოთ გიორგი ბაგრატიონის გარდა, ტახტის მემკვიდრედ?

- არიან უცოლო ბაგრატიონებიც, რომლებსაც გაუჩნდებათ შვილი და ცხადია, შესაძლოა მათი განხილვაც. მაგალითად, ირაკლი ბაგრატიონი მუხრანის შტოს წარმომადგენელი, და ღვანკითიდან იმერეთის შტოს წარმომადგენელი ერეკლე ბაგრატიონი. ასევე ბავშვები ჰყავთ უკვე ოთარ ბაგრატიონს და სანდრო ბაგრატიონს. ასევე უცოლოა, დავით ბაგრატიონის უმცროსი ძმა ჰუგო, რომელიც ესპანეთში ცხოვრობს.

- ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამი მემკვიდრე უკვე სახეზეა?

- კი, მათგან როგორ უნდა მოხდეს გამორჩევა, ამის მზა რეცეპტი არ არსებობს, თუმცა 7 წლის ბავშვში უკვე ჩანს რაღაც ნიშნები, რომლითაც შეიძლება ის შეფასდეს, როგორც მომავალი მემკვიდრე. კიდევ ვიმეორებ, მთავარია მათი აღზრდა საპატრიარქოს ზედამხედველობით. მან უნდა იცოდეს ქართული, მაგალითად, ესპანელმა ბაგრატიონებმა არ იციან ქართული, რაც გარკვეულწილად სირთულეს წარმოადგენს. უკვე დაბადებული მემკვიდრეები ჯერ ძალიან პატარები არიან იმისთვის, რომ რეალური მსჯელობა დავიწყოთ მათზე, თითქმის თანატოლები არიან 2-3 წლისანი.

- რა ვადაში წარმოგიდგენიათ საქართველოში მონარქიის აღდგენა?

- ამას დასჭირდება, ალბათ, სადღაც 20 წელი. საზოგადოება უნდა იყოს ამისთვის მზად. მანამდე ჩვენ, სამეფო გვირგვინის წარმომადგენლები და თავად-აზნაურობა ვაპირებთ მოვამზადოთ ერი. გარდამავალ ეტაპზე ქვეყანას ნამდვილად სჭირდება საპარლამენტო მოწყობა. ხალხს უნდა ავუხსნათ, რომ მეფე კი არ წაართმევთ რამეს, არამედ, პირიქით, ეს იქნება მათი კეთიდღეობის გარანტი. რა წართმევაზეა საუბარი, მაგალითად მე ვარ მუხრანელი, მაგრამ ერთი მტკაველი მიწა არ მაქვს მუხრანში, სამაგიეროდ ახლა იქ არის მომჯდარი ახალი მუხრან ბატონი, მამუკა ხაზარაძის სახით. მე კი იქ, ძირძველი ქართული მეღვინეობის სანახავად ბავშვები მყავდა წაყვანილი და პრობლემები შემიქმნეს შესვლაზე, არ გვიშვებდნენ.

- ხელისუფლების პოზიცია თუ ცით მონარქიის თემაზე?

- ჩვენ გვინდოდა ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა, ჯერჯერობით ეს ვერ მოხერხდა, თუმცა ვაპირებთ შევხვდეთ მას და გავაცნოთ მონარქისტული იდეა. თუ მიიღებს ამ იდეას, მხოლოდ ქვეყანას წაადგება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ბიძინა ივანიშვილის სიტყვა იქნება ჩვენთვის გადამწყვეტი“

ზვიად ძიძიგური: „პატიმრები დღეს ნამდვილად არიან გაცილებით უმჯობეს პირობებში. ამ მხრივ, ჩვენ წინსვლა გვაქვს“

my View
ხათუნა მგალობლიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობა მთავრობის მუშაობას დადებითად აფასებს. დეპუტატებს უჭირთ მინისტრების მუშაობაში მინუსების პოვნა. უფრო მეტიც, ისინი სოზარის მუშაობასაც კი დადებითად აფასებენ და აღიარებენ, რომ ციხე არის ადგილი, სადაც უბედური შემთხვევები ხშირად ხდება და ამაში განსაკუთრებული არაფერია... შესაბამისად, პარლამენტი მზად არის, ახალი პრემიერის დანიშვნის შემთხვევაში მთავრობის იგივე შემადგენლობას გამოუცხადოს ნდობა.

ზვიად ძიძიგური, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ ერთ წელიწადში ხელისუფლებამ განახორციელა ბევრი დაპირება, რომლებიც თითქოს მართლაც ოცნების სფეროდან იყო, რადგან ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მათი შესრულება შესაძლებელი იყო. იგივე საყოველთაო დაზღვევა, სოციალური დახმარებების გაზრდა, მასწავლებლების ხელფასების გაზრდა, სოფლის მეურნეობას არნახული მოსავალი აქვს, ასეთი მოსავალი კომუნისტების შემდეგ არ ჰქონიათ. ასეთივე წარმატებებია შინაგან საქმეთა სამინისტროში, დანაშაულის გახსნის ძალიან მაღალი მაჩვენებელია. პარლამენტმა საზოგადოებას ძალიან მნიშვნელოვანი შეთავაზებები გაუკეთა მნიშვნელოვანი კანონპროექტების მიღების სახით. მართალია, საზოგადოება ითხოვს, რომ ძალიან სწრაფი ტემპებით მოხდეს დამნაშავეების სასწრაფო წესით დასჯა, თუმცა ეს არ არის ჩვენს მიერ მიცემული პირობა ამომრჩევლითვის. ჩვენ ამომრჩეველს პირობა მივეცით, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობას შევუწყობდით ხელს. დამოუკიდებელი სასამართლო კი სულაც არ გულისხმობს სასწრაფო წესით ვილაცების დასჯას. როცა ამბობენ, კითხვები არსებობს პროკურატურის მიმართო, მინდა ვთქვა, რომ პროკურატურას ათობით ათასი ადამიანი ჰყავს დაკითხული და ისინი ორ და ხშირ შემთხვევაში სამ ცვლაში მუშაობენ. ამიტომ როცა უკმაყოფილება ისმის მათ მიმართ, ეს უკმაყოფილება ძირითადად მსხვერპლთა მხრიდან არის, რომლებსაც ერთი სული აქვთ, მათი შემაწუხებლები დაისაჯონ.

– ანუ თქვენ თვლით, რომ, როდესაც პრემიერის წასვლის შემდეგ პარლამენტს მოუწევს, ხელახლა გამოუცხადოს ნდობა სამთავრობო გუნდს, მინისტრების იგივე შემადგენლობა იქნება წარმოდგენილი?

– თუ თქვენ მეკითხებით, იქნება თუ არა სამინისტრო, რომელსაც ჩვენ ნდობას არ გამოვუცხადებთ, გეტყვით, რომ ჩვენ პარლამენტში ძალიან მარტივი კრიტერიუმი გვაქვს. ჩვენ ნდობა გამოვუცხადეთ პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს და ჩემთვის გადამწყვეტი სწორედ ივანიშვილის პოზიცია იქნება. მას აქვს ყოველდღიური შეხება მთავრობასთან, მის მუშაობასთან. ზოგი ამბობს, რომ არაეფექტურია ენერგეტიკის სამინისტრო, რაც, ჩემი აზრით, ძალიან არასერიოზული შეფასებაა. რადგან ენერგეტიკა ძალიან აქტიურად არის ჩართული იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომელიც საქართველოს გააჩნია. მე ვეთანხმები ბიძინა ივანიშვილს, რომ მისი მთავრობა წარმატებულია.

– სოზარ სუბარიც წარმატებულია?

– რა არის, იცით? მე ციხეში ნაჯდომი ვარ, ბევრისგან განსხვავებით, და ციხე ისეთი რამეა, რომ მსგავსი შემთხვევები ხდება ხოლმე. ასეთი უბედური შემთხვევები რომ არ მოხდეს, ძნელია. რადგან ციხეში ძალიან არაორდინარული ადამიანები სხედან, თანაც ძალიან არაორდინარულ პირობებში. ამიტომ თუ ცალკეულ მაგალითებს განვიხილავთ და მათზე დაყრდნობით ვიტყვით, რომ ციხეებში იგივე სიტუაციაა, რაც მიხეილ სააკაშვილის მთავრობის დროს იყო, არასწორი იქნება. პატიმრები დღეს ნამდვილად არიან გაცილებით უმჯობეს პირობებში. ამ მხრივ, წინსვლა გვაქვს და ეს არ არის მხოლოდ ჩემი დასკვნა. ასეთი დასკვნები დაიდო ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მონიტორინგების მიერ.

– უშიშროების საბჭოში მონაწილეობის არმიღება რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო, თქვენი აზრით?

– რაღა დროს უშიშროების საბჭოს მოწვევა იყო? დაამთავრა ამ კაცმა თავისი საპრეზიდენტო ვადა, დარჩა ორი კვირა არჩევნებამდე და მაინც ებღაუჭება თავის რეგალიერს, რომ კიდევ ერთხელ გამართოს მასკარადები და კიდევ ერთხელ გააღიზიანოს საქართველოს მოსახლეობა. მიმაჩნია, რომ სწორი იყო მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა. პრემიერ-მინისტრი არ მივიდოდა, რა თქმა უნდა. ჩამთავრდება საპრეზიდენტო არჩევნები და უშიშროების სხდომაც გაიმართება და ყველანი მიიღებენ მონაწილეობას. უშიშროების საბჭო იქნება ძალიან კვალიფიციური ხალხისგან დაკომპლექტებული და არა ისე, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილს უნდა, მხოლოდ პიარისთვის.

– ბატონო ზვიად, თუ გაქვთ წარმოდგენა, ვისზე ფიქრობს პრემიერი, როცა საკუთარ შემცვლელზე საუბრობს, ან თუ იცით, დაახლოებით როდისთვის გაგიმჟღავნებთ თქვენ საკუთარ მოსაზრებებს?

– რა თქმა უნდა, მე ჩემი წარმოდგენები მაქვს, თუმცა ბიძინა ივანიშვილის სიტყვა იქნება ჩვენთვის გადამწყვეტი, რადგან ივანიშვილის დაკომპლექტებულია ეს მთავრობა და ჩვენზე უკეთ იცის, ვინ შეძლებს მის მიერ დაკომპლექტებული მთავრობის გაძღოლას. ვფიქრობ, უფრო კონკრეტულად ეს ყველაფერი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გახდება ცნობილი. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ამ საკითხებზე მსჯელობა.

„წესით, მარ... პოლიტიკურ...

„ვადამდელი ს... არჩევნების მ... იქნება მოკლებუ... რევოლუციურ...



my View
ხათუნა მგალობლიშვილი

სამივე პოლიტიკურ ძალას საკუთარი სამოქმედო გეგმა უკვე შემუშავებული აქვს. ექსპერტების განცხადებით, პოლიტიკურ გეგმებში ბოლო შტრიხები შედის, თუმცა მთავარი უკვე გადაწყვეტილია და თითოეულმა მათგანმა ზუსტად იცის, რა ამოცანები აქვს შესასრულებელი. ბურჯანაძის მთავარი ამოცანა, როგორც ამბობენ, ისევ ქუჩას უკავშირდება.

ზაზა ფირალიშვილი, ექსპერტი:

– სამართლიანი არჩევნების მისაღწევად, ცხადია, აუცილებელია ხელისუფალთა და ძირითად პოლიტიკურ აქტიორთა პოლიტიკური ნება, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. ამ პროცესში იმდენი ფაქტორია ჩართული, ეს ისეთი მრავალშრიანი მექანიზმია, რომ მისი გამართვა მთელი საზოგადოების ნებასა და საკმაოდ ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს. თუნდაც წარმოვიდგინოთ, რომ ხელისუფლებასა და ძირითად ოპოზიციურ კანდიდატებს ამის ნება აქვთ, პრობლემად რჩება საარჩევნო ოლქები და უბნები, ადგილობრივი ადმინისტრაცია და ადგილობრივი ლიდერები, რომელთა ხელმძღვანელებსაც საკუთარი კარიერული თუ რაიმე სხვა ინტერესები აქვთ. საკმაოდ რთული სურათი გამოდის. ამას ყველაფერს დაუმატეთ ჯერ კიდევ დაუზუსტებელი სიები. ერთი, რაც ნამდვილად შემიძლია ვთქვა: „ოცნება“ არ წავა არჩევნების შედეგთა ისეთ ტოტალურ დამახინჯებაზე, როგორზეც „ნაციონალური მოძრაობა“ მიდიოდა... მისი ლიდერები საპრეზიდენტო არჩევნებს არ განიხილავენ, როგორც უსისხლო სამოქალაქო ომის რაღაც ვერსიას. არც მოსახლეობის განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი სერიოზული კონკურენტი ჰყავს. ამ ვითარებაში „ოცნების“ ლიდერებს უნდა ეზრუნათ ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაზე. არაზუსტი სიები იყო და კვლავ რჩება იმის საშუალებად, რომ შედეგებით უკმაყოფილო კანდიდატებმა საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო პროტესტი გამოთქვან, ხოლო ერთი პოლიტიკური ძალის უცხოელმა მეგობრებმა არჩევნების უსამართლოდ ჩატარებაზე ილაპარაკონ.

– ფიქრობთ, რომ შეიძლება მეორე ტური გაიმართოს?

– ვფიქრობ, მეორე ტურის ალბათობა დღეს უფრო მცირეა, ვიდრე ერთი თვის წინ, მაგრამ ჯერაც არსებობს. მაშინ დარწმუნებული ვიყავი მეორე ტურის გარდუვალობაში. ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული პერიპეტიები ამომრჩეველთა მობილიზებას უწყობს ხელს. სრულიად ასეთივე ეფექტი აქვს მავთულხლართებთან დაკავშირებულ ისტორიას. კრიტიკული სიტუაციები ხელს უწყობს ხელისუფლების ირგვლივ ამომრჩევლის მობილიზებას. მარგველაშვილიც თანდათან შედარებით უფრო აქტიური და შესამჩნევი ხდება. წინასწარ არაფერი გაკეთებულა, რომ მოქალაქეს ის აღექვა, როგორც დამოუკიდებელი ფიგურა. ეს აღმოჩნდა ტვირთი, რომელიც მას დააწვა და თითქოს ახერხებს, თავი დააღწიოს. ის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს და თანდათან ნაკლები და ნაკლები ადამიანი უნდა იხსენებდეს, რომ ის ივანიშვილის კანდიდატია. წესით, მარგველაშვილმა უნდა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ბგველაშვილმა უნდა იცოდეს, რომ ი ცნობადობის დეფიციტი აქვს“

„საპარლამენტო ოთხოვნა არ ლი სამიტინგო-ხასიათს“

ზაზა ფირალიშვილი: „არაზუსტი სიები რჩება იმის საშუალებად, რომ შედეგებით უკმაყოფილო კანდიდატებმა პროტესტი გამოთქვან“

EXCLUSIVE

იცოდეს, რომ პოლიტიკური ცნობადობის დეფიციტი აქვს. ქართველ ამომრჩეველს უყვარს სანახაობა, უყვარს, როდესაც ვინმე საკუთარ თავს საქმის ცოდნით ახვევს და თუ მარგველაშვილი ამას არ გაითვალისწინებს, შეიძლება გაიმარჯვოს, მაგრამ მისი მდგომარეობა არ იქნება დამაჯერებელი. ხშირად გაახსენებენ, რომ პრეზიდენტი გახდა არა როგორც დამოუკიდებელი პიროვნება, არამედ როგორც ქვეყნის ყველაზე გავლენიანი ადამიანის მიერ დასახელებული კანდიდატი. მისთვის მიცემული ხმები მხოლოდ ივანიშვილის მიმართ ნდობის გამოხატულება არ უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოსტსაარჩევნო სიტუაციაში საკმაო სირთულეები ელის. ამიტომაც აქვს მისთვის არსებითი მნიშვნელობა, რომ პირველივე ტურში გაიმარჯვოს და მეტოქეები საგრძნობლად ჩამოიტოვოს.

– ნაციონალების შანსებზე რას იტყვით?

– დღევანდელი გადასახედიდან, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატისთვის მეორე ადგილი საკმაოდ დიდი წარმატება იქნება. დარწმუნებული ვარ, ბაქრაძე გარდამავალი ფიგურაა. ეჭვი არ არის, „ნაციონალურ მოძრაობას“ კარგად ესმის, რომ ამ ეტაპზე უკეთესია, ვინმე მარცხისთვის გაიმეტონ და გარკვეული პოლიტტექნოლოგიური იდეების ქმედითობა მოსინჯონ. არჩევნების შემდეგ ბაქრაძე უკანა პლანზე გადაიწევს და კვლავ სააკაშვილის ჰიპერაქტიურობის მოწმენი გავხდებით. ამ უკანასკნელს სხვა გზა არ აქვს, არც პოლიტიკურად და არც პიროვნულად. ის გადარჩენისთვის იბრძვის. თითქოს აშკარა იყო, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ მკვეთრი ცვლილებებით უნდა მიეზიდა ყურადღება, ამის ნაცვლად კი მთელი ცვლილებები დროშაზე ჯვრების ნაცვლად გულების დახატვა აღმოჩნდა, რითაც ამომრჩეველთა გარკვეული სეგმენტიც კი დაკარგეს. ჰერალდიკას ისინი ადრეც იოლად ეთამაშებოდნენ. მთელი ეს პოლიტიკური ძალა დღეს საკაშვილის მძევლის მდგომარეობაშია. მართალია, ამ ეტაპზე სააკაშვილს ჯერაც შეუძლია ადგილებზე გავლენის მოხდენა, მაგრამ არჩევნების შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვლება.

– ბურჯანაძეს რომ დავუბრუნდეთ, მისი განცხადებით, თუ არჩევნები სამართლიანად ჩატარდება, გამარჯვებული სწორედ თავად გახდება, თუმცა არც ერთი სოციოლოგიური კვლევა მის ვარაუდს არ ადასტურებს. პირიქით, რეიტინგების მიხედვით, ის მყარად იკავებს მესამე ადგილს. როგორ ფიქრობთ, რა აძლევს ბურჯანაძეს ასე ფიქრის საშუალებას? და ხომ არ არის ეს პოლიტიკური ხრიკი, რომ წაგების შემდეგ ქუჩაში გამოვიდეს და განაცხადოს, რომ არჩევნები გაყალბდა?

– დღეს ქალბატონი ნინოსთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ მეორე ადგილზე გასულს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნის საკმარისი საფუძველი ჰქონდეს. საამისოდ კი მას მეორე ადგილი ესაჭიროება და თანაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით. ბურჯანაძის მესამე ადგილზე გასვლა იმას ნიშნავს, რომ დღევანდელი პარლამენტი, ასე თუ ისე, გამოხატავს ძალთა რეალურ თანაფარდობას ქვეყანაში. ბევრჯერ ითქვა, რომ სწორედ მეორე ადგილისთვის მიდის დღეს ბრძოლა და არა პირველისთვის. უნდა ვთქვა, რომ ქალბატონ ნინოს საკმაოდ ცუდ სამსახურს უწევენ რუსი პოლიტიკოსები მავთულხლართების გაბმისა და ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი მონაწილეობა-არმონაწილეობის თაობაზე ცინიკური განცხადებებით. რიგითი ამომრჩევლის თვალში ის ხომ რუსეთთან არის ასოცირებული. ამაზე წინა ხელისუფლებამაც საგულდაგულოდ იზრუნა და თავადაც გააკეთა რამდენიმე ორაზროვანი განცხადება.

– ნინო ბურჯანაძის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებია. გამარჯვების შემთხვევაში, რა მექანიზმებით შეძლებს ამ მიზნის მიღწევას?

– არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მრავალი პოლიტიკური და სამართლებრივი ბერკეტი ექნება და, თუ წარმოვიდგენთ, რომ ის გაიმარჯვებს, აუცილებლად გადადგამს ამ ნაბიჯს. სოციალურ ქსელებში ხშირად შეხვდებით ბურჯანაძის მხარდამჭერების აგრესიულობას და კარგად ჩანს მათი რეაქციები მათივე ლიდერის წინააღმდეგ გამოთქმული აზრის მიმართ. ეს მაძლევს საფუძველს, ვიფიქრო, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა მოკლებული არ იქნება სამიტინგო-რევოლუციურ ხასიათს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ყველაზე საინტერესო მოვლენებს არჩევნების შემდეგ უნდა ველოდეთ. ერთი მხრივ, სააკაშვილი დაკარგავს იმუნიტეტს, მთელი მისი პოლიტიკური კაპიტალი მოწინააღმდეგეთა შესახებ არსებულ კომპრომატებსა და გარკვეული დასავლური წრეების მხარდაჭერაზე დავა. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის გამოყენებასაც შეეცდება ის თვითრეანიმირებისთვის: ესაა პრორუსული ძალების მომძლავრება ქვეყანაში, რუსი პოლიტიკოსების მხრიდან დაუფარავი იმპერიალისტური რიტორიკის ფონზე. რაც მეტად იაქტიურებენ რუსი პოლიტიკოსები ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით, რაც მეტად გააკეთებენ ცინიკურ განცხადებებს, რაც მეტად მოინდომებენ ისინი, რომ ეს თამაშები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობების იდეას დაუკავშირონ, მით მეტად შეუწყობენ ხელს სააკაშვილის რეანიმირებას. სააკაშვილს ჰაერივით სჭირდება, შექმნას შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ თავად არის საქართველოში სახელმწიფოებრიობისა და დასავლური ორიენტაციის ინტერესების დამცველი და რომ მისი პოლიტიკური კრახი ქვეყნის კრახის სინონიმურია. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის პრობლემა მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს როგორც არჩევნებამდე, ისე არჩევნების შემდეგ. დარწმუნებულები იყავით, რუსული პოლიტიკა ყველაფერს გააკეთებს, რომ ჩვენი სპორტსმენები იქ წამგებიან ფსიქოლოგიურ სიტუაციასა და პოლიტიკურ ინტრიგაში გახვეულები აღმოჩნდნენ. ერთი იმპერიალისტური გამარჯვება მათ უკვე მოიპოვეს ჩვენების მიერ კრემლის სცენაზე კონცერტის გამართვით. ახლა ყველაფერს გააკეთებენ, რომ ჩვენი დელეგაციის იქ ჩასვლა რაღაც მსგავსი იყოს. ამიტომაც არ ერიდებიან ცინიკურ განცხადებებს, ამიტომაც ცდილობენ, მორალურად წამგებიან მდგომარეობაში ჩაგვაყენონ, ამას ჩვენ მიერ ომის შედეგების აღიარების სახე მისცენ. ამას იოლად მიხვდება ის, ვისაც რუსული პროპაგანდის ხერხები ახსოვს. სააკაშვილმა მოახერხა და რუსებს საკუთარი ქვეყანა დასავლეთთან ასოცირებული მტრის სახედ შესთავაზა და ეს უკანასკნელიც ხელიდან არ გაუშვებს ამ კაპიტალს, თუ გაუშვებს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღიად და დაუფარავად გამოვუცხადებთ სრულ ვასალიტეტს. ასეთია რუსული პოლიტიკის ტლანქი ბუნება. ამიტომაც ვფიქრობ, ასეთ სიტუაციაში ოლიმპიურ თამაშებში ქვეყნის სახელით მონაწილეობაზე უარის თქმა სრულიად გამართლებულია, თუმცა კი ცალკეულმა სპორტსმენებმა შეიძლება მონაწილეობა მიიღონ, თანაც ოლიმპიური და არა ეროვნული დროშებით. ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეჭრის გამო სწორედ ასე მოიქცა 1980 წელს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. ამით ჩვენ არც ოლიმპიური თამაშების იდეას დავუპირისპირდებით და არც საკუთარ ქვეყანას ჩავაყენებთ წამგებიან მდგომარეობაში. ქვეყანა არ არის მხოლოდ ბიზნესკორპორაცია. ის გაცილებით მეტია. თუ პატარა ქვეყანა თავად არ იცავს თავის ღირსებას, სხვა არავინ შეიწუხებს თავს.

„რუსული პოლიტიკა ყველაფერს გააკეთებს, რომ ჩვენი სპორტსმენები იქ წამგებიან ფსიქოლოგიურ სიტუაციასა და პოლიტიკურ ინტრიგაში გახვეულები აღმოჩნდნენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პოლიტიკური თოქ-შოუ „პირველი სტუდია“

საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკური თოქ-შოუ „პირველი სტუდია“ 1 ოქტომბრიდან, ყოველ სამუშაო დღეს, 21:00 საათზე პირველი არხის ეთერშია. გადაცემის წამყვანი ეკა მიშველაძეა.

თოქ-შოუ განიხილავს დღის და კვირის მთავარ მოვლენებს, მთავარ მოქმედ გმირებთან ერთად. გადაცემაში ყოველდღიურად ყველაზე აქტუალური პოლიტიკური მოვლენებისა და გადაწყვეტილებების ანალიზია წარმოდგენილი.

ყოველ პარასკევს, „პირველი სტუდია“, მაყურებელს, მთავარ სტუმრებთან ერთად, აქტიური აუდიტორიის მოსაზრებებსაც სთავაზობს. აუდიტორიაში წარმოდგენილნი არიან საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რიგითი მაყურებლები, რომელთაც საშუალება აქვთ პირდაპირ ეთერში დასვან კითხვები და საკუთარი მოსაზრება გამოთქვან. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კონფლიქტისპირა რეგიონში შსს-მ პოლიციის რებრენდინგი განახორციელა

my View
მირიან ბოქოლიშვილი

ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიულ რეგიონში შინაგან საქმეთა სამინისტრომ რებრენდინგი განახორციელა. გასულ კვირას ირაკლი ღარიბაშვილი თავად სტუმრობდა აფხაზეთის მოსაზღვრე ქალაქ ზუგდიდს, სადაც ოფიციალურად გამოაცხადა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის სრული რებრენდინგი. „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამსახური იმ რეგიონში, რომელიც ემსახურება ჩვენს დიდ ტკივილს“, – ასე მიმართა შს მინისტრმა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს პოლიციელებს, რომლებსაც ახალი საპატრულო მანქანები გადასცა. ირაკლი ღარიბაშვილმა, სიტყვით გამოსვლისას, აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან კონფლიქტის მოგვარებაზე ისაუბრა.

„თითოეული ჩვენგანისთვის უდიდესი პატივია, ვემსახუროთ სამშობლოს, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა, ეწეოდე ქვეყნის სამსახურს იმ რეგიონში, რომელიც ესაზღვრება ჩვენს დიდ ტკივილს და სევდას – აფხაზეთს. დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ აფხაზეთიდან დევნილმა ასობით ათასმა ჩვენმა მოქალაქემ თავშესაფარი სვანეთსა და სამეგრელოში იპოვა. აფხაზ და ოს ძმებთან აღვადგენთ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას, ნდობას და ენგურის ხიდი გახდება არა წყალგამყოფი ჩვენი ერთიანობისა, არამედ გამაერთიანებელი ჩვენი საერთო მომავლისა. ამისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს თითოეული თანამშრომლის მიერ გააზრება იმისა, რამდენად მნიშვნელოვანია ამ სტრატეგიულ რეგიონში მშვიდობა და ადამიანის უფლებების დაცვა“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მინისტრმა სისტემაში მიმდინარე და დაგეგმილი განახლების შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, პოლიცია დღეს პოლიტიკის გავლენებისგან თავისუფალია.

„ჩვენ უარი ვთქვით პოლიტიზებულ მმართველობაზე ჩვენს სისტემაში, რითაც ქვეყანაში სიმშვიდე და თავისუფლება გავხადეთ რეალური, და არა მოჩვენებითი. ჩვენ ღირსება დავუბრუნეთ თითოეულ თანამშრომელს, თითოეულ პოლიციელს და თითოეული პოლიციელი დაუბრუნდა თავის ძირითად საქმიანობას – ემსახუროს ხალხს“, – განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას.

ზუგდიდში გამართულ ღონისძიებას, ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობაც დაესწრო.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ენგურის ხიდი გახდება არა წყალგამყოფი ჩვენი ერთიანობისა, არამედ გამაერთიანებელი ჩვენი საერთო მომავლისა“

სამეგრელო-ზემო სვანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს ავტოპარკი მთლიანად განახლდა და „შკოდას“ მარკის 20 ახალი ავტომობილით შეივსო. ასევე, გაფართოვდა სამეგრელო-ზემო სვანეთის საპატრულო პოლიციის სამოქმედო არეალი. საპატრულო ეკიპაჟებმა ახლა უკვე ანაკლიის მიმართულებითაც დაიწყეს პატრულირება. რეგიონში პატრულ-ინსპექტორებს გადაეცათ: სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვილი პოლიციის ახალი ფორმები, ალკოტესტები (პრომილეს საზომი და ბეჭდვითი ფუნქციით) და სხვა.

ამრიგად, შსს-მ სამეგრელო-ზემო სვანეთში 30 პროცენტით გაზარდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების რაოდენობა. ამასთანავე, გაიზარდა საპატრულო მომსახურების არეალიც.

„ვამატებთ ანაკლიის მიმართულებას, რითაც ვაფართოებთ პატრულირების არეალს და ვაუმჯობესებთ მომსახურებას. ეს საშუალებას მოგვცემს, უფრო ეფექტურად დავიცვათ წესრიგი მთელ რეგიონში და, მათ შორის, კონფლიქტისპირა ზონებში“, – განაცხადა შს მინისტრმა.

სიტყვით გამოსვლის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი ზუგდიდის მოსახლეობას შეხვდა და გაესაუბრა. მინისტრი ადგილობრივებს დაჰპირდა, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს შენობაში სამეგრელოს რეგიონში შსს-ს დაღუპული თანამშრომლების მემორიალი დაიდგმება.

შეგახსენებთ, რომ საპატრულო პოლიციის რებრენდინგი თბილისში, აჭარის, კახეთის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში უკვე განხორციელდა.

„ეს საშუალებას მოგვცემს, უფრო ეფექტურად დავიცვათ წესრიგი მთელ რეგიონში და, მათ შორის, კონფლიქტისპირა ზონებში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ავიაციის ირგვლივ

თამაზ გაიაშვილი

ვინ არის ჯემალ ხახუტაიშვილი და რატომ ეძებენ მას უცხოელი სამართალდამცველები?

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი მთლიანად სავალალო მდგომარეობაშია – ამის შესახებ განცხადებას ავიაკომპანია „აირზენას“ გენერალური დირექტორი თამაზ გაიაშვილი აკეთებს. რა პრობლემები არსებობს თბილისის აეროპორტში და რას პასუხობს თამაზ გაიაშვილი სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს განცხადებას? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ „აირზენას“ გენერალურ დირექტორს ესაუბრა.

– ბატონო თამაზ, თქვენი ავიაკომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის პასუხად თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, სადაც აცხადებთ, რომ ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი და მთლიანად აეროდრომი არასახარბიელო მდგომარეობაშია, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში დაგდოთ ბრალი. რა კომენტარს გააკეთებდით ამ შემთხვევაში?

– მოგახსენებთ, რომ ჩვენი ავიაკომპანიის მენეჯმენტი მთლიანად დაკომპლექტებულია პროფესიონალი კადრებით. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჩვენი ყველა განცხადება შეესაბამება სიმართლეს. მეტსაც გეტყვით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი მთლიანობაში, არა მხოლოდ ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი, მართლაც რომ სავალალო მდგომარეობაშია და ასაფრენ ზოლზე ჯერ კიდევ აშენებისას გაცემულია საექსპლუატაციო პასპორტი, რომლის მიხედვითაც შეზღუდვა ნებადართული იყო 100 ტონამდე საჰაერო ხომალდების აფრენა-დაფრენაზე. 20 წლის შემდეგ, ჩვენი მონაცემებით, არაფერი გაკეთებულა იმისთვის, რომ ეს შეზღუდვა მოხსნილიყო. ეს უკვე სერიოზული ექსპლუატაციის ნორმების დარღვევაა და შესაბამისად, სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო. ბილიკი დაუყოვნებლივ გრძელვადიანი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას საჭიროებს, რათა თავიდან იქნას აცილებული სერიოზული ინციდენტი. ნურავის დაავიწყდება, რომ ჩვენ ადამიანის სიცოცხლესთან გვაქვს საქმე და განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო, რომ საერთოდ არ ისმებოდეს კითხვის ნიშანი ამ საკითხის ირგვლივ. ასევე, უნდა გითხრათ, რომ მრავალი წლის მანძილზე ავიაციის სააგენტოში მოკალათებული არიან არაპროფესიონალი კადრები და დღეის მდგომარეობით შეცვლილია მხოლოდ სააგენტოს ხელმძღვანელი და ეს ერთი კაციც მოექცა არაპროფესიონალების გავლენის ქვეშ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ყოფილი ხელმძღვანელი დააწინაურეს და ევროპის საავიაციო სტრუქტურაში იკავებს ქართული ავიაციის წარმომადგენლის პოსტს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ წინა ხელისუფლების პოლიტიკა უცვლელი დარჩა. უფრო მეტიც, გაუარესდა კიდეც. პროფესიონალი ავიატორები ერთმანეთში საუბრობენ მდგომარეობის გაუარესების შესახებ, რომ ავიაციის ირგვლივ მოთამაშე ავანტიურისტებს, როგორებიც არიან ჯემალ ხახუტაიშვილი, გიორგი კოდუა და სხვებს კვლავ მიეცათ ასპარეზი ადამიანის სიცოცხლესთან თამაშისა, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს მათში.

– კოდუების ოჯახი ცნობილია საქართველოს მოსახლეობისთვის, მაგრამ ვინ არის ჯემალ ხახუტაიშვილი?

– როგორც მოგახსენეთ, ჯემალ ხახუტაიშვილი გახლავთ საერთაშორისო მასშტაბის ავანტიურისტი. მან არაერთხელ ჩაიდინა თაღლითობა როგორც საქართველოში, ასევე დსთ-ს ქვეყნებში – ყაზახეთში, ლიტვაში. ის ამ ქვეყნებში ძებნილიც კი არის. ის საქართველოშიც იხდიდა სასჯელს და რამდენიმე თვის წინ განთავისუფლდა და საშუალება მიეცა ავიაციის სფეროში ახალი თაღლითობების ჩადენისა. შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ სიფხიზლე, რათა არ დაუშვან ხახუტაიშვილისნაირი თაღლითები ავიაციის სფეროში, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი სახის ავანტიურა, მოქალაქეებისგან თანხების გამოძალვა და აეროპორტის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე არასასურველი პირების მოხვედრა. ავიაციის სტრატეგიული მნიშვნელობა ასევე პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასთან და აუცილებელია, ფრთხილად მოვეკიდოთ ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებას. ამისთვის თუნდაც 11 სექტემბრის მაგალითიც კი საკმარისია.

– ეს პროფესიით პიროვნება ავიატორია?

– არანაირი საავიაციო განათლება მას არ გააჩნია და, საერთოდ, ავიაციისგან შორის დგას. უბრალოდ, როგორც მოგახსენეთ, პროფესიონალი თაღლითია.

– მაინც უნდა გკითხოთ. ვის ევალება თბილისის აეროპორტის ზედამხედველობა?

– რასაკვირველია, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, რომლის თანამშრომლებიც უნდა ახორციელებდნენ აეროპორტის ვარგისიანობის შესაბამისობაზე ზედამხედველობას და თუ რაიმე ხარვეზი არსებობს, მათ უნდა აიძულონ აეროპორტის ოპერატორი კომპანია, დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ხარვეზები. შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო და რადგან ჩვენი არ სჯერათ, ამ ეტაპზე დაუყოვნებლივ საჭიროა საერთაშორისო ექსპერტების ჩამოყვანა, რომლებიც კვალიფიცირებულ და დეტალურ დასკვნას დადებენ აეროპორტის ბილიკისა და აეროდრომის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. პრობლემის გამოსწორებამდე უნდა დანესდეს შეზღუდვები. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, სადაც ფრენების 80% ღამით სრულდება, თავი რომ დავანებოთ ასაფრენ ბილიკს, სადგომებს, ბაქანს, რაზეც ბევრია ჩვენგან ნათქვამი, აეროდრომის სადგომების განათებაც კი არ შეესაბამება უსაფრთხოების ნორმებს. სააგენტოს ძალიან ბევრი სამუშაო აქვს ჩასატარებელი უსაფრთხოების კუთხით ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

– ამ პრობლემების ირგვლივ ესაუბრეთ თუ არა ვიცე-პრემიერს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს?

– რასაკვირველია, ჩვენ გვქონდა საშუალება შეხვედრისა და საუბრისა ბატონ გიორგი კვირიკაშვილთან. მან გულთან მიიტანა აეროპორტში არსებული პრობლემატიკა, ჩააყენა საქმის კურსში პრემიერ-მინისტრი. დაწყებულია განხილვები მთავრობაში ახალი აეროპორტის მშენებლობასთან დაკავშირებით, ისევე როგორც „ტავ ურბანთან“ მიმდინარეობს მო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სკანდალი გრძელდება

EXCLUSIVE

„ავანტიურისტებს, ისეთებს, როგორებიც არიან ჯემალ ხახუტაიშვილი, გიორგი კოდუა და სხვები, კვლავ მიეცათ ასპარეზი“

ჯემალ ხახუტაიშვილი

გიორგი კოდუა

ლაპარაკება არსებული კაბალური ხელშეკრულების გადახედვის თაობაზე და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ ეს მოლაპარაკებები აუცილებლად გამოიღებს დადებით შედეგს.

– თუკი აეროპორტი ამ მდგომარეობაშია, თქვენ რატომ დაფრინავთ?

– ჩვენი კომპანიის მენეჯმენტი ყოველდღიურად ახორციელებს აეროპორტის ტერიტორიის მონიტორინგს, ვაკვირდებით მის მდგომარეობას და ვიღებთ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ ფრენის შესრულების შესახებ. ვაფრთხილებთ ჩვენს ეკიპაჟებს, როგორ აიცილონ თავიდან რაიმე სახის ინციდენტი. ჩვენს მფრინავებს აეროპორტის ტერიტორიაზე ყოველი მტკაველი შესწავლილი აქვთ და ყველანაირად ცდილობენ, თავი აარიდონ ნებისმიერ პრობლემას. მიუხედავად ამისა, ჩვენ ბოლო 5 წლის მანძილზე მოგვიხდა ძრავების ნაადრევი კაპიტალური შეკეთება, ასევე, მრავალჯერ გამოვუცვალეთ ხომალდებს საქარე მინები, საბურავები და სხვადასხვა სახის მრავალი ზიანი მიადგა ავიაკომპანიის არსებული მდგომარეობიდან აეროპორტის ტერიტორიაზე ქვა-ღორღისა და სხვა გარეშე ლითონის ნივთების არსებობის გამო.

– ბატონო თამაზ, რა შეიძლება გააკეთოს სახელმწიფომ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

– გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არის სატრანზიტო ქვეყანა და ხალხსაც დიდი იმედი აქვს, რომ ამ სფეროში საქართველოს ბევრი მოქალაქე დასაქმდება და შემოსავლის მიღების წყაროდაც აღიქვამენ. რასაკვირველია, მთავრობამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ტრანსპორტის სფეროს. ამ დარგში აუცილებელია სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ხედვა. დღეის მდგომარეობით, ზღვა გვაქვს და გემი არ გვყავს, საავტომობილო გადაზიდვებში სრული განუკითხაობაა და ეს დარგიც პარტახდება, რკინიგზაა და მგზავრთა გადაზიდვები მწირია. თუ წინა ხელისუფლების მავნე პოლიტიკა გაგრძელდა, თვითმფრინავებიც აღარ გვეყოლება. 3 აეროპორტიდან 2 თურქული კომპანიის ოპერირების ქვეშაა. საჰაერო გადაზიდვების 50%-ზე მეტს თურქული ავიაკომპანიები ახორციელებენ და არის მცდელობა, ადგილობრივი ავიაკომპანიების განადგურებისა.

– რა ხდება, რატომ არ სთხოვს საავიაციო ადმინისტრაცია თბილისის აეროპორტის ოპერატორ კომპანიას მდგომარეობის გამოსწორებას?

– ჩვენ გვქონდა შეხვედრა სააგენტოს ხელმძღვანელთან, ბატონ გურამ ჯალაღონიასთან. მისი თქმით, ის ყოველდღიურად საუბრობს თურქულ კომპანიასთან მდგომარეობის გამოსწორებაზე, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მდგომარეობა არ იცვლება ერთი მარტივი მიზეზის გამო. ოპერატორი კომპანია „ტავ ურბანი“ უხდის მომსახურების საფასურს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს. ჩვენი აზრით, ზედამხედველი ორგანიზაცია ფინანსურად არ უნდა იყოს დამოკიდებული მის მიერ კონტროლირებად საწარმოებზე. სააგენტოს შემოსავლის წყაროს წარმოადგენს: აეროპორტების, საქაერონავიგაციის, ავიაკომპანიების მიერ გადახდილი მომსახურების საფასური და თუ რას ნიშნავს ის, რომ ფულს უხდი შენს ზემდგომ მაკონტროლებელ ორგანოს, დამატებით ახსნას არც კი საჭიროებს. ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტში იხდიან გადასახადებს და სამოქალაქო ავიაციის სააგენტო წესით და კანონით სრულად უნდა იყოს დაფინანსებული მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეს მახინჯი პრაქტიკაც მემკვიდრეობით დარჩა წინა ხელისუფლებისგან და სასწრაფოდ შეცვლას საჭიროებს. სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, რომელიც ზედამხედველის ფუნქციას ახორციელებს, უნდა დაკომპლექტდეს პროფესიონალი კადრებით, შეიცვალოს არსებული მახინჯი წესები და კანონები, რომლებიც წინა ხელისუფლების მოღვაწეობის პერიოდში ჩამოყალიბდა ავიაციის სფეროში, რომლის მიხედვითაც შეუძლებელია ადგილობრივი ავიაკომპანიების განვითარება, ხოლო უცხოური კომპანიები ყველანაირი პრივილეგიით სარგებლობენ, რაც უპერსპექტივოს ხდის ქართულ ავიაციას.

– თქვენი ოპონენტები საუბრობენ, რომ თქვენ არ გინდათ, ადგილობრივ ბაზარზე იქმნებოდნენ ახალი ავიაკომპანიები და გაჩნდნენ კონკურენტები?

– რა კონკურენციაზეა საუბარი, როცა ქართული მხარის ხვედრითი წილი ბაზარზე მხოლოდ 8%-ია. ასეთი სურათი შეიძლება მხოლოდ აფრიკის ქვეყნებში შეგხვდეს, როცა ეროვნული გადამზიდველს ბაზრის 8%-იანი წილიც არ აქვს. თუ ცივილიზებული ქვეყნებისკენ გავიხედავთ, თუნდაც ევროპისკენ – ესპანეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, ავსტრიის, ჩეხეთის, რუმინეთისა და ჩვენი მეზობელი ქვეყნების – აზერბაიჯანის, უკრაინის მაგალითს მოვიშველიებთ – ერთი ძირითადი ადგილობრივი ავიაკომპანია ფუნქციონირებს საერთაშორისო გადაზიდვებში, ხოლო დანარჩენი კომპანიები ახორციელებენ ჩარტერულ გადაზიდვებს ტურისტულ მიმართულებებზე. ეს იმიტომ რომ ავიაკომპანიის შექმნა-აღჭურვა და განვითარება, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ძალზე ძვირი სიამოვნებაა და ჩვენ შემთხვევაში გამოდის, რომ 8%-იანი წილის ბაზრის ფლობის პირობებში 15 ადგილობრივი ავიაკომპანია უნდა ფუნქციონირებდეს, რაც, უბრალოდ, აბსურდულია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ კვალიფიცირებული სპეციალისტები, მფრინავები, ტექნიკოსები ბოლო 20 წლის მანძილზე, ჩვენი ავიაკომპანიის გარდა, არავის მოუმზადებია და როგორც მოგეხსენებათ, ერთი მფრინავის მომზადება 200 000 დოლარზე მეტი ჯდება. საიდან უნდა მოიყვანონ ახლად შექმნილმა კომპანიებმა კვალიფიცირებული პერსონალი, თუ როგორც ბოლო 6 წლის განმავლობაში ხდება – იქმნება ორდღიანი ჯიბის კომპანიები ყოველგვარი სტრუქტურის გარეშე, გადაიბირებენ ჩვენგან რამდენიმე მფრინავს, ტექნიკოსს და ანგრევენ შეკოწიწებულ ბაზარს. თვითონაც ვერაფერს ქვეყნის სასიკეთოს ვერ აკეთებენ, დაიდებენ მილიონობით ვალს და გავლენ ბაზრიდან. შემდეგ კი ეს ვალები სახელმწიფო ვალდებულებად იქცევა და ხშირ შემთხვევებში ჩვენი გადასახდელია. ასეთი მაგალითი მრავლად გვაქვს, თუნდაც „ფლაი ჯორჯიას“ მაგალითი რომ ავიღოთ. ჩვენი კომპანიის განვითარება პრაქტიკულად ბოლო 6 წელია შეჩერებულია, მაგრამ მაინც ვახერხებთ ამ მძიმე პერიოდში ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლას. დღეს 12 ახალგაზრდა მფრინავი მოვამზადეთ, ვეხმარებით საავიაციო უნივერსიტეტს კადრების მომზადების, სწავლებისა და დასაქმების პროცესში. ეს არის სრული ჭეშმარიტება, რომლის გადამოწმებაც თავადაც შეგიძლიათ. სწორედ ამიტომაა სახელმწიფოებრივი ხედვა საჭირო მათი მხრიდან, ვინც ამ სფეროში თანამდებობებს იკავებს ან შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება. კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ჯანსაღი კონკურენცია კარგია, მაგრამ უნდა შევხედოთ ამას ჯანსაღი კუთხით, თუ რა სიკეთე მოაქვს ასეთ მიდგომას ქვეყნის ბიუჯეტისთვის ან ავიაციის განვითარებისთვის.

– ხელისუფლება, წინაც და დღევანდელიც, მუდმივად აცხადებს, რომ ბილეთების გაიაფების ერთადერთი გზა ჯანსაღი კონკურენციაა?

– ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ მგზავრობა გაიაფდეს, მაგრამ, როცა საწვავის შემოტანა მონოპოლიზებულია, აეროპორტის გადასახადები მაღალია და ყველაფერი, რაც ბილეთის თვითღირებულებას წარმოადგენს, მათ შორის სააგენტოს მომსახურების საფასური საკმაოდ ძვირია, მეტიც, უკანონოა, იქნებ ვინმემ აგვიხსნას, როგორ, რა საშუალებით შეიძლება ბილეთი ღირდეს 22 ევრო, როგორც ამას პრეზიდენტი აცხადებდა. ის კი დაავიწყდათ, რომ, როცა ბილეთი 37 მანეთი ღირდა, მაშინ 1 ტონა საწვავის ფასი 25 მანეთს შეადგენდა. დღეს კი ტონა საწვავის ფასი, საშუალოდ, 1000 ევროა. ჩემთვის ყველაზე გასაკვირი ისაა, რომ ეს აიხსნება საქართველოს მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, როცა მოსახლეობის 5%-იც არ სარგებლობს საავიაციო გადაზიდვებით. თუ ხალხის დახმარება გვინდა, გეტყვით, რომ მოსახლეობის 85%-ზე მეტი სარგებლობს მობილური ტელეფონებით, რაც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, თუმცა არავინ საუბრობს იმაზე, რომ საქართველოში შემოგვეყვანა მსხვილი ოპერატორები – at@T, T-mobile, orange და სხვა. ამ დარგში სახელმწიფო რეგულირების მანქანა სწორად მუშაობს და იცავს ქვეყნის შიდა ბაზარს არაჯანსაღი კონკურენციისა და ბაზრის განადგურებისგან. დასასრულ, მინდა ჩვენს მთავრობას შევახსენო, რომ ცა, ზღვა და ხმელეთი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი აქტივია, თუ მას სერიოზულად გამოვიყენებთ, მით უმეტეს, რომ ქვეყანას სატრანზიტო ფუნქცია აქვს. დღეს განვითარებული ქვეყნები ისევ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარებასა და რეგულირებაში უმნიშვნელოვანესია, ანუ სახელმწიფო უნდა იქცეს ქვეყანაში სამართლიან არბიტრად.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პროდასავლური ოპოზიციის

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ნინო ბურჯანაძის საარჩევნო პროგრამა პოპულარული რომ იყოს, მისი ამომრჩევლების ნაწილი მას ხმას ნამდვილად აღარ მისცემდა. საუბარია იმ სეგმენტზე, ვინც მიიჩნევს, რომ ქვეყნის პარტნიორად ახლოს მყოფი დიქტატორი რუსეთი ურჩევნია, ვიდრე „გადამთიელი“ ამერიკა. „დემოკრატიული მოძრაობის“ საარჩევნო პროგრამაში საგარეო კურსად დასავლეთი და ნატოში ინტეგრაციაა დეკლარირებული. ბურჯანაძემ ზუსტად იცის, რომ მის პროგრამას ამომრჩეველი კი არა, საკუთარი პარტიის წევრებიც არ წაიკითხავენ, სწორედ ამიტომ ის ორმაგი სტანდარტებით თამაშობს. ღიად პრორუსული ორიენტაცია საბჭოთა კავშირის ნოსტალგიის მქონე ამომრჩევლისთვის და პროგრამაში დასავლური იმიჯის დეკლარირება დანარჩენი ამომრჩევლების მოსატყუებლად.

ბუნებრივია, ნინო ბურჯანაძე ვერ შეძლებს პოლიტიკოსების მოტყუებას საკუთარი ხრიკებით, თუმცა ფაქტია, რომ მის ირგვლივ გარკვეული ძალები სხვადასხვა თემატიკით უკვე იკრიბებიან. ჯონდი ბაღათურიამ და კახა კუკავამ უკვე განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ნინო ბურჯანაძე ქუჩაში გამოვა საკუთარი გაყალბებული ხმების დასაცავად, აუცილებლად გაყვებიან. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანი ირწმუნება, ეს მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიის წესების დაცვა იქნება და მეტი არაფერიო, ფაქტია, რომ ქუჩაში ლიდერად ბურჯანაძე გამოჩნდება, მის გვერდით მდგომი პოლიტიკური პარტიები კი ავტომატურად ჩაითვლებიან მის მხარდამჭერებად.

შესაბამისად, პროდასავლური ძალების სივრცეში გამოთავისუფლებულ ადგილს ათვისება უნდა. სიცარიელეს დიდხანს არავინ გააჩერებს და ასეც ხდება. ქართულ რეალობაში, ნაციონალების გარდა, უკვე ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური ცენტრი, რომელშიც პროგრამითაც და რეალურადაც პროდასავლური ძალები გაერთიანდნენ. მათი მიზანი მარტივია: ამხილონ ყველა ძალა და ყველა ნაბიჯი, რომელიც საქართველოს საწინააღმდეგოდ იქნება გადადგმული და მით უფრო, რუსეთის სასარგებლოდ.

ბაჩუკი ქარდავა, ზურაბ ხარატიშვილი, პაატა დავითაია და თამარ ჩხეიძე, მარტივად რომ ავხსნათ, ანტირუსულ მოძრაობას ქმნიან. მიზეზად ძალიან ბევრ ფაქტორს ასახელებენ. ფაქტორებში შედის სოჭის ოლიმპიადა, მავთულხლართების პოლიტიკა, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან რუსეთზე ზეწოლის შემცირება, რუსეთის მიერ მინების მიტაცების პოლიტიკისადმი შემგუებლური პოლიტიკის გატარება, ევრაზიულ კავშირზე ღიად საუბრის დაწყება... მიუხედავად დეტალური სამოქმედო გეგმისა, ახალი პოლიტიკური ცენტრის მიმართ კითხვები უკვე გაჩნდა. სალომე ზურაბიშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ მის მიმართ ვერასდროს და არავითარ შემთხვევაში არ გაჩნდება ეჭვები, მაშინაც კი, პუტინს რომ დაუდგეს გვერდით, ამ ცენტრის მიმართ ყველაზე მეტ კითხვას სვამს.

კახა კუკავა:

„ჩვენ თუ დავინახავთ, რომ მიმდინარეობს არჩევნების გაყალბება, ბუნებრივია, მხარს დავუჭერთ გაყალბების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას“

ბაჩუკი ქარდავა:

„ჩვენი ერთობის ამოცანაა, პრორუსული ძალების პოლიტიკური ველის შეზღუდვა საქართველოში და საზოგადოებისთვის მათი რეალური მიზნების ჩვენება“

სალომე ზურაბიშვილი:

– ეს შემადგენლობა თუ პროდასავლურია, მეტი რა დაგვრჩა....????? უფრო ჰგავს ამ თემის ხელში აღების მცდელობას... ხარატიშვილი, ქარდავა, დავითაია????

დასავლურ ძალებში ლიდერობის ხელში აღებაზე უარს ახალი ძალა ნამდვილად არ ამბობს, თუმცა ზურაბიშვილს საკუთარ რიგებში წარსული შეცდომის გამო ავტომატურად გამორიცხავენ.

ბაჩუკი ქარდავა:

– ქალბატონო სალომე, თემის აღება ჩვენ ერთადაც შეგვეძლო, ხომ არ შეგახსენოთ უფრო კონკრეტულად??? მაგრამ თქვენ მაშინ პრორუსების გვერდით დგომა არჩიეთ, მხოლოდ სააკაშვილის ზიზღის მოტივით... ერთი კარგი კაცი გახლდათ მაშინ და რაც გითხრათ, ის აგიხდათ კიდეც...

ზურაბიშვილის შეცდომა ნინო ბურჯანაძის გვერდით დადგომა იყო. 2009 წელს სალომე ზურაბიშვილი აპრილის მიტინგების

პერიოდში სწორედ ბურჯანაძესთან ერთად იდგა სცენაზე. მართალია, მაშინაც იყო უთანხმოება ორ ქალბატონს შორის, თუმცა ფაქტი ფაქტად დარჩა. გამოდის, ზურაბიშვილმა გამოცდა ვერ ჩააბარა. დღეს ზუსტად იგივე გამოცდის წინაშე უკვე ქრისტიან-დემოკრატები დგანან. გიორგი თარგამაძე პროდასავლურ ძალად ითვლებოდა. დღეს ის პოლიტიკურ გზაგასაყარზე დგას. არჩევანი მათ ხელშია. ახლა მთავარია, კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე, ღირებულებები არ დათმონ...

ლევან ვეფხვაძე, ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი:

– ქუჩაში მე ბევრი პოლიტიკური ლიდერი მინახავს ერთად, თუმცა ეს არ ნიშნავდა პოლიტიკურ ერთობას და ის არც შემდგარა. არსებობს თემატური გაერთიანებები. მაგალითად, ჩვენ, ახალმა მემარჯვენეებმა, „თავისუფალმა საქართველომ“ და „ქართულმა დასმა“ კონკრეტული განცხადება გავაკეთეთ საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებით. თუმცა კონკრეტული განცხადებების გაკეთების შემდეგ სულაც არ ნიშნავს, რომ ერთ ძალად ჩამოვყალიბდებით. ჩვენ დაგვიგროვდა თანამშრომლობის გამოცდილება ინტერფრაქციულ ჯგუფში მუშაობის დროს, მიგვაჩნია, რომ ეს გამოცდილება ძალიან გამოგვადგება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში მუშაობისას და გარდა ამისა, ჩვენ უზარმაზარი რეფორმები გვაქვს ჩასატარებელი. ვგულისხმობ თვითმმართველობის რეფორმას, რომელშიც ინჩიბინჩი ვერ გაიგო ვერავინ. ბიძინა ივანიშვილი დაგვპირდა, ერთ კვირაში იქნებაო და მას შემდეგ ორი თვეა გასული, მაგრამ არაფერი არ ჩანს. ამიტომ ჩვენ ვმუშაობთ ეხლა თვითმმართველობასთან, საარჩევნო რეფორმასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. რამდენიმე პარტიამ გამოვიმუშავეთ საერთო პლატფორმა. მაგალითად, ისეთი ფორმულირება გააკეთეს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებათა კომისიაში შეიძლება ვერ მოხვდნენ „თავისუფალი საქართველო“, „ქართული დასი“, „ედპ“. ასეთ შემთხვევაში ჩვენ სოლიდარული ვიქნებით და შევეცდებით, გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ეს პარტიები კომისიაში მოხვდნენ.

– თუ გიორგი თარგამაძის რეიტინგი წინასაარჩევნოდ არ იქნება ისეთი, როგორსაც ელოდით, შეიძლება, რომ კანდიდატურა მოხსნან ქრისტიან-დემოკრატებმა?

– კანდიდატურის მოხსნა ნიშნავს იმას, რომ ამომრჩეველი, რომელიც მზად არის ხმა მოგცეს, იმას უნდა უღალატო. ამიტომ ჩვენ ამ საკითხზე ნამდვილად არ გვექნება მსჯელობა, რადგან ეს იქნება ამომრჩევლის ღალატი, ჩვენ ჩვენს ამომრჩეველს ზურგს ნამდვილად არ შევაქცევთ. თანაც ჯერჯერობით არსებული კვლევების მიხედვით, ამომრჩევლის 20%-ს არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული, როგორ არჩევანს გააკეთებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ამომრჩევლის დაახლოებით 300-400 ათასი ჯერჯერობით ვერ წყვეტს, ვის მისცეს ხმა, თუმცა ზუსტად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოზიცია ორად გაიყო

დერი ბურჯანაძეა, ის

● თამარ ჩხეიძე: „ბურჯანაძე ღიად აცხადებს, რასაც ივანიშვილი ბოლომდე ვერ ბედავს, მე ამას კანკალის გარეშე გავაკეთებო“

იცის, რომ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. ამიტომ წინასწარ არჩევნების შედეგებზე საუბარი არასწორი იქნება.

ბურჯანაძესთან ყველანაირ მოლაპარაკებებს უარყოფს „თავისუფალი საქართველოც“. მეტიც, კუკავას განცხადებით, ბურჯანაძესთან საერთო გეგმა გაჩნდება მხოლოდ არჩევნების შემდეგ და ისიც იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტობის დამარცხებული კანდიდატი იტყვის, რომ მას ხმები მოჰპარეს...

კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:

– ჩვენ არ ვუჭერთ მხარს ბურჯანაძეს, შესაბამისად, არც მასთან გაერთიანებას ვაპირებთ. ქუჩაში ვინც არ უნდა გავიდეს ხმის დასაცავად, ჩვენც იმასთან ერთად გავალთ. აქ საქმე შეეხება კონკრეტულად გაყალბებული ხმების დაცვას და არა პოლიტიკური კოალიციის ფორმირებას. პოლიტიკური კოალიცია იქმნება არა ქუჩაში, არამედ რომელიმე კონკრეტული არჩევნებისას. ჩვენ და ქალბატონ ბურჯანაძეს მსგავსი კოალიცია შექმნილი არ გვაქვს და არც იგეგმება მისი შექმნა. ჩვენ დემოკრატიული ორიენტაციის პარტია ვართ და მიგვაჩნია, რომ ქართველ ხალხს აქვს არჩევანის უფლება. ბურჯანაძე არაფერ შუაშია, ჩვენ თუ დავინახავთ, რომ მიმდინარეობს არჩევნების გაყალბება, ბუნებრივია, მხარს დავუჭერთ გაყალბების წინააღმდეგ მიმართულ კამპანიას.

– ანუ თქვენ შედეგებს გააპროტესტებთ იმ შემთხვევაში, თუ ამას გააპროტესტებს ბურჯანაძე, გამოდის სწორედ მის ირგვლივ გაერთიანდებით ამ კონკრეტულ საკითხში?

– ეს არ იქნება გაერთიანება. ჩვენ არ ვგეგმავთ არანაირ არჩევნებში მონაწილეობას.

– თუ ბურჯანაძე არ გავა ქუჩაში, არც თქვენ არ გახვალთ?

– ალბათ, არ გავალთ, რადგან მარტივი ლოგიკაა: არჩევნების გაყალბებაზე არ შეიძლება ვისაუბროთ, თუ კანდიდატები ამის შესახებ არაფერს არ იტყვიან. თუ ბურჯანაძე და ნათელაშვილი მარგველაშვილს მიულოცავენ გამარჯვებას, მაშინ ჩვენ ხომ არ ვიტყვით, არჩევნები გაყალბდაო? პირველ რიგში, ეს იდეა უნდა წამოვიდეს თავად კანდიდატებისგან.

– ანუ თქვენთვის ამ შემთხვევაში ნინო ბურჯანაძის მოსაზრება უფრო მნიშვნელოვანი და სანდოა, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დამკვირვებლების?

– რა თქმა უნდა, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციები არასოდეს იტყვიან, რომ ის გაყალბდა.

ახალი პოლიტიკური მოძრაობა ხელისუფლებას პუტინის ინტერესების გატარებაში ღიად ადანაშაულებს. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ გააქტიურებას რუსეთის გეგმის ნანილად მიიჩნევენ. სწორედ მათი რეალური მიზნების გაშიფვრას აპირებს ზურაბ ხარატიშვილი ქარდავასთან ერთად...

ბაჩუკი ქარდავა, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი:

– ჩვენი კონსოლიდირება, როგორც ეროვნული მოძრაობის ძალების, დღეს მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და ახალგაზრდული ჯგუფების, საჭიროა იმიტომ, რომ საქართველოში მზადდება პრორუსული ძალების გააქტიურება, რომლებიც შეიძლება სარანჩასავით შეესიონ ქართულ პოლიტიკას. ჩვენი არსებობისა და ერთობის ამოცანაა, მათთვის პოლიტიკური ველის შეზღუდვა საქართველოში და საზოგადოებისთვის მათი რეალური მიზნების ჩვენება. ქვეყნის საგარეო კურსი დღევანდელი ხელისუფლების პირობებში გაურკვეველია.

ძალამ რეზოლუციაც შეიმუშავა, რომლის ერთ-ერთი მთავარი საკითხი სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებაა. თამარ ჩხეიძეს მიაჩნია რომ ოლიმპიადაში მონაწილეობა რუსეთის აგრესიულ პოლიტიკასთან შეგუებას ისახავს მიზნად.

თამარ ჩხეიძე, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ხელმძღვანელი:

– ჩვენ ვიმოქმედებთ პროდასავლური კურსის გასაძლიერებლად და იმ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ხელისუფლების პრორუსულობისგან გამომდინარეობს. ოფიციალურად და ლოზუნგის დონეზე გაცხადებულია დასავლური კურსი და ნატოში გაწევრიანების მიზანი, თუმცა კონკრეტული ნაბიჯებიდან საპირისპირო ჩანს. ასევე, საპირისპირო ჩანდა სრულიად თავიდანვე. როცა „ოცნება“ ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადებოდა. ადამიანი პოლიტიკაში მოვიდა რუსული ფულით, ივანიშვილს რუსეთიდან გამოატანეს ფული. ყველამ იცის რუსული სახელმწიფო და პუტინი ისეთია, ფულს ისე არავის მისცემს, თუ ეს არ არის თავად პუტინის განზრახვასთან დაკავშირებული. ამიტომ თავიდანვე ნათელი იყო, რომ ივანიშვილის ხელისუფლებაში მოყვანა იყო პუტინის მიზანი. შესაბამისად, მე არც ველოდი, რომ ეს ძალა არ იქნებოდა პრორუსული. მას წინასწარვე ჰქონდა გაცხადებული, რომ მონაწილეობა უნდა მიგველო სოჭის ოლიმპიადაში, მაინცდამაინც არ უნდა შეგვეწუხებინა დასავლეთი ოკუპაციის საკითხებზე. ახალი ხელისუფლება საერთაშორისო ტრიბუნებს არ იყენებს ისე, როგორც უნდა იყოს გამოყენებული არაღიარების პროპაგანდისთვის, პირიქით, კვლავ ხაზს უსვამენ, რომ ტერმინებს არ აქვს დიდი მნიშვნელობა. ჟენევის ფორმატის გვერდის ავლით კარასინ-აბაშიძის ფორმატიც ძალიან არასწორი არჩევანი იყო. ამ ყველაფერს დაემატა განცხადება ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ახალი ხელისუფლება ცდილობს რუსეთის დანაშაულის წაშლას და 2008 წლის აგვისტოს ომზე მთელი პასუხისმგებლობის სააკაშვილის ხელისუფლებაზე გადმოტანას, მაშინ როცა აბსურდია იმის თქმა, რომ 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო. ყოველივე ამის გამო, არის სერიოზული საფრთხე, მით უფრო ზაქარეიშვილის მინისტრობის გამო, რადგან ის ყოველთვის მხარს უჭერდა აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას. არის საფრთხე, რომ გაფორმდება არასასურველი ხელშეკრულება, რომელიც სწორედ არაღიარების პოლიტიკის საწინააღმდეგოდ იქნება მომართული. მიმაჩნია, რომ არა მარტო ჩვენი ორგანიზაციები არამედ მთელი საქართველო უნდა გაერთიანდეს ამ საფრთხის ასაცილებლად.

– რომელი პარტიები აპირებენ შემოერთებას?

– ეს ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი.

– ანუ ამ ცენტრის მთავარი მიზანი იქნება წინააღმდეგობის გაწევა და პრორუსული ძალების მხილება?

– პრორუსული ნაბიჯებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ჩვენ შევეწინააღმდეგებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელისშემშლელ ნაბიჯებს. რუსეთის მიზანი არის, რომ შეაგუოს საქართველოც და მთელი მსოფლიო იმას, რაც მოხდა 2008 წლის აგვისტოში. სწორედ ეს არის ივანიშვილის ხელისუფლების მიზანიც. იგივე სოჭის ოლიმპიადაზე წასვლაც სწორედ ამ შეგუების პოლიტიკის გატარებაა.

– ამ მხრივ, აქტიურია ნინო ბურჯანაძე, მით უფრო მის ირგვლივ, არ არის გამორიცხული, სხვადასხვა არასაპარლამენტო ძალები გაერთიანდნენ. როგორ ფიქრობთ, ბურჯანაძეც წარმოადგენს იგივე საფრთხეს?

– ნინო ბურჯანაძე პროდასავლურ ძალად აცხადებს თავს, თუმცა რეალურად ისიც პრორუსული ძალაა. რასაკვირველია, მის ირგვლივ დაჯგუფებაც შეინიშნება. ბურჯანაძე უფრო მეტად არის პრორუსული, ვიდრე ივანიშვილი, ბურჯანაძე ღიად აცხადებს, რომ რასაც ივანიშვილი ბოლომდე ვერ ბედავს, მე ამას კანკალის გარეშე გავაკეთებო... ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იმოქმედებს საქართველოს სანინააღმდეგოდ, ხელისუფლება თუ ცალკეული ძალები, ჩვენ ყველას შევეწინააღმდეგებით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერთი მკვლელობა და სამი სუიციდ

EXCLUSIVE

„მეორე დღეს უკვე პრობლემები დაიწყო. ეტყობა, კამერის კარი გაიღო, პატიმრები შევიდნენ და გაუსწორეს ანგარიში. მერე კი დადგეს სცენა, თითქოს გოგამ თავი ჩამოიხრჩო...“

რა გახდა არასრულწლოვანი პატიმრის გარდაცვალების მიზეზი?

მარიამ ნადირაძე

4 გარდაცვლილი პატიმარი ერთი წლის განმავლობაში - 30 აპრილს კობა აფხაიძე... მაისში – ლევან კორტავა... 26 აგვისტოს – გელა ჯაყელი... 7 ოქტომბერი – გოგა ძველაია. ეს ის გარდაცვლილი პატიმრებია, რომელთა გამოც სასჯელაღსრულების უწყება უკვე ოთხჯერ მოხვდა მაღალ საზოგადოებრივ ინტერესში. ამ ოთხი შემთხვევიდან პროკურატურამ მხოლოდ ერთი დაადასტურა, როგორც მკვლელობა. ეს ლევან კორტავას საქმე იყო. დანარჩენ სამ შემთხვევაში კი ოფიციალური ვერსია სუიციდია... სამივე შემთხვევაში პატიმარმა ზეწრით ჩამოიხრჩო თავი... სამივე შემთხვევაში ოჯახი აპროტესტებს ოფიციოზის ვერსიას.

ახლა კი ყველაზე ცხელ ამბავზე გიამბობთ, რომლის შესახებაც ჩვენმა მკითხველმა უკვე შეიქმნა ზოგადი წარმოდგენა გასულ კვირას საინფორმაციო საშუალებებით. თუმცა, როგორც ყოველთვის, „პრაიმტაიმი“ ამჯერადაც ექსკლუზიურ ინფორმაციებს გთავაზობთ, იმასთან დაკავშირებით, რა მოხდა 7 ოქტომბერს ქუთაისის #2 საპყრობილეში, სადაც 16 წლის გოგა ძველაია საკუთარი განცხადების საფუძველზე ცალკე საკანში მოათავსეს, რომელიც მას, თანხის გადახდის შემთხვევაში, სამ დღეში 5 000 ლარის ოდენობის გირაოს გადახდის შემდეგ უნდა დაეტოვებინა.

წინასწარ კი გეტყვით, რომ ეს 16 წლის ბიჭი, 6 ოქტომბერს, ამ დანესებულებაში დაახლოებით თვენახევრიანი პაუზის შემდეგ ქურდობის ბრალდებით დაბრუნდა. 28 აგვისტოს ის წინა დანაშაულზე პრეზიდენტმა შეიწყალა. როგორც ირკვევა, მან ციხე მაშინ პრობლემებით დახუნძლულმა დატოვა და როცა იქ კვლავ მოხვდა, რაღა თქმა უნდა, მოუგვარებელი პრობლემები დახვდა.

ოჯახი ამიტომაც ეჭვობს, რომ მას „მაყურებელთან“ კონფლიქტის გამო გაუსწორდნენ და შემდეგ ჩამოხრჩობის ინსცენირება დაიდგა.

სასჯელაღსრულების განცხადებით კი, სახეზეა სუიციდის შემთხვევა, დანარჩენს, რაღა თქმა უნდა, გამოძიება გაარკვევს...

საქმეში, როგორც მსგავს შემთხვევებში ხდება ხოლმე, ახალგაზრდა იურისტები, ადვოკატი, დამოუკიდებელი ექსპერტი და რამდენიმე კეთილისმსურველი ჩაერთო, რამაც ამ ფაქტს ტემპერატურა აუწია... პოლიტიკური ცეცხლი კი ნაციონალი აკაკი მინაშვილის განცხადებამ დაუნთო, რომელმაც იმ „მაყურებლების“ გვარები გააჟღერა, ვინც დღეს, მისი თქმით, სისტემას მართავენ. ამ ეტაპზე არ დავიწყებთ პიარტექნოლოგიური სქემების გაშიფვრას და იმის შესახებ საუბარს, თუ როგორ ხდება ამბის „რასკრუტკა“, რომელსაც საბოლოოდ რომელიმე პოლიტიკური ძალა დაადგამს ხოლმე „გვირგვინს“ „უფრო მთავარი“ პრობლემის საჩვენებლად, ვინაიდან დღეს მხოლოდ კონკრეტულ ტრაგიკულ შემთხვევას გაგიშიფრავთ.

7 ოქტომბერს მომხდარი ტრაგედია 8 ოქტომბერს გაჟღერდა და საზოგადოებამ შეიტყო 16 წლის გარდაცვლილი მოზარდის ოჯახის ტკივილის შესახებ, რომელსაც გოგას თვითმკვლელობის არ სჯერა. მალე საქმეში დამოუკიდებელი ექსპერტი ჩაერთო.

ლედი ტუკვაძე, ძველაიების ადვოკატი:

– დამოუკიდებელმა ექსპერტმა უკვე დაათვალიერა გვამი. რაც გარეგნულად დავინახე, ის იყო, რომ არ აღმოჩნდა ძალადობის კვალი. აღებულია ნიმუშები. ოჯახს აქვს ძალიან სერიოზული კითხვები გამოძიებასთან. ვინაიდან, არსებობს ძალიან სერიოზული ვერსიები.

– კონკრეტულად რა?

– დაზარალებულთან შევთანხმდით, რომ ამას არ გავამხელთ და არ გავასაჯაროებთ, გარკვეული დროის განმავლობაში იმისთვის, რომ საქმეში ჭეშმარიტების დადგენას ხელი არ შეეშალოს.

– ანუ, თქვენ არ ასახელებთ კონკრეტულ პირს, ვისზეც ეჭვი გაქვთ?

– ყველაფერი უნდა გადამოწმდეს, უნდა გაიხსნას სათვალთვალო კამერების ჩანაწერები. არა მარტო იმ ვიდეოკამერის ჩანაწერი, რომელიც საკანს უყურებდა, არამედ სხვებიც. ანუ, უნდა არსებობდეს სრული ინფორმაცია იმ დროიდან, რა დროიდანაც გოგა ძველაია შედის ციხეში, საკანში განთავსებამდე. ერთ-ერთი მთავარი კითხვა იქნება ის, რატომ არ იყო საკანში შიგნით სათვალთვალო კამერა. ციხე აუცილებლად გვეტყვის, რომ ამაზე პატიმრის თანხმობა უნდა ყოფილიყო. საინტერესოა, რატომ არ დასთანხმდებოდა ამ შეთავაზებას ბიჭი, რომელიც დირექტორის სახელზე წერს განცხადებას იმის შესახებ, რომ საფრთხის არსებობის გამო ჩასვან განცალკევებულ კამერაში. რაკი მას გააზრებული ჰქონდა პრობლემა, თან იყო არასრულწლოვანი, რატომ არ იყო მასზე დანესებული განსაკუთრებული ყურადღება? არსებობს კიდევ სხვა ბევრი და რთული კითხვა, რაზეც პასუხი უნდა გაიცეს.

– როგორც ირკვევა, პატიმარმა 24 საათი გაატარა საპყრობილეში. ამ 24 საათში იყო იმის საშუალება, რომ მის კამერაში ვინმეს შეეღწია?

– როგორც ამბობენ, არსებობს ფირი, რომელიც ასახავს სოციალური მუშაკის შესვლას კამერაში. მაგრამ არსად ჩანს სხვა ფირები, რომელიც აჩვენებს სხვა გადაადგილებებს, გოგა ძველაიას ციხეში შესვლას, მის დათვალიერებას, დირექტორთან შესვლასა და კამერაში შეყვანას.

– გამოძიებას ეს ფირები ნანახი აქვს?

– გამოძიებისთვის ამ ჩანაწერებს ამოიღებდნენ. ალბათ, არაოფიციალურადაც ექნებათ უკვე ნანახი, მაგრამ ამას ოფიციალურად გარკვეული პროცედურები ესაჭიროება.

– ოჯახი, როგორც ჩანს, კამერასთან სოციალური მუშაკის მისვლას გარკვეულ დატვირთვას ანიჭებს...

– არა... ქალბატონია მისული, რომელიც უნდა მისულიყო კიდეც პატიმართან, რომელიც ციხეში შედის ასეთი პრობლემით.

– პრობლემა რაში მდგომარეობდა...

– ამას ის დირექტორისთვის დაწერილ განცხადებაში აფიქსირებს. ოჯახს იმაზეც კი ეჭვი აქვს, არის თუ არა ის მისი ნაწერი. ოჯახი ფიქრობს გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარებას. ანუ არსებობს კითხვებისა და ეჭვების...

– ცნობილია, რომ რამდენიმე თვის წინ, იმავე დანესებულებაში, იმავე სახით პატიმარ აფხაიძის გარდაცვალების შემდეგ დანესებულების ხელმძღვანელობა შეიცვალა...

– მართალია და იმასაც ვადასტურებ, რომ სხვა დანესებულებებთან შედარებით, ამ საპყრობილეს ნამდვილად ინტელიგენტი და მოწესრიგებული დირექტორი ჰყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ დირექტორზე არ არის დამოკიდებული სისტემის მუშაობა. მას აუცილებლად სჭირდება გადახალისება. სამწუხაროდ, დღევანდელი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ჩვენ არ ვართ მხარე და მხოლოდ მოწმის უფლებებით ვსარგებლობთ. თუმცა, რეკომენდაციის სახით: კარგი იქნება, თუ კორტავას საქმის მსგავსად პროკურატურა მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ თავად გამოიძიოს ეს საქმე და ეს გააკეთოს იმერეთის პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფმა. ვთვლით, რომ მათ თავისი კომპეტენტურობა კორტავას საქმეზე უკვე გამოავლინეს, ბევრი გააკეთეს ამ საქმის გახსნისთვის. ხშირად მეკითხებიან კორტავასა და ძველაიას საქმის მსგავსების შესახებ. ეს ორი საქმე ერთმანეთს ჰგავს იმით, რომ ორივე შემთხვევაში ე.წ. ლიდერებთან კონფლიქტთან გვაქვს საქმე. კორტავას შემთხვევაში ეს კონფლიქტი მკვლელობის მოტივაციად დადასტურდა. ძველაიას შემთხვევაში კი დასადგენია ბევრი რამ: კონკრეტულად ვისი ეშინოდა არასრულწლოვან პატიმარს და რატომ? მართლა თავი მოიკლა, თუ მოკლეს? ასე მარტივად იმის დაჯერება, რომ ადამიანმა მიიღო გადაწყვეტილება თვითმკვლელობაზე, რომელიც 3 დღეში ციხეს დატოვებდა, ცოტა რთულია.

გარდაცვლილის მამა, დავით ძველაია „პრაიმტაიმს“ უამბობს, რატომ გაუჩნდა ეჭვი შვილის მკვლელობასთან დაკავშირებით:

– კონფლიქტი იმავე ციხეში დაიწყო, სადაც გოგა გარდაიცვალა. მარიამობის დღეს, 28 ოქტომბერს გოგა შეიწყალეს. რამდენიმე დღის წინ, 25 აგვისტოს ხელზე ოპერაცია გაუკეთეს. კონფლიქტი, ალბათ, 24 აგვისტოს მოხდა. როგორც ჩემი შვილისგან ვიცი, ის იმ დღეს პირს იბანდა. მასთან კამერაში ვინც იჯდა, იმას მისთვის პირსახოცი მოუქნევია, ჩქარა, გოგაო. ის შემოტრიალებულა და პირსახოცი თვალში მოხვედრია. სიმწრის გამო დაურტყამს. გოგას ხელი მოტყდა, იმას კი – ყბა.

– ამის გამო დასჭირდა ოპერაციული ჩარევა?

– დიახ, რკინა ჩაუდგეს ხელში.

– ვინ იყო ის ადამიანი, ვისთანაც ეს კონფლიქტი მოუხდა?

– მის სახელსა და გვარს დღემდე ვკითხულობ. ამის გაგება მინდა, მეტი არაფერი და იმ წუთიდან მივხედავ ჩემს საქმეს.

– სადაც ოპერაცია ჩაუტარდა, დაზიანების მიზეზად რა წერია?

– არ მეუბნებიან. ოპერაცია ციხეში ჩაუტარდა.

– თვითონ გოგამ არ გითხრათ მისი სახელი და გვარი?

მაია ნიკოლეიშვილი

– ჩემი შვილი უკვე თავისუფალი იყო და რაზე დავინტერესდებოდი ამ დეტალებით?

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ადამიანი 7 ოქტომბერს ისევ იმ დანესებულებაში იმყოფებოდა?

– კი, იქ დახვდა. გოგა ამბობდა, ხომ იცი, მამა, იქ ვერ ჩავალ, მომკლავენო. ვუთხარი, როგორმე 2 დღე მოითმინე, თავი შეინახე, ფულს შევიტან და გამოგაგდებ-მეთქი. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ის ქუთაისის მეორე საპყრობილეში უნდა გადაეყვანათ. გოგა ჭკუიდან გადავიდა, მე იქ არ წავალო. მოსამართლეს ვთხოვე, იქ პრობლემები აქვს, შეიძლება მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს და თუ შეიძლება, გლდანში გაუშვით-მეთქი. მოსამართლემ მიპასუხა, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედისო. ბავშვს ვუთხარი, ადმინისტრაციისთვის განეცხადებინა ყველაფერი და როგორმე ორი დღე თავი შეენახა. როცა ქუთაისის ციხეში მივიდა, მაშინვე მოითხოვა უფროსთან შეხვედრა. მას აუხსნა თავისი პრობლემა. ის დახმარებას შეპპირდა და განცხადება დააწერინა, ცალკე კამერაში მოთავსების მოთხოვნით.

– გოგას პატიმრებთან შეხება ექნებოდა?

– არ ექნებოდა, რადგან მანქანიდან პირდაპირ უფროსთან შევიდა, იქიდან კი პირდაპირ იზოლირებულ კამერაში. ღამე იქ გაათენა. მეორე დღეს უკვე პრობლემები დაეწყო. ეტყობა, კამერის კარი გაიღო, პატიმრები შევიდნენ და გაუსწორეს ანგარიში. მერე კი დადგეს სცენა, თითქოს გოგამ თავი ჩამოიხრჩო. ამას ჩემი შვილი თვითონ არ გააკეთებდა. ციხის უფროსმა მითხრა, ჩვენ ყველგან კამერა გვიყენია და ჩვენ გარეშე ვერავინ გადადგამს სადმე ნაბიჯსო. კამერის ნახვა მოვთხოვე. მითხრა, რომ ვიდეოჩანაწერი გამოძიებისთვის იყო გადაცემული, თუმცა იქ გოგა არ ჩანსო. როგორ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გაუხმაურებელი ვერსია, რომელზეც გამოძიება მუშაობს

„გამიხვრიტა ყური, რომ გოგა ძველაიამ თავი კი არ ჩამოიხრჩო, არამედ მოკლეს“

ლედი ტუკვაძე

ვინ დაარწმუნა გოგა ძველაიას მამა, რომ მისი შვილი მოკლულია

არ უნდა ჩანდეს, თუ ზეწარს ხევს, თოკს ამზადებს, გრეხს, მერე აკეთებს მარყუჟს, რითაც ტუალეტში შედის და თავს იკიდებს. აქედან რამე დეტალი კამერას არ უნდა დაეფიქსირებინა-მეთქი? გაჩერდა...

– განცხადება ნამდვილად გოგას დაწერილია?

– ძალიან ბატიფეხური ნაწერია. კალიგრაფია არ ვარგა. მაგრამ მე მჯერა, რომ გოგას დაწერილია, რადგან მას ორი თითი მოტეხილი ჰქონდა, მესამეს კი ვერ ამოძრავებდა.

– ერთ-ერთ ჩანაწერში სოციალური მუშაკი ფიქსირდება...

– კი. სოციალური მუშაკი ამოწმებს მას. შემდეგ ნახევარ საათში უკან ბრუნდება და გოგას ნახულობენ გარდაცვლილს. რატომ დაბრუნდა უკან? ამ ნახევარ საათში რა მოხდა ამ საკანში? ვინ შევიდა და გამოვიდა? – ეს არაფერი ფიქსირდება.

– ეჭვი იმის შესახებ, რომ ის მოკლეს, მხოლოდ თქვენი ვარაუდია, თუ გაქვთ რამე არგუმენტირებული მტკიცებულება?

– როცა გოგა მოვასვენეთ, ყურადღება ნამდვილად არ მიმიქცევია იმისთვის, ბაწარი როგორი და რა ფერის იყო. ვგლოვობდი იმას, რომ 16 წლის შვილი დავკარგე. სამძიმარზე მოვიდა ნათესავი ექიმი. მკითხა, თავი მოიკლა, თუ მოკლესო? თავი მოიკლა-მეთქი. ეს არ ჰგავს თვითმკვლელობასო. ეტყობა, ეს ექიმი დააკვირდა კისრის მიდამოებს. ამის მერე მთელი ყურადღება ამ ბატონზე გადავიტანე. მან გადამახსნევინა სასახლის თავი, დაწვრილებით ამიხსნა ყველაფერი. მთელი ღამე მიცვალებულთან ვიჯექი მარტო. ვაკეთებდი მარყუჟს და საკუთარ კისერზე ვაკეთებდი ექსპერიმენტებს. იმ კაცის ნათქვამსაც ვაანალიზებდი. მივხვდი, რომ ეს ადამიანი მართალი იყო თავისი ეჭვებით. მაშინვე ავტეხე განგაში. მანამდე ხმა არ ამომიღია. ამ ექიმმა გამიხვრიტა ყური, რომ გოგა ძველაიამ თავი კი არ ჩამოიხრჩო, არამედ მოკლეს.

– ყელზე ღარის მიმართულებამ დაგაეჭვათ?

– ჩემთან ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელიც იყო. მან მომიტანა რამდენიმე ფოტო იმ ადამიანების, ვინც თავს იხრჩობს. მანაც სწორედ ისე ამიხსნა ყველაფერი, როგორც ჩემმა ნათესავმა ექიმმა.

– თუმცა, თქვენ ცოცხალი ადამიანების ექიმი კი არა, სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, მაია ნიკოლეიშვილი გყავდათ მიწვეული, რომელმაც განაცხადა, რომ გვამს გარეგნული დათვალიერებით ძალადობის ნიშნები არა აქვს...

– დიახ, ყველა ეჭვი გავუზიარე მასაც. მან მითხრა, მე ჭორაობას ვერ დავიწყებ, ყველაფერი უნდა შევისწავლო და პასუხს ორ დღეში გეტყვითო.

მაია ნიკოლეიშვილი, დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი:

– ამ გარეგნული დათვალიერებით, ოჯახმა ამოწურა კითხვები, რაც ჰქონდა?

– რა თქმა უნდა, არა, უამრავი კითხვა რჩება ოჯახს. როცა დათვალიერებას ვატარებდი და ფოტოგრაფირებას ვახდენდი, მათაც ყველაფერი თავისი თვალით ნახეს. ის, რომ უხეში ფიზიკური დაზიანებები არ არის, აქ ორი აზრი არ არსებობს. რაც შეეხება სიკვდილის მიზეზს, მოდით, აქამდე დავტოვოთ მანძილი და კითხვები, რადგან მანამდე უნდა ვნახო სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. გავარკვიო, რამდენ ხანს იყო ჩამოკიდებულ მდგომარეობაში, რა სიმაღლეზე იყო? როგორ მოამზადა ეს მასალა? ვიდეოთვალი ხედავდა თუ არა ამას... როგორ ჩამოკიდა? რამდენად დროულად გაუნიეს მას დახმარება? ყველაზე მთავარი: რა მასალისგან არის დამზადებული ეს ყულფი?..

– ამბობენ, ზეწრითო...

– მაგრამ ზეწარიც არის და ზეწარიც... ჩემთვის საინტერესოა, შეესაბამება თუ არა ის მასალა იმ ნაჭდევს, რასაც ეს ღარი აჩვენებს? აქ ძალიან ბევრი კითხვაა. აქვე გეტყვით, რომ სახე იყო ძალიან მშვიდი. ნინასწარ არ მინდა იმ კითხვების დახვავება, რომელზეც პასუხები ვიღაცამ შეიძლება დაამუშაოს. ამიტომ მირჩევნია, დასკვნას დაველოდო. ყოველთვის წინააღმდეგი ვარ წინასწარ ვინმეს დაპანიკების. თუ იქნება პასუხები, რომელიც არსებულ კითხვებს მოხსნის, ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ზემოქმედება დარჩება, მაგრამ აქამდე საკმაოდ დიდი მანძილია გასავლელი. თუ გამოძიებასა და სასჯელაღსრულებას არაფერი აქვს დასამალი, ის გამოიჩენს კეთილ ნებას და გაგვცემს ყველა კითხვაზე პასუხს. თუ ამას გააკეთებს, მე მზად ვარ, ყველანაირად დავეხმარო პროფესიული თვალსაზრისით, თუკი მე რამე დამატებით ვნახე. თუ ყველაფერს დახურავს, მაშინ დასამალი ჰქონია. ჯერჯერობით ეს გამოკვეთილი არ არის, ასეთ კეთილ ნებას იჩენს თუ არა. ეს ასეთი საქმეების დროს უტყუარი ტესტია.

როგორც „პრაიმტაიმმა“ მოგვიანებით შეიტყო, ექსპერტს 13 ოქტომბერს კამერის დათვალიერების ნება მიეცა...

შემთხვევის ადგილი **პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ** დაათვალიერა: „ოთახი ჩვეულებრივია. იქ არ არის სათვალთვალო კამერა. არის მხოლოდ დერეფანში. იმ სათვალთვალო კამერით ფიქსირდება ოთახში შესვლა და გამოსვლა. კადრები ამოღებულია, გამოძიებას გადაეგზავნება. გვქონდა შესაძლებლობა, გვესაუბრა სოციალურ მუშაკთან, გოგონასთან, რომელიც იმ დღეს რამდენჯერმე შევიდა გოგასთან. მან სთხოვა ამ გოგონას, ოჯახის წევრებთან დაერეკა. რამდენჯერმე დაურეკა დედას, მერე გოგას უთხრა, რომ ვერ უკავშირდებოდა. მერე ბიცოლას ესაუბრა, ბიძას... უკავშირდებოდა იმის გამო, გაეგო, გოგას გირაოს თანხას როდის გადაიხდიდნენ. მან თქვა, რომ არაფერი ისეთი არ შეუმჩნევია, გარდა იმისა, რომ ამ საკითხით იყო დაინტერესებული. ამის გარდა, ოთახში ვნახე ადგილი, სადაც ის იპოვეს ჩამოკიდებული. საკმაოდ მაღალია ეს ადგილი და იქვე იყო ჩამოვარდნილი ხელსაბანი. რატომ და როგორ, ამას გამოძიება დაადგენს, შესაძლებელია, დაყრდნობის დროს ჩამოვარდა. სხვა უცხო პირი მასთან არ შესულაო, როგორც დირექტორი აცხადებს. მხოლოდ თანამშრომელი შევიდა რამდენჯერმე, რომ მოეკითხა, რადგან მარტო იმყოფებოდა, არასრულწლოვანთა განყოფილების ხელმძღვანელი. პირადად მე არანაირი საფუძველი არ მაქვს, ვიფიქრო იმაზე, რომ მკვლელობა განხორციელდა. მაგრამ ნინსწრებით დასკვნების გაკეთება არ შეიძლება. გამოძიებას უნდა დაველოდოთ და ექსპერტიზის დასკვნას, მათ შორის დამოუკიდებელ ექსპერტიზას, რომელიც უკვე ჩატარდა“.

როგორც ჩანს, მთელ ამ ისტორიაში საკვანძო ფიგურას სწორედ სოციალური მუშაკი წარმოადგენს. „პრაიმტაიმმა“ ექსკლუზიურად შეიტყო იმ ვერსიის თაობაზე, რომელიც პრესაში ამ დრომდე არ გაჟღერებულა. რამდენად შესაძლოა ეს ვერსია სინამდვილეს შეესაბამებოდეს, ამაზე გამოძიება იმსჯელებს, მანამდე კი მოგიყვებით ვერსიას, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია: „გოგა ძველაიას პირველ დანაშაულის ჩადენაზე სასამართლომ პირობითი სასჯელი მისცა, თუმცა მისი ვადა ჯერ კიდევ არ იყო გასული, როცა მან განმეორებით ჩაიდინა დანაშაული და სწორედ მაშინ მოხვდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ნ თვის შემდეგ პრეზიდენტმა ამ წლის მარიამობის დღესასწაულზე შეიწყალა. როცა ციხიდან გადიოდა, ერთმა პატიმარმა თავის შეყვარებულის ნახვა და მოკითხვის გადაცემა სთხოვა. გოგამ ეს თხოვნა შეასრულა, თუმცა გოგონას თავადაც დაუწყო „ჩალიჩი“. ეს ამბავი იმ პატიმარი ბიჭისთვის გახდა ცნობილი, დაურეკა და პასუხი მოსთხოვა. გოგამ არც მოუსმინა და უკმეხად, გინებით გაუთიშა ტელეფონი. როდესაც ის 6 ოქტომბერს ისევ შებრუნდა, იმავე დაწესებულებაში, იცოდა, რომ ამ საქციელის გამო მას პასუხს მოკითხავდნენ და ამიტომ მოითხოვა ცალკე საკანში მოთავსება. მას გარეთ გასვლა ეჩქარებოდა და სოციალურ მუშაკს სთხოვდა დაკავშირებოდა მის ოჯახს იმის გასარკვევად, როდის გადაიხდიდნენ ფულს. სოციალური მუშაკი რამდენჯერმე მივიდა გოგასთან საკანში და ატყობინებდა ოჯახის წევრების პასუხებს. სწორედ მისგან შეიტყო გოგამ, რომ დედამისი ტელეფონს არ პასუხობდა, ბიცოლამ და ბიძამ კი სოციალურ მუშაკს უთხრეს, რომ მათ ფული არ ჰქონდათ და ოჯახი რას გადაწყვეტდა მათთვის უცნობი იყო. გოგამ ჩათვალა, რომ ოჯახი ფულს არ იხდიდა. მით უმეტეს, რომ მას ამის გამოცდილება ჰქონდა... როდესაც ის წინა სასჯელს იხდიდა, მაშინაც უნდა გადაეხადათ გირაო 7 000 და როგორც შემდეგ გოგას უთქვამს, ამ თანხით მამამ მანქანა იყიდაო. სწორედ ამ დასკვნის გაკეთების შემდეგ გადაწყვიტა ისედაც ფეთქებადი ხასიათის ბიჭმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა.

ბუნებრივია, ჩვენთვის ძალიან მძიმე იყო ჭირისუფალთან ამ ინფორმაციის გადამოწმება, მაგრამ ჩვენი მკითხველის მაქსიმალური ინფორმირებულობისთვის, ეს მაინც გავბედეთ:

ბიცოლა, ქალბატონი ნანა:

- ის სოციალური მუშაკი მე მართლა დამიკავშირდა და მკითხა, შეგვქონდა თუ არა გირაოს ფული დღეს. ეს ბავშვი ჩემს ხელში იყო გაზრდილი, მისთვის არასდროს არაფერს დავინანებდი, მაგრამ იმ წუთას ფული არ გვქონდა და ამ ქალბატონს ვუთხარი, რომ როგორც ოჯახისგან ვიცი, ფულის გადახდის ორთვიანი ვადა გვაქვს და ეტაპობრივად შევიტანთ-მეთქი...

- გოგას ამ ინფორმაციის შემდეგ შეიძლებოდა ჩაეთვალა, რომ ოჯახი ფულს არ იხდის და ამის გამო მოეკლა თავი?

- საკუთარ ცოდვებს ჩვენ ნუ გადმოგვაბრალებენ. მართალია, გოგა ძალიან ემოციური ბავშვი იყო, მაგრამ მან ზუსტად იცოდა, რომ მისი ოჯახი მისთვის არაფერს დაინანებდა.

- იმ დღეს სოციალური მუშაკი გოგას დედასაც უკავშირდებოდა, მაგრამ მასთან დალაპარაკება ვერ მოახერხა...

- იმ დღეს, რატომღაც, მეც ვერ შევძელი, ჩემს მულთან დაკავშირება...

გოგა ძველაიას ბიძა, ბატონი რომანი: „დამიკავშირდა სოციალური მუშაკი, მაგრამ ჩემთვის ფულის თაობაზე არაფერი უთქვამს. მითხრეს, ქალბატონი მთვარისა არ გვპასუხობს და მასთან დალაპარაკება გვინდაო. მეც ვუპასუხე, ნ საათზე ვიქნები სახლში, დარეკეთ და დაგალაპარაკებთ-მეთქი, მაგრამ აღარ დაურეკავთ“...

ქალბატონი მთვარისა, გოგას დედა:

- იმ დღეს ჩემთან მსგავსი ზარი არ შემოსულა, არავის დაურეკავს.

- თქვენი რძალიც ამბობს, რომ ისიც ვერ გიკავშირდებოდათ...

- ფაქტია, რომ ჩემთან არავის დაურეკავს...

დავით ძველაია, გოგას მამა:

- ბატონო დავით, წინა დანაშაულზეც შეეფარდა გოგას გირაო?

- არა. პირველად სამწლიანი პირობითი ჰქონდა, მეორედ 1 წლით გაუშვეს ციხეში, ახლა იყო საუბარი გირაოზე...

- ჩვენი ინფორმაციით კი 7 000 ლარის ოდენობით გირაო უნდა გადაგეხადათ, რომელიც თქვენ მანქანის საყიდლად გამოიყენეთ...

- ტყუილია ეს. მე ჩემი „ოპელი“ 700 დოლარად ვიყიდე, როდესაც „მერსედესი“ გავყიდე, მაშინ. ამას გირაოსთან არავითარი კავშირი არა აქვს.

- თქვენი ოჯახის წევრები აცხადებდნენ, რომ ამ 5 000 ლარის გადასახდელად ორთვიანი ვადა გქონდათ...

- გუშინ გამომძიებლები იყვნენ ჩემთან მოსულები, მათაც ვაჩვენე გოგას გირაოსთვის შეგროვილი ფული, რომელსაც 200 ლარი მარტო იმიტომ აკლდა, რომ უკვე გარდაცვლილი შვილის გადმოსასვენებლად დამჭირდა... გოგამ იცოდა, რომ მე ამ ფულს აუცილებლად ვიშოვიდი და გამოვიყვანდი.

- თუ გოგას ეტყოდნენ, რომ დედა ტელეფონს არ პასუხობს, ბიცოლა და ბიძამ კი არაფერი იციან ფულის თაობაზეო, შეიძლებოდა ამის გამო ჩაეთვალა, რომ ოჯახი გირაოს არ იხდიდა და თავი მოეკლა?

- არა. რომ გამეგო, რომ ვენები გადაიჭრა და სისხლისგან დაიცალაო, ამას დავიჯერებდი, რადგან ჩავთვლიდი, რომ ყურადღების მიქცევა უნდოდა და ზედმეტი მოუვიდა-მეთქი, მაგრამ თავს ის არ ჩამოიხრჩობდა...

- მაგრამ თქვენ ერთხელ უკვე მითხარით, რომ ამ ვერსიისაც გჯეროდათ, სანამ ნათესავი ექიმი „გაგიხვრეტდათ ყურს“...

- მე მაშინ ისეთ დღეში ვიყავი, რომ არც ერთ ვერსიაზე დასაფიქრებლად არ მცხელოდა, მე ჩემს გარდაცვლილ 16 წლის შვილს ვგლოვობდი...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლადო ბურდულის კონცერტი ლონდონში და ავტობიოგრაფიული წიგნი

my View
დეა თავბერიძე



უკვე მესამე წელია, რაც მუსიკოსი ლადო ბურდული კონცერტებს ლონდონში მართავს. იქ მის მოსასმენად ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან მისი ძველი მეგობრები და ფანები იკრიბებიან. ამჯერად კონცერტი ჯერ Nati Gallery-ში გაიმართება. მერე კი ტემზაზე, მეგობრის იახტაზე. ამ გალერეაშივე იქნება მისი ფილმების რეტროსპექტივაც. გარდა ლონდონური კონცერტისა, ხელოვანს სამომავლოდ უამრავი გეგმა აქვს, როგორც „პრაიმტაიმისთვის" გახდა ცნობილი, რომ მუსიკოსი ავტობიოგრაფიულ წიგნზე იწყებს მუშაობას. 2014 წლის გაზაფხულზე ევროპულ ტურნეს აწყობს, ხოლო ამავე წლის შემოდგომაზე უფრო მასშტაბურ ამერიკულ ტურნეს გეგმავს. ამჯერად კი ერთდროულად ორ სოლო ალბომზე მუშაობს...

ლადო ბურდული: - ლონდონში პირველ ნოემბერს მიფრინავ. 8 და 9 ნოემბერს კი ჩემი ავრტობიოგრაფიული ფილმების „კულტურული რევოლუციის" რეტროსპექტივა მექნება. 4 ფილმს წარვადგენ. 2 იქნება ფაბრიკა და 99 წლის კავკასიის როკ-ფესტივალი. დანარჩენი ორი კი ჩემს სახლში გამართული ფეშენ შოუები და „ლაივ" კონცერტები, იმდროინდელი წამყვანი თუ თანამედროვე ხელოვნებაში მოღვაწე არტისტების მონაწილეობით. მახსოვს, ჩემთან სახლში მოწყობილმა ერთ-ერთმა კონცერტმა ბიბისის რადიო როგორ განაცვიფრა. აღფრთოვანებულები დარჩნენ ქვეყანაში, სადაც შუქი არ არის, ირგვლივ ასეთი საშიში კრიმინალური სიტუაციაა, საოცრებას წავაწყდითო. წერდნენ, ჩვენ მივედით ლადო ბურდულან სახლში, სადაც ვნახეთ როგორ არის ქართული თანამედროვე ხელოვნება ემბრიონის მდგომარეობაში, მე მივწერე, თქვენ უბრალოდ არ იცნობთ ამ ქვეყნის ისტორიას, ვერ ვითარდება, თორემ აქ, ამ მდგომარეობაში 30-იანი წლებიდან არის-მეთქი.

ლონდონში, ჩემი უახლოესი ადამიანის, ნათია კელის მიწვევით მივდივარ. სწორედ მისი დამსახურებაა ჩემი ყველა კონცერტი იქ. ამ საღამოებს ნათია კელის საგამოფენო დარბაზში ვაკეთებ. საკმაოდ მყუდრო და საინტერესო სივრცეა. ასევე მოლაპარაკებები მაქვს dashart -თან, თუ ეს მოლაპარაკება შედგება და დამაფინანსეს, იქ დიდ კონცერტს ჩავატარებ.

- მიკვირს, რატომ არ მართავ მასშტაბურ კონცერტს საქართველოში?

- ჩემი კონცერტები უფრო კრეატიულია და არა კომერციული. აქცენტი უფრო დიალოგსა და თანამედროვე ქართული მუსიკის პოპულარიზაციაზე კეთდება. დიდ, გრანდიოზულ კონცერტებს მე არ ვმართავ, არ არის ჩემი სტილი. ამას სხვა თანხები სჭირდება, თუ იქნება რატომაც არა... მაგრამ მე 80-იანი წლების ბოლოდან ასე ვაკეთებ ჩემს კონცერტებს ეს არის ანდერგრაუნდი განსხვავებული ხალხისთვის, რომლის გემოვნებასაც არ აკმაყოფილებს ის, რაც ირგვლივ ხდება, დღემდე სულ ასეთი ადამიანებისთვის ვუკრავ...

EXCLUSIVE

„კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა"

მოზარდმაყურებელთა თეატრი ამ ბოლო დროს მაყურებელს ახალი სპექტაკლებით ძალიან ანებივრებს. „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" ერთ-ერთი მათგანია. ამ სპექტაკლის პრემიერა მცირე სცენაზე 15, 16 და 20 ოქტომბერს 19:00 საათზე, შედგება.

გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოების რეჟისურა და მუსიკალური გაფორმება ზურაბ კანდელაკს ეკუთვნის. მხატვარი ლომგულ მურუსიძე გახლავთ.

მონაწილეობენ: ზურაბ ციცნცქილაძე (ვასილ კეჟერაძე), გიორგი კაჭახიძე თამაზი), ვახტანგ ნოზაძე(ხელმძღვანელი), გიორგი შავგულიძე, გიორგი ჯიქურიძე (კლიმი), ლიკა შუკაკიძე(ქალი).

მეოცე საუკუნის ერთ-ერთი შესანიშნავი პროზაიკოსის, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა", სცენურ ვერსიაში შენარჩუნებულია ავტორისეული პათოსი: ადამიანი წარმოსახვის, ფანტაზიის, კულტურული ფასეულობების გარეშე კარგავს თავის ძალას და უაზრო პრაგმატიზმის ამარა რჩება. ვასილ კეჟერაძის ატელიეში მოქმედება ჩვენს დროში ხდება.

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ინტერვიუ მამასთან“ - გელა ჩარკვიანი

შვილისთვის მიცემულ ინტერვიუში გამჟღავნებული კანდიდ ჩარკვიანის სინამდვილე

გელა ჩარკვიანი: „პატარა რეპორტიორი ვითხოვე და მივადექი, შენ ძალიან დიდი ინფორმაცია გაქვს და შეგიძლია ბევრი თქვა იმის თაობაზე, რაც ძალიან საინტერესო იქნება მომავალი თაობებისთვის-მეთქი. ასე ჩავწერე ლოგინში მწოლიარე მამა“

„კანდიდ ჩარკვიანის შვილობას ჩემთვის ხელი არასდროს შეუშლია. პირიქით, ცხოვრებას მიადვილებდა. ჩემი მიზანი არ არის მამაჩემი რამეში ან გავამართლო, ან განვადიდო, ეს არ მჭირდება“

EXCLUSIVE

my View

თამარ გონგაძე

იუსტიციის სახლის „ჯასთ კაფეში“ წიგნის პრეზენტაციაზე სპონტანურად აღმოვჩნდი. როგორც ყველაფერი სპონტანური, ეს შემთხვევაც სასიამოვნო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ბუნებრივია, შთამბეჭდავი იქნებოდა - გელა ჩარკვიანის წიგნი შევიძინე. „ინტერვიუ მამასთან“, ასე ჰქვია წიგნს, რომელშიც კანდიდ ჩარკვიანი სტალინის, ბერიას და გვიანდელი სტალინური ეპოქის საქართველოს შესახებ თავის შვილს უყვება. 1989-92 წლებში ცეკას პირველი მდივნის მიერ შვილისთვის მიცემულ ინტერვიუში გამჟღავნებული სინამდვილე მართლა ერთ ამოსუნთქვაში იკითხება, ჯერ ერთი, ფორმის გამო - კითხვა-პასუხის რეჟიმშია და ორი თაობის საუბარია, მეორეც - თხელია. მიუხედავად ასეთი მოცულობისა (123 გვერდი), წიგნი ბევრ საინტერესო ფაქტსა თუ ინფორმაციას მოიცავს და ვერ წყდები. პირადად მე, ამ წიგნიდან გავიგე, რომ თურმე სტალინი ძირითადად მხოლოდ „თელიანის“ ღვინოს სვამდა, ისიც სირჩით და ლიმონათთან შეზავებით, შენობით არავის ელაპარაკებოდა, მგალობელთა გუნდში მღეროდა, უყვარდა დანტე, ბალზაკი, ზოლა და მოპასანი... სტალინის პიროვნული შტრიხების გარდა პირველი პირის მიერ მონათხრობი ბევრი ისტორიული ფაქტი თითქოს ფილმის კადრებად ცოცხლდება. გელა ჩარკვიანი აცხადებს, რომ მას ამ წიგნით მიზნად არ ჰქონია მამის, როგორც საბჭოთა საქართველოს პირველი პირის რაიმე კუთხით გამართლება, მან უბრალოდ, ერს ახლო წარსულის ისტორია შემოუნახა. წიგნი გამომცემლობა „არტანუჯმა“ თავისი ინიციატივით გამოსცა. პრეზენტაცია სტუმრებისთვის ბატონმა გელა ჩარკვიანმა წიგნზე საუბრით დაიწყო და შემდგომ კითხვა-პასუხის რეჟიმში გააგრძელა.

ზვიად კვარაცხელია (წიგნის რედაქტორი): „კითხვები, რომელიც ბატონ გელა ჩარკვიანს მამამისის მიმართ უჩნდება, განპირობებულია ყველა იმ კონტექსტით, რაც საბჭოთა მემკვიდრეობის მიმართ არსებობს. წიგნს ერთვის ამომწურავი წინათქმა, სადაც ბატონი გელა მიმოიხილავს და ზუსტად ახასიათებს იმ ეპოქას, რომელშიც კანდიდ ჩარკვიანს მოუხდა ცეკას პირველი მდივნობა (1938-52 წლები). ეს წიგნი ქართული ისტორიისთვის და იმ ეპოქის მკვლევარებისთვის, ვინც საბჭოთა მემკვიდრეობას იკვლევს, ნამდვილად შენაძენია“.

ბუბა კუდავა („არტანუჯის“ დამფუძნებელი, ისტორიკოსი): „მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ გელას ასეთი არაჩვეულებრივი წიგნისთვის. მინდა გამოვტყდე, რომ ხშირად არ მცალია იმისთვის, რომ წიგნები ერთი ამოსუნთქვით წავიკითხო. ეს კი ის შემთხვევა იყო, ხან შუაში ჩავკარი თვალი, ხან ბოლოში და გადავწყვიტე, რომ თავიდან ბოლომდე ჩავსულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე ბევრი წყარო დაიბეჭდა, მაინც დიდი დეფიციტი გვაქვს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ისტორიაში წყაროები მწირია. შეიძლება იმიტომ, რომ მდიდარი ისტორია გვაქვს. დღეს, როცა ამდენი საშუალებაა, ბევრ შანსს ვუშვებთ ხელიდან, რომ შევქმნათ წყარო. ეს შანსი კარგად გამოიყენა ბატონმა გელამ. ის ინტუიციით გრძნობდა, რომ ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდა, მაგრამ, რაც დრო გავა, უახლესი ისტორიის ეს არაჩვეულებრივი წყარო მით უფრო დაფასდება. აბსოლუტურად სხვადასხვანაირები ვართ, როცა ვწერთ, როცა აუდიტორიის წინაშე გამოვდივართ და როცა შვილს ვესაუბრებით. ამ წიგნში ისეთი ნიუანსებია, რომ შეიძლება კანდიდ ჩარკვიანის იმ 800 გვერდიან მემუარებს აღემატებოდეს. კალამთან რომ მიხვალ, შეიძლება ჩათვალო, მოდი, ამას არ დავწერო. მაგრამ როცა საუბრობ, ამაზე ნაკლებად ფიქრობ და გაცილებით უშუალო ხარ. ბატონო გელა, ამჯერად როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მინდა გთხოვოთ - მამის საინტერესო პირადი საარქივო მასალა მოგვაწოდოთ. სიამოვნებით შევქმნიდით კანდიდ ჩარკვიანის არქივს“.

„ის იყო ჰუმანური, კეთილი ადამიანი“

გელა ჩარკვიანი: „1989 წელს მამაჩემი იწვა საავადმყოფოში, ვაკის ლეჩკომბინატში. ჩათვალე, რომ მისი ჩაწერა აუცილებელი იყო. პატარა რეპორტიორი ვითხოვე და მივადექი, შენ ძალიან დიდი ინფორმაცია გაქვს და შეგიძლია ბევრი თქვა იმის თაობაზე, რაც ძალიან საინტერესო იქნება მომავალი თაობებისთვის-მეთქი. ასე ჩავწერე ლოგინში მწოლიარე მამა. ჩემთან ერთად იყო ჩემი ვაჟი ირაკლი. შემდეგ უკვე, 1992 წელს, ვიდეოკამერა რომ გაჩნდა, ძალიან დიდი კამერით უკვე სახლში, კამოს ქუჩაზე ვეწვიე. ყველაფერი ვერ შეგეკითხე, ზოგსაც თავიდან გკითხავ, ვიდეოზე დარჩეს-მეთქი. ავიღე მეორე ინტერვიუ. საბოლოო ინტერვიუ რომ ავიღე, იმ დროს მამაჩემი უკვე 86 წლისა იყო. მემუარების მეორე წიგნზე - „განცდილი და ნააზრევი“ მუშაობდა. ის წიგნი 2004 წელს გამოვიდა, ძალიან სოლიდური ნაშრომია. მამა კარგად წერდა, ჟურნალისტი გახლდათ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი იყო. მაინც მძიმე წიგნია 800 გვერდიანია, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი წიგნია. არც შეიძლება ასეთი ნიგნი რომ არსებობდეს. მამაჩემი საბჭოთა საქართველოს პირველი პირი იყო. ის ამ თანამდებობაზე 14 წლის მანძილზე გახლდათ. მხოლოდ პირველ წყაროს შეუძლია ილაპარაკოს ის, როგორც თვითონ ხედავდა ამ რეალობას. ადამიანს, რომელიც პირამიდის მწვერვალზე დგას, სულ სხვა პანორამა ეშლება. მთლიანად აქვს ყველაფრის აღქმა. მე მიმაჩნია, ყველას, ვინც ამ პროცესებში მონაწილეობდა, მემუარების სახით უნდა დაეტოვებინა ნამუშევარი.

რამდენიმესაათიანი იყო ეს ინტერვიუ, მაგრამ როცა კანდიდი გარდაიცვალა, სამი-ოთხი სერიოზული შეკითხვა მერე გამიჩნდა. სახელმწიფოებრივ საიდუმლოებას, ალბათ, არც იტყოდა. ნამდვილი ორთოდოქსი იყო. მამა ამ წიგნში პირდაპირ ამბობს, რატომ ხდებოდა საქართველოს ოლქებად დაყოფა. მიუხედავად ინტერნაციონალიზმისა, სტალინს ჰქონდა კუთხურობა. ქუთაისის და თბილისის ოლქი ცალ-ცალკე გააკეთა. როგორ შეიძლება კუთხურად ვიფიქროთ? საქართველო ერთიანია და ასე დაყოფა დამღუპველია. მამა საუბრობს ტერიტორიებზე, საინგილოზე, თურქეთის ტერიტორიებზე, სტალინისეულ ხედვაზე - როგორ უნდოდა, რომ დაებრუნებინა თურქეთის ტერიტორიები. ეს პოლიტიკური კორექტულობის დარღვევად არ უნდა მივიღოთ, ეს სულ სხვა დროის ადამიანის ნათქვამია.

იმ პერიოდს მეტნაკლებად შეფასებას მეც ვუკეთებ. ჩემი მიზანი არ არის მამაჩემი რამეში ან გავამართლო ან განვადიდო, ეს არ მჭირდება, მიზნად არ მაქვს. ვწერ კიდეც იმის გათვალისწინებით, რა კონტექსტშიც მოხდა მისი კარიერის აღმავალი ელვისებური ტრაექტორია, ეჭვი არ მეპარებოდა, მას მორალურ კომპრომისებზე წასვლა უხდებოდა. პოლიტიკაში ყოველთვის გვაქვს მორალური კომპრომისები და იმ დროში, როცა ყველაფერი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გადის, ეს მნიშვნელოვანი იყო. თუ პოლიტიკოსი იმ მინიმალური ალტერნატივებიდან, რომელიც მას პოლიტიკაში აქვს, ყველაზე სწორს ირჩევს, ის კარგი პოლიტიკოსია. მამაჩემის შემთხვევაში ვიტყვი, რომ თუკი იყო იმის მინიმალური შანსი, რომ მას ზოგადსაკაცობრიო ეთიკიდან გამომდინარე კეთილი გადაწყვეტილება აერჩია, მამაჩემი ყოველთვის აკეთებდა ამას. ტელევიზიით ხალხი ხშირად ამბობს, ჩვენ ჩარკვიანმა დასაჭერების სიიდან ამოგვიღოო. სადაც მინიმალური შანსი ჰქონდა, ამას იყენებდა. ის იყო ჰუმანური, კეთილი ადამიანი. მამა იყო ორთოდოქსი მარქსისტი, მე დასავლელი ლიბერალი და მეკითხებიან, კონფლიქტი გქონდათ ალბათო. თუ დასავლელი ლიბერალი ვარ, ჩემთვის ყველა აზრი მისაღებია. მამა ბოლომდე ინარჩუნებდა თავის პრინციპებს. ისეთი ტიპის იყო, კონფლიქტში არ შემოდიოდა და ჩხუბს არ დაგიწყებდა. ორჯერ გული ვატკინე, ეს ეხებოდა ჩემ პროგნოზს საბჭოთა სისტემის თაობაზე. დისიდენტი არასდროს ვყოფილვარ. ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს სისტემა დიდხანს ვერ იმოქმედებდა. კანდიდ ჩარკვიანის შვილობას ჩემთვის ხელი არასდროს შეუშლია, პირიქით, ცხოვრებას მიადვილებდა. აუგი მასზე გამიგია, მაგრამ ძალიან იშვიათად, სულ ორი-სამი კაცისგან“.

ვაჟა-ფშაველაზე

„მამას ახლო ურთიერთობა ჰქონდა სტალინთან. როგორც ოფიციალურ შეხვედრებზე, ისე არაოფიციალურზე. სექტემბერ-ოქტომბერში გაგრაში ვცხოვრობდით. იმ დროს მამა, ბუნებრივია, მუდმივად იყო სტალინთან. სტალინმა ერთხელ ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსი თქვა. მამას გაეხარდა და უთხრა: „უცნაურია, გენიოსი სადაც არ უნდა დაიბადოს, მაინც გენიოსია, ვაჟამ დიდი განძი დაგვიტოვა თავისი შემოქმედების სახით. ის დიდი მოვლენაა, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს ლიტერატურაშიო“. სტალინს არაფერი უპასუხია. გამომიგზავნეთ მისი წიგნები. ორი-სამი ტომი გაუგზავნეს. გავიდა რაღაც პერიოდი, მამას ურეკავს და რუსულად ეუბნება (საერთოდ, როცა მარტონი იყვნენ, მამას ქართულად ესაუბრებოდა), თქვენ ამბობდით, რომ ვაჟა-ფშაველა გენიოსია. მაგრამ მე უნდა გაგაწბილოთ, ის ძალიან ნიჭიერია, მაგრამ მისი მსოფლმხედველობა უიმედოდ ვიწროა. სტალინი ფიქრობდა, რომ ვაჟა ენის თვალსაზრისით ძალიან ჩამორჩენილია და ეს ხელს არ უწყობს ერთიანი ქართული ენის ჩამოყალიბებას. მათი სატელეფონო კავშირი ისევ შედგა. სტალინს უკითხავს, ვაჟა-ფშაველას საკითხი როგორ არისო. მამა ამბობს, ვაგრძნობინე, რომ ძალიან არ მსიამოვნებდა ამ თემაზე ლაპარკიც კი. მე გითხარით, და დანარჩენი თვითონ იცითო. „ეს კი პირდაპირ ნიშნავდა, რომ მე პირდაპირ მეძლეოდა დავალება, მისი დავალების შეუსრულებლობა ჩვენ მაშინ ვერ წარმოგვედგინა“, - ამბობს მამა. იტყვიან - რატომ გმირობა არ ჩაიდინაო. გმირობას პასუხისმგებლობის გრძნობაც უნდა ახლდეს. გმირობას ჩაიდენდი და შენი შვილები ან საერთოდ არ გადარჩებოდნენ, ან ციმბირში დაასრულებდნენ ცხოვრებას. მამა აქაც მორალურ კომპრომისზე წავიდა, ამბობს, რომ სასწავლო პროგრამიდან ვაჟა არ ამოუღია. თუმცა ვაჟას კრიტიკა იყო... ეს ისტორიაა“.

მემუარები არამემუარულად

ბატონი გელა წიგნის დაწერაზე ფიქრობს. ამჯერად თავის ცხოვრებაზე. ამისთვის საინტერესო ფორმას ეძებს.

„თუ ღმერთი ორ წელიწადს მაცდის, დავწერ. ჟანრობრივი სირთულეები მაქვს, არ მსურს უბრალოდ მემუარები დავწერო. ახლა დიპლომატიურ მემუარებს იმიტომ ვკითხულობ, რომ ასე არ დავწერო. ყველა ფაქტს აბსოლუტურად სწორად დავწერ, მაგრამ ისტორიული მემუარები არ მინდა. სხვანაირ კომბინირებასა და სტილისტიკას მივცემ. მინდა გროტესკის ფორმა ჰქონდეს. თითქოს ყველა ფაქტს შიგნიდან კი არ ვუყურებ, კოსმიური წერტილიდან ვადევნებ თვალს. მინდა დავიჭირო მომენტი, რომ ყველა ივენთი დაახლოებით ერთი რანგით იყოს წარმოდგენილი, ეს იქნება ამერიკის პრეზიდენტთან შეხვედრა თუ ჩემს კატასთან ალერსი...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შტრიხები ქეთი დევდ

my View
დეა თავგერიძე

„ჩემი ცოლის დაქალებში“ ახალი გმირის შემოყვანამ თბილისი კვლავ აალაპარაკა. მიხრა-მოხრით, საუბრის მანერით და ცხოვრებისეული ნიუანსებით კატოს ახალი თაყვანისმცემელი ბევრმა ბიზნესმენ ლევან ვასაძეს მიამსგავსა... ქალაქში იმასაც ამბობენ „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტის სასიყვარულო ისტორიაც სერიალის სცენარივით ჩახლართულიაო... სცენარისტს რომანი თავისივე პროდიუსერ ირაკლი საღინაძესთან აქვს გაბმულიო... თავად ქეთი დევდარიანს კი მისი ცხოვრებისადმი ამგვარი ინტერესი აკვირვებს. - „რომელი სერიალის სცენარისტი ნახე, ხალხი რომ იცნობდეს? არც მე ვარ გამონაკლისი, „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტს რა შემთხვევია ვის აინტერესებს“ - ამბობს ქეთი დევდარიანი... მაგრამ აშკარად ცდება, სწორედ „ჩემი ცოლის დაქალებმა“ დააინტერესა მაყურებელი სცენარისტით...



მაშ ასე, შტრიხები ქეთი დევდარიანის ცხოვრებიდან

გერმანული ენის მასწავლებელი გოგონა, „ფორმულა კრეატივის“ მეშვეობით, მისთვის უინტერესო და მოსაწყენი საქმიანობიდან, აღიარებულ სცენარისტად იქცა.

ქმარს 14-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ გაშორდა. ჰყავს 18 წლის თინათინი. რომელიც წელს ილიაუნის სტუდენტი გახდა. სერიალში შვილის რჩევებსაც ხშირად ითვალისწინებს.

ყველაზე სექსუალური ქართველი კაცის დასახელება უჭირს.

ქართული ჟურნალისტიკა, მისი თქმით, სავალალო მდგომარეობაშია. ამის მიზეზად არაპროფესიონალიზმს მიიჩნევს.

მისთვის ყველაზე კარგი გართობა კინოში წასვლა და კარგი ფილმის ყურებაა. ამაზე მეტად კი საკუთარი საქმის კეთება და მერე მეგობრებთან ერთად მისი განხილვაა.

მისი აზრით, „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი შეცდომა ზედმეტი თავდაჯერებულობა და იმაზე ფიქრი იყო, რომ არასოდეს შეიცვლებოდნენ, „ქართული ოცნების“ პოლიტიკა კი მისთვის უფრო შოუმენის შოუა...

თბილისში ისე ვერ ერთობა, როგორც თავად სურს და ამაში მთავარი დამნაშავე გასართობი ალტერნატივების ნაკლებობაა. ალბათ, ამიტომაც გაემგზავრა რამდენიმე დღით სტამბულში დასასვენებლად. ეს ინტერვიუ გამგზავრებამდე ჩავწერეთ.

ქეთი დევდარიანი:

- მე და ჩემი მეგობარი ვსარგებლობთ იმით, რომ ეს სამი დღე ვისვენებთ და აქაური რეალობისგან დისტანცირების მიზნით სტამბულში მივემგზავრებით. ეს ძალიან კარგია განტვირთვისთვისაც და შთაბეჭდილების მისაღებად. ჩემი შვილიც მიმყავს, არა აქვს ეს ქალაქი ნანახი და ძალიან მინდა, რომ ნახოს...

ქართული რეალობისთვის დამახასიათებელი ნაცნობი სიტუაციების გაშარჟება და არსებული სტერეოტიპების გამასხარავება, - ეს სცენარისტის ხელწერაა. ის, რის მიჩქმალვასაც საზოგადოება საგულდაგულოდ ცდილობს, სერიალში ყველაზე კარგად აისახა. ამიტომაც არის, რომ ინტერესი „ჩემი ცოლის დაქალების“ მიმართ არ ნელდება. იმატა მაყურებლის ცნობისმოყვარეობამაც, ბევრი დაინტერესდა იმ ადამიანის ცხოვრების დეტალებით, რომელიც სხვების ცხოვრებას ასე კარგად ხედავს, აღწერს და ხალხს გართობასთან ერთად რაღაცებზე ჩააფიქრებს კიდეც... წარმატების საიდუმლო უბრალოა, ამბობს და ღიმილით დასძენს „ყველა საქმეს სჭირდება ბევრი შრომა და ცოტა ნიჭი“...

ქეთი დევდარიანი: - ბევრი უნდა იშრომო და ყველაფერი გამოგივა. არანაირი განსაკუთრებული საიდუმლო არ გვაქვს. ყველა სტანდარტს ვიცავთ, რაც სერიალის კეთებას სჭირდება. 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობთ. ამიტომაცაა საინტერესო. არაფერს ვიგონებთ თვითონ ცხოვრება გვაძლევს მასალას.

- ცხოვრებიდან გაქვთ მგონი აღებული მირიან ბარათელის გმირიც, ამბობენ, რომ ლევან ვასაძეს ამსგავსებს მაყურებელი...

- მარტო ლევან ვასაძეს? სხვას არავის? რაღაც დეტალები მისი ბიოგრაფიიდან საერთოდ არ ემთხვევა ლევან ვასაძის ბიოგრაფიას... არასოდეს ერთი კონკრეტული პროტოტიპი არ მყავს. ვიღაც ერთი ამოიჩემო, ეს დიდი შეცდომაა და უინტერესოც. ეს არის რამდენიმე ადამიანის ჰიბრიდი, ამიტომ ზოგი ლევანს მიამსგავსებს, ზოგი სხვას... კი, ვიღაცები მეც მწერენ ხოლმე, ეს ლევან ვასაძეაო? არადა, მე ლევან ვასაძის ცხოვრებას ასე კარგად არ ვიცნობ. ტიპაჟურად, რა თქმა უნდა, შეიძლება მიამსგავსო, ასევე შეიძლება მიამსგავსო პრემიერსაც, პრეზიდენტსაც, ეს უკვე მაყურებლის გადასაწყვეტია. მე პროტოტიპად ლევან ვასაძეს არ ვაცხადებ, რადგან პირდაპირი პროტოტიპები არავისი არ მყავს. სულ მეკითხებიან - ეს ის არის? ეს იმას ძალიან ჰგავს. არა! რადგან ეს იქნებოდა უინტერესო, მაგრამ რაღაც შტრიხები, რა თქმა უნდა, ყველასაგან არის აღებული, ვინც დღეს საქართველოში ფეისია.

- სერიალის პოპულარობამ ფეისი შენც გაგხადა.

- რომელი სერიალის სცენარისტი ნახე ხალხი რომ იცნობდეს? ამიტომ შეუძლებელია პოპულარული ვიყო... უბრალოდ, ჟურნალისტები მირეკავენ ხოლმე რაღაც ინტრიგის გასარკვევად, იმის გასაგებად გარყვნილებას ხომ არ ვუწევ პროპაგანდას, მაგრამ რომ გითხრათ, პოპულარული ვარ და ხალხს ჩემი ცხოვრება აინტერესებს, ასე ნამდვილად არ არის და ეს ძალიან კარგია.

- ამბობენ, რომ ამ სერიალში დეტალები შენი ცხოვრებიდანაც არის გამოყენებული.

- რა თქმა უნდა, დეტალები ყველას ცხოვრებიდან არის გამოყენებული, რაღაცები შენს ცხოვრებასაც შეიძლება ემთხვეოდეს. ანუ არ მაქვს ასეთი კონკრეტული ამბები.

- არადა, პრესაშიც დაიბეჭდა გადმოკოპირებული აქვს თავისი სასიყვარულო ურთიერთობა სერიალშიო...

- ათას სისულელეებს წერენ ხოლმე, სადაც ეს დაიწერა, მე იმ გაზეთს პრესად არ ვთვლი...

- ვინ არის შენი სცენარის პირველი შემფასებელი?



კადრსმიღმა - სცენარისტისა და პროდიუსერის რომანი?!...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲝᲪᲜᲔᲑᲝᲗ ᲮᲝᲚᲛᲔ“...

„რᲝᲛ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, რᲝᲛ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ, ᲐᲡᲔ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ“...



EXCLUSIVE

- ᩩᲔᲛᲘ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲡᲐᲦᲘᲜᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲘᲤᲝᲜᲐᲕᲐ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲤᲐᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲠᲔᲡᲘᲗ ᲕᲔᲪᲜᲝᲑᲘ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲘᲜᲢᲠᲔᲡᲔᲑᲡ.

- ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲡᲐᲦᲘᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲐ, ᲞᲠᲔᲡᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲗᲕᲚᲘᲗ, ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲛᲐ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ...

- ᲔᲡ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲡ ᲐᲠ ᲔᲮᲔᲑᲐ, ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ ᲙᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲕᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑ... ᲛᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲘᲜᲢᲠᲔᲡᲘᲐ, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲪ, �გᲘᲜᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠ �გᲘᲜᲓᲐ ᲣᲜᲓᲐ �გᲐᲡᲪᲔ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲢᲘᲛᲣᲠ ᲡᲐ�კᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲕᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲕᲘᲦᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲘᲧᲝᲡ ᲘᲜᲢᲘᲛᲣᲠᲘ. ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ �პᲘᲠᲐᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲮᲚᲐᲪ �გᲐᲖᲔᲗᲘᲗ ᲭᲝᲠᲐᲝᲑᲐᲡ ᲕᲔᲠᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲐᲕᲧᲕᲔᲑᲘ, ᲐᲛᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲓᲠᲝ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ.

- ᲠᲝ�გᲝᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲮᲐᲜᲡ �გᲐᲡᲢᲐᲜᲡ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ?

- ᲡᲐᲓᲐᲛᲓᲔᲪ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲒᲐᲕᲐ, ᲕᲔᲪᲓᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘᲪ, ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ. ᲝᲦᲝᲜᲓ ᲠᲝᲓᲘᲡ, ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲛᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲠ ᲕᲬᲧᲕᲔᲢ ᲐᲛᲐᲡ. ᲐᲛ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲡ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲔᲠᲔᲑᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲔᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡᲒᲘᲖᲔ, ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐᲖᲔ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲖᲔ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲜᲘᲣᲐᲜᲡᲘᲐ.

ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

- ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲘᲡ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲡᲠᲣᲚᲓᲐ... ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲕᲘᲖᲐᲠᲓᲔ, 6 ᲬᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲝᲪᲜᲔᲑᲝᲗ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲠ ᲐᲒᲕᲘᲡᲠᲣᲚᲓᲔᲡ...

ᲨᲘᲨᲘ

- ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲘᲨᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲨᲘᲨᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ ᲠᲘᲡᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲔᲨᲘᲜᲝᲓᲔᲡ, ᲒᲔᲨᲘᲜᲘᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲛᲔᲪ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲨᲘᲨᲔᲑᲘ. ᲛᲔᲪ ᲛᲔᲨᲘᲜᲘᲐ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲤᲐᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲔᲑᲘᲡ, ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ... ᲐᲛᲐᲦᲐᲛ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲤᲠᲘᲜᲐᲕ, ᲐᲛᲘᲡᲘᲪ ᲛᲔᲨᲘᲜᲘᲐ. ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲕᲘᲠᲗᲮᲘᲡ ᲨᲘᲨᲘᲪ, ᲕᲘᲠᲗᲮᲘᲡᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲔᲨᲘᲜᲘᲐ.

ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ

- ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲤᲐᲠᲘᲡᲔᲕᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲓᲡ ᲮᲓᲘᲡ. ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲐᲠᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ, ᲐᲠᲪ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ, ᲐᲠᲪ ᲝᲯᲐᲮᲡ... ᲛᲔ ᲕᲐᲠ ᲘᲛ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲤᲐᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔ ᲛᲝᲐᲥᲕᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ... ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ, ᲩᲔᲛᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲕᲣᲙᲠᲫᲐᲚᲝ, ᲠᲐᲪ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ, ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲛᲐᲤᲘᲝᲖᲣᲠᲘ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐᲐ. ᲞᲠᲔᲖᲔᲠᲕᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ ᲙᲘ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, ᲠᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲘ�გᲕᲘᲦᲘᲐ... ᲩᲔᲛᲘ ᲐᲠᲔᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲔᲡ.

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

- ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲬᲣᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ. ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲮᲐᲠ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑ, ᲠᲐᲪ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲡ. ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲐᲠ ᲛᲔᲖᲐᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲛᲘᲡᲕᲚᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲨᲘ ᲕᲐᲢᲐᲠᲔᲑᲗ. ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲔᲑᲐᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲥ ᲛᲘᲡᲕᲚᲐ ᲐᲠ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲡ, ᲔᲡᲔᲪ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲪᲓᲘᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝᲐ ᲘᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲗᲣ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲪᲓᲘ. ᲠᲝᲪᲐ ᲘᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲙᲔᲗᲔᲑᲓᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ, ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲐᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲪᲣᲓ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲗᲐᲖᲔ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑ ᲘᲞᲝᲕᲝᲡ ᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲧᲕᲐᲠᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲓᲐ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, �პᲘᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘᲪ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲨᲕᲘᲚᲛᲐᲪ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲗᲐᲪ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲐᲠ.

ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲘᲐᲭᲔ

- 2002 ᲬᲔᲚᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲒᲐᲕᲘᲪᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘ ᲑᲘᲭᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲗᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲡᲙᲔᲑᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲓᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲛᲐᲧᲐᲓ ᲕᲘᲒᲠᲫᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘ. ᲔᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲘᲐᲭᲔ...

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

პირადში გადასული რ

დათო ფორჩხიძე: „ჯერ აქებდა შოთას და ახლა ლანძღავს? გუშინ კარგი მომღერალი იყო და ახლა თურმე სმენაში პრობლემები ჰქონია? რა მიდგომაა?“

„ჩემი გუნდის ბავშვებმა მომიყვნენ, რომ ეგენი ეპატიჟებოდნენ თავიანთ გუნდებში. გამოვიდე და ვთქვა, პეტრემ მითხრა, მე ასე მახუჭუჭებდნენო?“

მაო დათო ფორჩხიძის წინააღმდეგ - დაპირისპირება გრძელდება

„ჩემი შვილი „ფეისბუქზე“ შედის და მეკითხება, მამიკო, ეს დეიდა შენ გაგინებსო?“

„ახალი ხმა“ მწვრთნელებს შორის დაძაბული ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობს. ბუნებრივია, ეს შოუს ნაწილი და რეიტინგის თემაა. მაგრამ შოუს მიღმა რომ გრძელდება და უფრო იძაბება, ეს უკვე ქართულ ხასიათს იძენს. ათასი ხმები ვრცელდება, თითქოს პროექტის შიდა სამზარეულოს კარი აჭრიალდა და შიგნით შეჭყიტვის შესაძლებლობა მოგვეცა. ამბობენ, კონკურსანტები მწვრთნელებს თვითონ მიჰყავთ შოუში მონაწილეობის მისაღებადო, ყველაფერი წინასწარ არის გარკვეული და ჩაწყობილიო. ეს ბრალდებები კი ძირითადად დათო ფორჩხიძის მისამართით გაისმის. მისი ძირითადი მოპაექრე წინა სეზონზე სტეფანე იყო, ახლა მაია დარსმელიძეა, რომელიც თავის „ფეისბუქზე“ ცხლად გვიზიარებს თავის ემოციებს. მუსიკოსი იმდენად ჩართულია პროექტში და ისე განიცდის, როგორც თავად ამბობს, უსამართლობას, რომ უცენზურო სიტყვებსაც აღარ ერიდება. ბოლოს ყველაზე აქტუალური შოთა ადამაშვილის თემა გახდა. შოთამ ოთხივე მწვრთნელი შემოაბრუნა, მან კი დათო აირჩია. ის ფორჩხიძის ფრაზამ - „რასაც გინდა, იმას გამღერებ“ „დააბა“. ბუნებრივია, მაო, რომელსაც ძალიან სურდა, რომ შოთა მის გუნდში ყოფილიყო, გაწყენდა. სანამ შოთა არჩევანს გააკეთებდა, მასთან მივიდა და ხელი ჩასჭიდა. ადამაშვილი დაიბნა, თქვა, რომ პრესინგის ქვეშ მოაქციეს მწვრთნელებმა. მოგვიანებით, შოთამ ერთ ინტერვიუში თქვა: „დათოს ნათქვამზე, რომ პიროვნულ თავისუფლებას მომცემდა, სხვა მწვრთნელები გაცხარდნენ. დარსმელიძე პირდაპირ მოვიდა და ჩემთან უნდა წამოხვიდე, სხვა გზა არ გაქვსო. გაოგნებული ვიყავი, რატომ ხდებოდა ასე. ახლა რომ ვაანალიზებ, ტრაფარეტული დამოკიდებულება იყო ანდერგრაუნდული გარეგნობის მიმართ, რომელიც ჩემში დაიჭირეს. მწვრთნელებმა ჩემ მიმართ ინდივიდუალური მიდგომა ვერ დაინახეს“. ეს სიტყვები მაომ გულგრილად ვერ „გაატარა“ და „ფეისბუქზე“ პოსტიც დადო. „ეს ბიჭი ვერ ათვითცნობიერებს, მე რომ ამხელა ამბავი არ ამეტეხა - ამხელა რეზონანსიც არ მოჰყვებოდა მის გამოსვლას. მგონი ცოტა უმადურად გამოუვიდა, როდესაც თავის ინტერვიუში უამრავი ქვეტექსთით არცთუ ისე კორექტულად შემეხო. ჩემი აღფრთოვანების საპასუხოდ ასეთი რეაქცია, ცოტა არ იყოს და... უმადურად გამოიყურება. ამბობს, რომ მხოლოდ იმ თიმში, რომელშიც ახლა არის, შეძლებს პროფესიულ ზრდას - ანუ ჩემს თიმში ვერ განვითარდებოდა (აქ, მგონი, ბიჭი გონზე არ არის თუ რას ვსაქმიანობ რეალურად და ზოგადად „ვოისში“ რა გავაკეთე, როგორც მწვრთნელმა.) მომკალით და კონკურსში გამარჯვებულს სხვა „ათას კონკურსგამოვლილ“, საკუთარი კარგად გამჯდარი რეპერტუარის ხელუხლებლად დატოვებულ და მეათასედ გადამღერებულს ვერაფრით ვერ დავარქმევ მწვრთნელის პროგრესულ მუშაობას. იმედია, ხვდებით, რომ თავად ამ გამარჯვებული კონკურსანტების მიმართ არანაირი უარყოფითი არ მიგულისხმია. შეურაცხყოფად მიმაჩნია ასევე, როდესაც ის საუბრობს „ანდერგრაუნდული გარეგნობის მიმართ ტრაფარეტულ დამოკიდებულებაზე“ - ანუ მუსიკა კი არა, „შლაქსები“ და „ფორჩები“ მომეწონა. მეტის (მუსიკის) აღქმის უნარით ვერ დამაჯილდოვა ღმერთმა :) სიუჟეტის დასაწყისში ნამღერი („ბლაინდისგან“ განსხვავებით) ვერაფრით ველარ მომეწონა და ვერანაირად ვერ ვნანობ, რომ ეს ადამიანი გუნდში არ მყავს. ეს ბიჭი რომ მყოლოდა, ჩემი ძალიან მაგარი თიმის რომელიმე კონკურსანტი ვერ მეყოლებოდა :) გკოცნით, გეხვევით, თქვენი აგერ უკვე ათგზის „უბოლმესი ბოლმა“.

მაოს დათო ფორჩხიძე უკვე ჩვენი ფურცლებიდან ეხმაურება.

დათო ფორჩხიძე: - ჯერ აქებდა შოთას და ახლა ლანძღავს? გუშინ კარგი მომღერალი იყო და ახლა თურმე სმენაში პრობლემები ჰქონია? რა მიდგომაა? არ მაინტერესებს მაია დარსმელიძემ რა სტატუსები დადო შოთაზე, გიორგიზე, პავლეზე, რა გავაკეთო?

- გავრცელდა ხმა, დათოსთან მუშაობდა შოთას პედაგოგიო...

- არც ეგ მაინტერესებს. ვინც იტყვის, რომ შოთა ადამაშვილს ვიცნობდი, ცილისწამებაა. დავიფიცე შვილები, დედა, ყველა საყვარელი ადამიანი... შემეშვან. თუ ეგ არის ჩემი დანაშაული, შეუძლიათ სასამართლოში სარჩელი შეიტანონ, მიჩივლონ და დამიმტკიცონ, რომ ეგრეა. მე შემიძლია ვუთხრა, რომ ცილს მწამაბენ, მაგრამ არ ვჩივი. მაბრალებს, რომ ჩავაწყვე და როგორ ჩავაწყვე? ყველაზე ღარიბი მწვრთნელი ვარ. მის პოსტებზე ბავშვები აკომენტარებენ, რომლებზეც შემიძლია ვთქვა, რომ მისი ახლობლები არიან. ვიცი, რომ მათ გუნდებში ბავშვები ნაცნობობით არიან მოხვედრილნი. მე არ ვაკეთებ ამ კომენტარებს, არ მაინტერესებს. არ ვერევი არც ერთის გუნდის ამბებში. შემეშვას. შოთა ნაცნობი რომ ყოფილიყო, არ დავმალავდი. კარგად იმღერა და არ დამეჭირა? ან მეთქვა, მაიასთან და სტეფანესთან წადი-მეთქი? მათზე ვიზრუნო? რატომ? ამიხსნას ან ერთმა ან მეორემ.

- ნაცნობობით მაოს ჰყავს გუნდში კონკურსანტები?

- რა ვიცი, ჰყავს ალბათ, ან არ ჰყავს. არც ეგ მაინტერესებს. ჩემი გუნდის ბავშვებმა მომიყვნენ, რომ ეგენი ეპატიჟებოდნენ თავიანთ გუნდებში. გამოვიდე და ვთქვა, პეტრემ მითხრა, მე ასე მახუჭუჭებდნენო? არ დავიწყებ ამის მოყოლას იმიტომ, რომ მაგ სეირის თანამონაწილე არ გავხდები. ამ ბავშვების სახელებს და გვარებს არასოდეს არ ვიტყვი. ცხოვრებაში არასოდეს არავინ არ ჩამიშვია და არც ჩავუშვებ.

- ეს ბრმა კასტინგამდე ხდებოდა?

- კი, რა თქმა უნდა, ბრმა კასტინგამდე.

- ამბობენ, დათოს თვითონ მიჰყავს

გოგა მესხი მწვრთნელებმა ვერ იცნეს

„რომ არ შემობრუნებულიყვნენ, „გავბანძდებოდი“

ლელა წურწუმია: „ინდივიდუალურად არასდროს მომისმენია. ხმით ვერც მივხვდი, რომ გოგა იყო“

გოგა მესხი „ახალ ხმაში“ ბრმა კასტინგზე რომ გამოჩნდა, ამას აქ რა უნდა-მეთქი ვთქვი, ისევე, როგორც წინა სეზონში გამოსულ თემო საჯაიაზე. ორივე პროექტ „ვარსკვლავების აკადემიით“ გახდა ცნობილი და მას შემდეგ გარკვეულწილად ჩანან, მღერიან. იმის თქმა მინდა, რომ ახალი ხმები არ არიან. მოკლედ, აქ სხვა თემაზე ვამახვილებ ყურადღებას. გოგა „ვარსკვლავების აკადემიამდე“ ჯგუფ „ვივოში“ გიორგი სუხიტაშვილთან ერთად მღეროდა. სხვადასხვა კონცერტებზე არაერთხელ უმღერია. ორი წლის წინ გამართულ ლელა წურწუმიას სოლო კონცერტზე მის რამდენიმე სიმღერის ბექვოკალში იყო. მესხი ბრმა კასტინგზე ლელამ ვერ იცნო. „მართლა ვერ ვიცანი. გოგა ინდივიდუალურად არასდროს მომისმენია. ხმით ვერც მივხვდი, რომ გოგა იყო. ბექვოკალში ასე გამოკვეთილად არც ისმის ხმა. ნიჭიერი ადამიანია, თუმცა მე ვფიქრობ, რომ ის სიმღერა, რომელიც მან შეასრულა, მისი სამღერი არ იყო. გაცილებით მეტის საშუალება - დიდი დიაპაზონი აქვს. კარგი მომღერალია. გამიხარდა, რომ პროექტში დარჩა. მაიასთან ნამდვილად კარგ პროდუტს დადებს“.

ამბობენ, პროექტში მისულ გოგას უთხრეს, ფორჩხიძე არ აირჩიოო. „შოუში დაძაბულობაა, ამბობენ, ჩაწყობებიაო. შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ მაოსთვის კასტინგამდე არაფერი მითქვამს. სუფთა ურთიერთობა გვაქვს. მას არც ვიცნობდი. ლელასთან ბექვოკალში მიმღერია, დათოს მეგობარი ვარ. ეს პროექტი კარგი პიარის საშუალებაა. პროფესია მაქვს ისეთი, რომ ხალხს თავი სულ უნდა ახსენო. ისე კი ჩემი რეპუტაცია სასწორზე დავდე. რომ არ შემობრუნებულიყვნენ, „გავბანძდებოდი“.

- რომ ვერ გიცნეს, არ გეწყინა?

- ეს ჩემი ბრალიც არის და არც არის. 60 სიმღერის სია მომცეს. არც ერთი სიმღერა არ იყო ჩემი სტილის. მე ბარი უაითი, ჯო კოკერი მიყვარს. მსგავსი მომღერლის სიმღერა არ იყო სიაში. სტივ უანდერის სიმღერა მინდოდა, მაგრამ დაკავებული იყო და მერე მაიკლ ბაბლის სიმღერა ვიმღერე. ჩემი სიმღერა არ იყო და ლელამაც ვერ მიცნო. ფორჩხიძემ მიცნო. რომ არ შემოტრიალებულიყო, არც ეგ იქნებოდა პრობლემა, ვერ ვიმღერე და მორჩა. ჩემი თავით არ ვარ კმაყოფილი, ისე ვერ ვიმღერე, როგორც უნდა მემღერა. ამიტომ არ მწყინს. დაუდევრობის ბრალია, არავის ბრალი არ არის. ჩემი მწვრთნელი მაო კი ძალიან მაგარი ადამიანი ყოფილა. პროფესიონალიზმზე არაფერს ვამბობ. ვმღერი იმას, რაც მინდა. თევზი ვარ წყალში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინგი „Voice“-ს მიღმა

„ARSEBOBS KONKURSANTI, ROMELIC NATESAUR KAVSHIRSHI IYO DATO FORCHKHIDZESTAN, MAN AR AIYVANA, PROEKTS GARETH DARCHA DA GANAWYENEBULIA DATOZE“

„მე დავასახელებ იმ ბავშვების სახელებს და გვარებს, ვისაც ეგ ეპატიჟებოდა თავის გუნდში. საინტერესო ვიდეოს დავდებ“

მაია დარსმელიძე: „რა ნაგლობაა?! თავისი ტაქტიკა მე გადმომაბრალა?“

შოუში გამოცდილი კონკურსანტები, ისინი მას ირჩევენ და მერე იმარჯვებენო...

- ეგრეც რომ იყოს, რა გაამხილეთ ამით, როგორ გავთხარე ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბი? ამ ბავშვებს თავში ტვინი აქვთ, თუ უნდათ მოდიან, თუ არა და არ მოდიან. ერთ გოგოს ვუთხარი, ჩემთან არ წამოხვიდეთ, უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდებიმეთქი და მაინც წამოვიდა და რა გავაკეთო? ეს ხდება არა იმიტომ, რომ მე ვარ მაგარი, არამედ იმიტომ, რომ სხვები არიან სუსტები. აბა, რატომ გადამეკიდებოდნენ ეს ბავშვები მე? რას ჩიჩქნით? ვიცი, რომ ძნელია წარმატებული ადამიანის ატანა. ბოდიში, რომ ნიჭიერ მომღერლებს ორჯერ მოვუგე ეს შოუ. პირობას გაძლევთ, ამას აღარ ვიზამ. არ მინდა, თავი დამანებეთ, მოვკვდი უკვე.

- აღარ გინდა მოგება?

- მე ვინ მეკითხება. აქ დამშეული მგელივით ბავშვები არიან. უნდათ მოგება? მოიგებენ. ქათამაძეს უნდოდა და ეკუთვნოდა მოგება? მოიგო. რეზიკოს უნდოდა? მოიგო. აქაც ვიღაც მოიგებს. მე არც ბინა შემხვედრია და არც არავითარი პრიზი. ფორჩხიძე იფერებსო, სად გინახავთ, რომ გამოვსულვარ და შემიფერებია? თუკი დავინახავ, რომ ჩემი შრომით, წარმატებით, ნიჭით და ამ ბავშვების სიყვარულით ამ ხალხს თავი მოვაბაზრე, აქედანაც წავალ, რა პრობლემაა. ერთხელ ხომ წავედი შოუბიზნესიდან? რასაც დაამსგავსეს ეს ქართული შოუბიზნესი, ჩანს. წავალ ამ „ვოისიდანაც“. სახლში ის წითელი სკამი არ მჭირდება. ტელევიზორით ადვილად ჩანს, გგონიათ ყველაფერი ჩაწყობითაა. უმრავლესობა საქართველოში ყველაფერს ჩაწყობით აღნევდა. ყველა თავისი გარყვნილობისა და გათახსირებულობის საზომით სჯის. ეტყობა თავისით არაფრისთვის არ მიუღწევიათ. ელანდებოდეთ, მე არაფერი მელანდება.

- დათო, პროექტს მიღმა ურთიერთობაზე არ მოქმედებს ეს კინკლაობა?

- არ ვიცი, არ მაინტერესებს. ჩემი შვილი „ფეისბუქზე“ შედის და მეკითხება, მამიკო, ეს დეიდა შენ გაგინებსო? არა, შვილო მე არ მაგინებს-მეთქი, ვეუბნები. მას ეჭვი აქვს, რომ მაო მე მაგინებს.

- მაო, დათომ თქვა, რომ მისი გუნდის ბავშვებმა უთხრეს, როგორ ეპატიჟებოდით თქვენ და სტეფანე თქვენს გუნდებში...

- როგორ? რა ნაგლობაა?! თავისი ტაქტიკა მე გადმომაბრალა? ფორჩხიძის გუნდის ამბები პროექტამდე ორი თვით ადრე იყო გარკვეული. ამ უსამართლობაზე რომ ვთქვი, ფორჩხიძემ ასეთი კომენტარი გააკეთა - მე საერთოდ არ ვიცნობ დარსმელიძესო. ფორჩხიძის მხრიდან ყველაზე გონივრული და ჭკვიანური პასუხი ეს იყო. რომ ეთქვა, კარგად იცოდა, რომ მე არ გავჩერდებოდი. მიხვდა, რომ უნდა გაჩერებულიყო. ახლა ეტყობა გადაწყვიტა, თავისი ტაქტიკა გადმომაბრალოს. მას წინასწარ მოყვანილი ჰყავს რამდენიმე კონკურსანტი.

- ამას მაბრალებენო...

- თვითონ როგორ მაბრალებს, რაც თქვა?

- ჩემი გუნდის ბავშვებმა მითხრეს და მათ არ დავასახელებო.

- მაშინ მე დავასახელებ იმ ბავშვების სახელებს და გვარებს, ვისაც ეგ ეპატიჟებოდა თავის გუნდში, ვისზეც მისგან ზეწოლა იყო. ამას უფრო მასშტაბურად ვიტყვი, ვიდრე აქ დასახელებაა. საინტერესო ვიდეოს დავდებ. ჩემი ბლოგი მაინც პრესის ტოლფასია. როგორც ვხედავ, მუსიკით ვერ მეჯიბრებიან, ამიტომ ბინძური ხერხებით და ჩაწყობებით მეჯიბრონ. თუ ასეთი თამაში უნდათ, მე ვასწავლი ასეთი თამაში როგორ უნდა.

თბილისი ძალიან პატარა ქალაქია. არსებობს თუნდაც ისეთი კონკურსანტი, რომელიც ნათესაურ კავშირში იყო დათო ფორჩხიძესთან, მან არ აიყვანა, პროექტს გარეთ დარჩა და განაწყენებულია დათოზე.

- ჩემი წარმატება ყელში ამოუვიდათო, ამბობს.

- რა სისულელეა. ეს ყალბი წარმატებაა. ამ პროექტში წარმატება მქონდა მე, როდესაც მაგდა ვასაძე გამოვიყვანე და მწვრთნელის პროგრესი ვაჩვენე. სალომე ქათამაძე და რეზიკო დიდებაშვილი არ არიან წარმატება. ორივე ჩამოყალიბებული შემსრულებლები იყვნენ ამ პროექტში მისვლისას. ეს დავა პირველი სეზონიდან მოდის, უბრალოდ, გამძაფრდა და სხვა მასშტაბები მიიღო. უნდა დამთავრდეს უსამართლობა და ასეთი კარგი პროექტების მიმართ „გრუზინული“ მიდგომა. არაჩვეულებრივი პროექტია. გვაქვს შესაძლებლობა მაგარი ბავშვები გამოვავლინოთ, ხალხს კარგი მუსიკა შევთავაზოთ. პიროვნული დაპირისპირებები რეიტინგს ზრდის, მაგრამ მთავარი პრობლემა იმაშია, რომ ბევრი რამ უსამართლოდ გაკეთდა. არ მინდა, რომ ეს უპრეცედენტოდ მაგარი პროექტი გაფუჭდეს. გამოდის მე ანტურაჟს ვუქმნი ჩემს ძვირფას კოლეგას.

- თქვენსა და დათოს შორის გაფუჭდა პიროვნული ურთიერთობა?

- არ ვიცი, ჩვენ თვითონ ვირჩევთ ფასეულობებს და რა გზით ვიაროთ. ძალიან ვერ ვიტან უსამართლობას, ამიტომ ხმამაღლა ვთქვი. მე კი გამოვჩნდი ბოღმა, მაგრამ ამაზე გრანდიოზული „აი, დარდი“ მაქვს. ვიცი, რომ მართალი ვარ.

- არ ნანობთ უცენზურო სიტყვებით გაჯერებული პოსტი რომ დადეთ?

- ეგ განგებ გავაკეთე. არ ვნანობ. შეგნებულად გავაკეთე. გინება ყველას სმენია. გასაკვირი არაფერია. ზოგს ანგელოზის თამაში უყვარს. მე ასეთი ვარ - როცა მეგინება ვიგინები, როდესაც ლოცვა მინდება, ვლოცულობ. ყელში ამოვიდა. უსამართლობაზე მეკეტება.

ამ დუეტის ვირტუალურ-რეალურ დაძაბულობაზე ლელასაც ვკითხე.

ლელა წურწუმია: „არ ვიცი, არ ვარ სოციალური ქსელის მომხმარებელი. არანაირი წვდომა არ მაქვს ამ ინფორმაციასთან, არც მაინტერესებს“.

„რადგან ლილიკოს შვილია, არ უნდა მღეროდეს?“

კომპოზიტორ ლილიკო ნემსაძის უფროსი ქალიშვილი ანო ბახტაძე „ახალ ხმაში“ რომ ვნახე, გამახსენდა, წლების წინ დედა „პეტრუშკას“ რომ ეძახდა. ძალიან მორცხვი და პატარა იყო. უცებ „ახალ ხმაში“ თინეიჯერი ლამაზი გოგონა გემრიელად ამღერებული რომ ვნახე, დროის სწრაფმავლობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ანო 16 წლისაა, პროექტში თავისი სურვილით მივიდა და სტეფანეს გუნდში აღმოჩნდა.

როგორც მსახიობ მშობელს არ სურს შვილი თავის პროფესიას დაადგეს, არც ლილიკოს სურდა შვილის ამღერება. თუმცა ახლა ანოს გადაწყვეტილებით კმაყოფილია და კარგ ხელშიაო, ამბობს. თვითონ არაფერში ერევა.

ლილიკო ნემსაძე: „საშუალო დონის არაფერი მომწონს. ძალიან მაგარი უნდა იყო, რომ შენ მხარეს დავდგე. მომეწონა, კარგად მღერის და მივხვდი, რომ თურმე შეიძლება ანომაც იმღეროს. თუ რამე შემიძლია, გავაკეთებ. რადგან დამოუკიდებლად დაიწყო, ბოლომდე მივიდეს.

- არ გეშინია, დაიწყებენ - ლილიკოს შვილია, ჩაანყო, ვინ არ ამღერებდა...?

- რადგან ლილიკოს შვილია, არ უნდა მღეროდეს? რაც ვნახე, გამოხმაურების 90 პროცენტი დადებითი შეფასება მოჰყვა. ჩემი ინტერესი არ ყოფილა, რომ ამ პროექტში ყოფილიყო, მან ისურვა. ბავშვმა თავისი სათქმელი უნდა თქვას. მუსიკოსი ვარ და ჩემი პროფესია არ მაძლევს იმის უფლებას, რომ ობიექტური არ ვიყო. მაგალითის გადაღება მინევს ამ ბავშვისგან. „მიმწოლი“ და ყოჩაღია. მე ასეთი არ ვარ. მისთვის სიმღერა არასდროს დამიწერია. დედა სხვა ჟანრში წერს, მე არ ვმღერი ქართულ სიმღერასო, თქვა. დავაგვიანე, ქართულ სიმღერას ისე ვერ შეასრულებს, როგორც მე მინდა. მაგრამ რა ვქნა, სხვა თაობაა... ისე კი, არ ველოდი „პეტრუშკა“ თუ ასე იმღერებდა.

ზურა სალუქვაძის საღამო სტუდენტებისთვის

ამერიკაში მცხოვრებ პოეტს ზურა სალუქვაძეს ქართული საზოგადოება სოციალური ქსელებიდან იცნობს. მის მიერ ემოციურად წაკითხული ლექსები, განსაკუთრებით თინეიჯერებში, დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. პოეტი სამშობლოში სამი თვე იმყოფებოდა. ამ ხნის მანძილზე ის საღამოებს მართავდა და თავისი პოეზიის თაყვანისმცემლებს ხვდებოდა. ამ ვიზიტზე ბოლო საღამო მან 8 ოქტომბერს უნივერსიტეტში გამართა. სტუდენტები სანდრო ყუფარაშვილის დოკუმენტური ფილმის - „Why Not?“ პრეზენტაციაზე აღმოჩნდნენ. როგორც ზურა ამბობს, ფილმი ათ დღეში „იუთუბიზე“ დაიდება.

პოეტმა შეკრებილ სტუდენტებს მესამე კრებულიდან თავისი ოთხი პოპულარული ლექსი წაუკითხა: „ო, რა მაგარი ქალი ხარ“, „ყინვის ყურძნის მტევნები“, „იმ ღამეს გაუმარჯოს, რომელიც გათენდება“.

ზურა სალუქვაძე: „წარმატებულად ჩაიარა საღამომ. ერთსაათიანი შეხვედრა გვქონდა. „რეგიონის“ ლაშა ნოზაძემ და ოთიკო ანდრიაძემ სიმღერები შეასრულეს. მერე კითხვა-პასუხის რეჟიმზე გადავედით. სამომავლო გეგმებზე ვისაუბრე. მხოლოდ პოეტური საღამო აღარ იქნება. გვინდა მუსიკით გავამდიდროთ და შოუს სახე მივცეთ“.

მომავალში ზურა, ლექსების პარალელურად, ნოველების წერას აპირებს. ამჯერად დეკემბრამდე დაგვემშვიდობა და შტატებში გაემგზავრა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ცეკვავენ ვარსკვლავები“

my View
თამარ გონგაძე

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მესამე სეზონი ნელ-ნელა იქოქება. გარემო შეცვლილი აქვს, თეატრიდან ცირკში გადაინაცვლა, მასშტაბური და ლამაზად საყურებელი შოუა. თუმცა ეს სეზონი, რაღაცნაირად, ვარსკვლავი კონკურსანტების დეფიციტით გამოირჩევა. გარშემო, იცით, რა მესმის? „ეს გოგო ვინ არის? „იმედის“ დილის გადაცემის კორესპონდენტია, ა�ა, ხო და ეს პატარა გოგო? „ვოისის“ ფინალისტია. ის ქალი, კარგი პლასტიკა რომ აქვს? ევროპის ჩემპიონია წყალში ხტომაში. ის მეცამეტე? ეგ დაამატეს, პირველად ამ შოუს ისტორიაში ინტერნეტ კასტინგის მეშვეობით აარჩია უმრავლესობამ. მოკლედ, ასე გაკითხვით ცნობენ შოუში მოცეკვავე „ვარსკვლავებს“. პროექტს დაწყებამდე ორი კვირით ადრე ფილმი უძღოდა, კონკურსანტებზე. გია სურამელაშვილი ამბობდა, ამ შოუში მარტო მე ვარ ვარსკვლავიო. გია უკვე პროექტს მიღმაა. ძლივს დაიყოლიეს შოუში მონაწილეობაზე, ფაქტობრივად, ძალით:) „ჩემ თვალში ყველა თავის საქმეში ვარსკვლავია, „ტუფტა“ ვარიანტი აქ არ არის. მაგრამ მე მაინც პარადი მიმყავს. გია ვარ, სურამელაშვილი. კონკურენტი არ მყავს, მოცეკვავე არა ვარ და რა კონკურენტი უნდა მყავდეს? ძალიან ვნერვიულობ და ეს ცეკვაში ხელს მიშლის. 1991 წელს „იურმალის“ მონაწილე ვიყავი. მას შემდეგ ასეთი სანერვიულო არაფერი გამივლია“, - ეს კომენტარი გიამ კონკურსიდან გამოთიშვამდე გააკეთა. საზოგადოებას არ სურდა გიას ასე მალე გამომშვიდობებოდა. მომღერალი კი გახარებულია.

გია სურამელაშვილი: „გახარებული ვარ. ცეკვა არ მინდოდა, არც საცეკვაოდ მქონდა საქმე. დაძაბულობა და ნერვიულობა მომეხსნა. ნოეს ცოტა ხნის წინაც ველაპარაკე და ძალიან გაინცდის. ნოეს უნდოდა და მეგობრებს უნდათ, ასე არ არის. მე არ მინდოდა, ძალიან ზარმაცი ვარ, რეპეტიციებზე არ დავდიოდი. რაღაცას რომ აკეთებ, უნდა გინდოდეს, კარგად უნდა გააკეთო, ლაზათიანად. მე ხელშეკრულებას რომ ხელი მოვაწერე, იმწამსვე ვინანე. არ მინდოდა და არ ვცეკვავდი. ნუგოს და შვილიშვილს გეფიცებით, მართლა ასე ვიყავი. სახეზეც მეტყობოდა, რომ აშკარად „მეკიდა“. შეგნებულად არ ვცეკვავდი. ამიერიდან საპატიო ლოჟაში დავჯდები და ყველას ვუგულშემატკივრებ.

მთავარი ისაა, რომ „პარადი“ წავიყვანე, დავხურე და გემრიელად წამოვედი. საჩუქრებიც წამოვიღე. ახლა შოუში ვიმღერებ, მერე საღამოს გავხსნი და ასე“.

თაკო ჩორგოლაშვილი:
„არც მე ვარ ცნობილი სახე, არც ჩემი პარტნიორია ცნობილი მოცეკვავე და ამაზე ვნერვიულობდი“

„უცნობი რომ ვარ, არ ნიშნავს, რომ მაყურებელს თუ ჩემი ცეკვა მოეწონა, არ დამიმესიჯებს“

თაკო ჩორგოლაშვილი მესამე წელია „იმედის“ დილის კორესპონდენტია. კარგად ცეკვავს. 13 წელია ცეკვავდა, მერე რა, რომ ქართულ ცეკვებს და არა სამეჯლისოს. მთავარია, პროექტის პროდიუსერის სურვილი, რომ თაკოს ეცეკვა და კორესპონდენტის ცეკვისადმი ტრფობა ერთმანეთს დაემთხვა. მეორე წელია რაც დაოჯახებულია. მისი მეუღლე - რეზი დიდია მესამე წელია ქუთაისის კალათბურთის გუნდში თამაშობს. ძალიან ნერვიულობდა და გულშემატკივრობდა.

თაკო ჩორგოლაშვილი: „შოუში მონაწილეობის წინადადება რომ მივიღე, იმაზე დავფიქრდი, ჩემთვის ადრე ხომ არ იყო ამ შოუში მონაწილეობა? ხალხი რამდენად მიცნობს-მეთქი? მეუღლემაც ეს კითხვა დამისვა - რამდენად დროულია შენთვის მასში მონაწილეობაო? მოკლედ, ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება. მერე პროდიუსერმა ამიხსნა, რომ ამ პროექტში ყოველთვის არის „იმედის“ წარმომადგენელი. პროექტში მონაწილეობა ძალიან მინდოდა. ამაზე კარგი რა უნდა მომხდარიყო ჩემს ცხოვრებაში. ძალიან ცოტა ადამიანია, ვისაც შეიძლება ეს შოუ არ მოსწონდეს“.

მეორე ნერვიულობა, რაც თაკოს ჰქონდა, მისი უცნობი პარტნიორის თემა იყო. „არც მე ვარ ცნობილი სახე, არც ჩემი პარტნიორია ცნობილი მოცეკვავე ქართველი მაყურებლისთვის და ამაზე ვნერვიულობდი. მერე გავიგე, რომ გაგა თოდუა ორგზის მსოფლიო ჩემპიონია, მისი ცეკვა ვნახე და დავმშვიდდი. ჩვენ მაქსიმუმს ვაკეთებთ. უცნობი რომ ვარ, არ ნიშნავს, რომ მაყურებელს თუ ჩემი ცეკვა მოეწონა, არ დამიმესიჯებს. მით უმეტეს ამ რეიტინგულ პროექტში ყველა ჩართულია“.

- აღარ ნერვიულობ, რომ უცნობი სახეები ხართ?

- ამაზე აღარ ვნერვიულობ. ვცდილობ, ამ პროექტიდან მხოლოდ დადებითი მივიღო. თანაც იმდენი კარგი ადამიანი გავიცანი. იცით, რისი მეშინოდა ყველაზე მეტად? კონკურსანტებს შორის როგორი ურთიერთობა იქნებოდა შიგნით. მაგრამ ისე დალაგებულია ყველაფერი, კარგი დამოკიდებულებებია. როცა ეს დალაგებულია, სხვა რამ უკვე მეორე ფლანგზე გადადის. არც რეპეტიციების დროს მაქვს დისკომფორტი, არც ურთიერთობების დროს.

- ბევრი მონაწილე ერთმანეთს იცნობდა და გეგონა, რომ შოუში გარიყული იქნებოდი?

- არა, ეს ყველაფერი თავიდანვე ობიექტურად მქონდა გაცნობიერებული. ვიცოდი, რომ ვიღაც ჩემზე ცნობილი იქნებოდა და მეტი თაყვანისმცემელი ეყოლებოდა. ჩემი მონდომებით, კარგად ცეკვით, მგონია, რომ რაღაც შანსები მეც მაქვს. რა თქმა უნდა, პოპულარობა რაღაცებს განაპირობებს, თუმცა ჩემთვის მთავარია, ამ პროექტიდან დადებითი მუხტი მივიღო. მე არ ვარ ისეთი ტიპი, რომ ურთიერთობები მიჭირდეს. ხალხი მიყვარს. ცუდად მაინც არ ვიგრძნობდი თავს.

- ნებისმიერ სიტუაციაში?

- ნებისმიერში. კონფლიქტური არ ვარ. ზუსტად ვიცი, არავისთან კონფლიქტი არ მექნება. არც არის ასეთი სიტუაცია.

- ვარსკვლავებს არაცნობილებთან როგორ უჭირავთ თავი?

- ყველასთან არ მაქვს ურთიერთობა. არც გამიგია, რომ ვინმე ასეთი ამბიციურია. რომ ყოფილიყვნენ, გავიგებდი. ვისაც აქვს ამბიცია, ესეც ბუნებრივია.

- თვითონ რამდენად ხარ ამბიციური?

- საერთოდ არ ვარ. ობიექტურად აღვიქვამ რა როგორ არის. კრიტიკული და მაქსიმალისტი ვარ ჩემი თავის მიმართ. იცით რა შევნიშნე? ყველა პროექტშია ჩართული, ყველა მონდომებულია ცნობილიც და არაცნობილიც. ამით პროექტი ჩემთვის უფრო საინტერესოა. ყველა თავისი საქმით არის დაკავებული.

- როგორ გგონია სადამდე მიხვალ?

- არანაირი პროგნოზი არ მაქვს. დინებას მივყვები. როგორც მოხდება, ალბათ, ისე იქნება საჭირო. ეს ჩვენზე, ჟიურის შეფასებაზე და ხალხზეა დამოკიდებული. არხის წინაშე რა პასუხისმგებლობა და მოლოდინიც არის, ვეცდები გავამართლო.

- ვისი ცეკვა მოგწონს?

- დიდი კონკურენციაა. წელს საკმაოდ კარგი შემადგენლობაა, ყველა, მეტ-ნაკლებად კარგად ცეკვავს.

- რას დაარქმევდი წლევანდელ შემადგენლობას?

ნინი ცნობილაძე: - ისეთი დაკავებული რეჟიმის გვაქვს, ვერც მოწესრიგებას და თმის დავარცხნას ვასწრებთ, ვერც საჭმლის ჭამას, ამიტომ საკუთარ თავზე მე და თაკო ვხუმრობთ - „ცეკვავენ ბომჟეი-მეთქი“.

- თაკო, თავს ვარსკვლავად თვლი?

- თაკო ჩორგოლაშვილს აქვს შანსი გახდეს ვარსკვლავი. მგონია, რომ ამ პროექტში ამის შანსი ყველას აქვს. როცა ხალხის მიერ ხარ არჩეული, ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაცას წარმოადგენ.

- ვის უგულშემატკივრებ?

- ნინი ცნობილაძეს. მასთან თავს კარგად ვგრძნობ, დავმეგობრდით.

გია სურამელაშვილი:
„მთავარი ისაა, რომ „პარადი“ წავიყვანე, დავხურე და გემრიელად წამოვედი. სახეზეც მეტყობოდა, რომ აშკარად „მეკიდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ვარსკვლავების გარეშე



EXCLUSIVE

ნინი ცნობილაძე:

„მე არ ვთვლი ჩემს თავს ვარსკვლავად და დიდი ხანი არც ჩავთვლი“

ნინი ცნობილაძე „ვოისიდან“ გახდა ცნობილი. ფინალში მას სალომე ქათამაძემ მოუგო. კონკურსები არ მიყვარს, მაგრამ თუ მღერი, საქართველოში სხვა გზა არ გაქვს, კონკურსში უნდა მიიღო მონაწილეობაო, ამბობს.

- ტრავმები მივიღეო, ამბობ და ფსიქოლოგიური ტრავმები გაქვს?

- მაქვს. როცა ვნერვიულობ, ყველაფერი მეშლება თავში, კონკრეტულის გარდა ვერაფერზე ვფიქრობ. ზედმეტად ემოციური ვარ. ამდენი ხალხის წინ პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს. არაცნობილი მოცეკვავე ჩემთვისაც პრობლემა იყო. ვინც ორი სეზონი გაიარა, შიდა სამზარეულოში გარკვეულია. ახალ მოცეკვავესთან ერთად თანდათან ვერკვევი ყველაფერში. არც მომითხოვია, ცნობილ მოცეკვავესთან დამაწყვილეთ-მეთქი. კარგი მეწყვილე მყავს.

- ვარსკვლავობაზე შენ რა აზრის ხარ?

- მე ამ ყველაფრისგან გარეთ ვარ. ვარსკვლავი წლების მერე გერქმევა, როცა ბევრ რამეს მიაღწევ. ვინც ამ პროექტში მოხვდა, საქართველოში ვარსკვლავად აღიქმება, მე არ ვთვლი თავს ვარსკლავად და დიდი ხანი არც ჩავთვლი. თუ ამ სიტყვას განმიმარტავენ, ვიტყვი ვარ თუ არა ვარსკვლავი.

- ამ პროექტში ვის თვლი ვარსკვლავად?

- ეგ პროდიუსერს ჰკითხეთ. მე ვის ვთვლი, ეგ მე ვიცი და მე მეცოდინება. შოუში არავინ არ არის დაძაბული. ყველას კარგი ურთიერთობა აქვს. არავის უგრძნია, რომ არ არის ცნობილი, ან ნაკლებად ცნობილია. მე შენზე ცნობილი ვარ - აქ არ იგრძნობა.

„მე შენზე ცნობილი ვარ“ - აქ არ იგრძნობა“

ქეთი ხატიაშვილი:

„ამ პროექტში მეც ხალხის სიმპათიის საფუძველზე მოვხვდი! 6 ათასამდე ხმა შევაგროვე“

მეცამეტე წყვილში შოუმ ხალხისგან ხალხის რჩეულივე აიყვანა. ეს ქეთი ხატიაშვილია, 24 წლის ტანმოვარჯიშე. ის 6 ათასმა ინტერნეტ მომხმარებელმა აირჩია.

16 წელია ტანვარჯიშზე დადიოდა. ტრავმის გამო თავი დაანება. სამაგიეროდ ახლა ცეკვაში იყენებს ტანვარჯიშის ნომრებს. მისი მეუღლე ჩოგბურთელი ლევან ვადაჭკორიაა, ჰყავს 2 წლის ქალიშვილი ანასტასია.

ქეთი ხატიაშვილი: „ცხოვრებაში ხშირად მხვდებოდა ნომერი 13, შეჯიბრებებზე ამ ნომრით გამოვდიოდი. ამ პროექტშიც გაამართლა. პირველ შოუზე ძალიან ვინერვიულე, მეორეზე დიდი ადრენალინი და სიამოვნება მივიღე. არ დავღლილვარ. ახლა ერთი სული მაქვს შემდეგი ხუთშაბათი მოვიდეს.

- უცნობი ხარ, შოუში ყველა ასე თუ ისე ცნობილი და პოპულარულია, ეს დისკომფორტს არ გიქმნის?

- ამასაც თავისებური ხიბლი აქვს. უცხო კი ვარ ყველასთვის, მაგრამ ყველამ თბილად მიმიღო. როგორც ერთი დიდი ოჯახი, ისე ვართ. სასიამოვნოა ის, რომ ამ სფეროში მოვხვდი.

- მათ საზოგადოების ფართო ნაწილი იცნობს, ამ მხრივ თავს დაჩაგრულივით არ გრძნობ?

- ამ პროექტში მეც ხალხის სიმპათიის საფუძველზე მოვხვდი! 6 ათასამდე ხმა შევაგროვე, არც ეს არის ცოტა. მგონია, რომ მაყურებელი ნაწილობრივ მიცნობს. ჩემი ცეკვით შევეცდები კიდევ მეტი გულშემატკივარი შევაგროვო.

- ხომ არ გიგრძნია, რომ ისინი ცნობილი სახეები არიან და შენ არა?

- ეს არანაირად არ მიგრძნია. მეხუმრებიან, „უძვლოს“ და „კევს“ მეძახიან. არაჩვეულებრივი პარტნიორი შემხვდა, ყველაზე ძლიერია და დიდი ძალა აქვს პროექტის მოცეკვავეებს შორის. კარგი და ლამაზი „პადძერჟკები“ გამოგვდის. მესიამოვნა, რომ ჩემგან მეტს ითხოვს ნიკა ცისკარიძე. მიხარია, რომ ამ შოუს ჟიურიში ზის.

ნინა წკრიალაშვილი: - ქეთიზე ვგიჟდები. მაგარი გოგოა და კარგად ცეკვავს. ნანაც მშვენიერია, არაჩვეულებრივად ცეკვავს და ჯიგარია. თაკო ლამაზია, 13-წლიანი გამოცდილება აქვს ცეკვაში და მისთვის ცეკვა ბევრად მარტივია, ვიდრე ჩემთვის. სხვები არ ვიცი, მაგრამ მე, არავარსკვლავებს უფრო უკეთ ვეწყობი, ვიდრე ვარსკვლავებს:). ეს ხუმრობით. მე ყველასთან ფანტასტიკური ურთიერთობა მაქვს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლადო ფოჩხუა „ქართული მელანქოლი

my View
დეა თავგერიძე

ეს არის ხელოვანი, რომელმაც ზუსტად იცის, რას აკეთებს და იმ ადამიანების ჯგუფს განეკუთვნება, რომელთაც შეიძლება „მცირერიცხოვანი“ ვუწოდოთ. - ასე ახასიათებს ამერიკაში მცხოვრებ ქართველ ხელოვანს, ლადო ფოჩხუას, ერთ-ერთი მეგობარი...

„როცა პირველი ჰუმანიტარული დახმარება მივიღე, ამერიკული სამხედრო ულუფა, ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული ლობიო და ხორცი, საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ აუცილებლად თავს დავაღწევდი იმ გასაჭირს, რომელშიც აღმოვჩნდი“

ეს სახელოსნო ერთგვარი კულტური ცენტრია იქ მყოფი ქართველებისთვის, მასთან იკრიბებიან, მსჯელობენ, ხატავენ, სწავლობენ, იმართება გამოფენები... ქართველი ხელოვანი ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტსა და კოლეჯში, ქართულ ხელოვნებაზე ლექციებს კითხულობს და ამერიკაში მცხოვრებ ხელოვანებს ქართველ მხატვრებსა და ქართულ კულტურას აცნობს.

ლადო ფუჩხუა: „ლექციებს ასევე ქართულ სოც-რეალიზმზე ვკითხულობ, რაც დღეს არავის აინტერესებს. გადააგდეს ეს ყველაფერი. არადა ათეული წლების მანძილზე ეს იყო ჩვენი ყოფის სტილი. კომუნიზმი და სოციალიზმი მეზიზღება, მაგრამ როგორც მხატვარს ეს ეპოქა მაინტერესებს“.

განწყობა საქართველოში

„განწყობა ცოტა უცნაურია, მგონი „მიჩტი ნი სავსემ ზბივაიუტსა“... თუმცა, სევდიანი არ არის. ისტერიულიც არ არის ერი, როგორც ერთი წლის წინათ იყო, მაშინ როცა ჩამოვედი, საქართველოში ისტერიის პიკი იყო. გახსოვთ, ალბათ, რაფალიანცის ბავშვის მკვლელობა. საწყალი ბავშვი შავი პიარისთვის რომ გამოიყენეს... ახლა ასე არ არის... ზოგიერთ სფეროში ოპტიმიზმი ძალიან იგრძნობა. ასე რომ, განწყობა ნორმალურია“.

საქართველო ამერიკიდან

„აქ როდესაც ცხოვრობ, მეგობრებში ხარ... იქიდან კი უფრო დაძაბულად ჩანს მდგომარეობა საქართველოში. იქ ფოკუსში ხედავ მხოლოდ ფაქტს და ფაქტი ძალიან მტკივნეულია. დიასპორა საერთოდ ყოველთვის ძალიან რადიკალურია“.

მონატრება

„მონატრება არ არის, ალბათ, იმის გამო, რომ ინტერნეტ ეპოქაში ვცხოვრობთ. ყველასთან მაქვს ურთიერთობა. მართალია ჩემს მეგობრებს რეალურად წელიწადში ერთხელ ვხედავ, მაგრამ „ფეისბუქში“ ყოველდღე მათთან ერთად ვარ და მათი ყოველი წვრილმანი ვიცი. იქ ვარ, მაგრამ აქაურობაში ჩართული“.

ვიზუალური დღიური

„ეს ვიზუალური დღიურია. კონცეპტუალურად უხდება არტისტერიუმს. ეს ჩემი ლტოლვილობის 11 წლის ფოტოებია გადაღებული, წყნეთის ცხოვრებაზე... ახლა არ ვცხოვრობ იმ ცხოვრებით და გაანალიზება შემიძლია, რა იყო, რა მომივიდა, სად ვიყავი და რატომ... ამ პროექტის არსებობას დიდწილად ჩემს მეხსიერებასა და იმ ვითარებებს ვუმადლი, რომელთა შეცვლაც არ შემეძლო“.

„რა იყო“

„23 წლის ბიჭი ძალიან უცნაურ სიტუაციაში აღმოვჩნდი. უდოკუმენტოდ, უსახლკაროდ... დავკარგე ყველაფერი - ოჯახი, მეგობრები, მშობლიური ქალაქი, სახლი, საბუთები... უკვე თბილისში შევიტყვე, რომ ახალ, მოუწყობელ და მშიერ ცხოვრებაში ლტოლვილი ვარ. აფხაზეთიდან ლტოლვილი. ანუ - არავინ. ნული. ადამიანი სოციალური ფუნქციის გარეშე. როცა პირველი ჰუმანიტარული დახმარება მივიღე, ამერიკული სამხედრო ულუფა, ვერცხლისფერ ქაღალდში გახვეული ლობიო და ხორცი, საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ თავს დავაღწევდი გასაჭირს, რომელშიც აღმოვჩნდი. ამისთვის წლები დამჭირდა. ამ გამოფენაზე გამოტანილი ფოტოსურათები ჩემი გზის ეტაპებია, რომელიც ლტოლვილის ცხოვრებიდან ადამიანურ ცხოვრებამდე გავიარე“.

„მახსოვს“!

„სოხუმი ულამაზესი ქალაქი იყო. ამინდიც ლამაზი იყო... ზღვაც...

ძალიან მიყვარდა როკ ენ როლი და მინდოდა გრძელი თმით სიარული, მაგრამ გრძელ თმებს ვერ ვატარებდი, ეს მაშინ სოხუმში მიუღებელი იყო...

მახსოვს, როდესაც 1981 წელს თბილისის „დინამომ“ ევროპის თასების მფლობელთა თასი მოიგო, აფხაზებსაც ძალიან უხაროდათ. მათ შორის თარბასაც და არგიბასაც. თოფებს ისროდნენ და ასე აღნიშნავდენ საქართველოს ამ გამარჯვებას. წლების შემდეგ კი იგივე თოფი მათ ქართველების წინააღმდეგ გამოიყენეს“...

„დავიწყე არაფრისგან“...

„სოხუმში რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული, თბილისში როცა აღმოვჩნდი, ერთი სიტყვა არ ვიცოდი ქართული. ეს ძალიან ცუდია. ჩემი რუსული სკოლა მშობლების შეცდომა იყო. თუმცა ჩამოვედი თუ არა, ჩემი ცხოვრებისა და კარიერის კონსტრუირება დავიწყე... არაფრისგან... ჩავაბარე აკადემიაში, ფეხით დავდიოდი წყნეთიდან“...

„ქართული მელანქოლიის ანატომია“

„ძალიან რთული და მძიმე იყო. თუმცა თავის დამკვიდრება მოვახერხე. ჯიუტი და ძლიერი ვარ. მოტივირებული. ინგლისურის შესწავლით დავიწყე. წყნეთში, სადღაც ვნახე ინგლისურის თვითშემსწავლელი უყდო წიგნი. მერე თავისუფლების მოედანზე ბუკინისტებთან ვიყიდე... რიჩარდ ბარტონის წიგნი. ეს იყო მე-17 საუკუნის „მელანქოლიის ანატომია“. სადაც ეს ფილოსოფოსი, მელანქოლიის ყველა ტიპს აღწერს. საკმაოდ უცნაური ტექსტი იყო. ამ წიგნით დავიწყე ინგლისურის სწავლა. ტექსტებს ვთარგმნიდი. ესეც კონცეპტუალურია და ამიტომ ჰქვია ამ გამოფენას „ქართული მელანქოლიის ანატომია“... ამერიკაშიც ხულიდან დავიწყე... როცა ნიუ-იორკში ჩავედი, 34 წლის ვიყავი. ამ ასაკში კარიერის გაკეთება ძალიან რთულია, მაგრამ შევძელი“.

„მაგრამ არა ამ წიგნში“

„წერაც ამერიკაში დავიწყე. მას შემდეგ 24 საათში ვიბეჭდები. მაქვს მოთხრობები, ესეები, ძალიან მინდა დავწერო წიგნი - ჩემს ცხოვრებაზე წყნეთსა და სოხუმში... ამერიკა საერთოდ იდეალური ადგილია, სადაც შეიძლება დაწერო შენს ცხოვრებაზე, იმდენად ხდება დისტანცირება... „სტარბაკში“ ზიხარ, უცნაური „ტუსოვკაა“ და წერ სოხუმზე... გაძლევს საშუალებას... იმდენად კონტრასია, რასაც წერ არ გიჭირს. ამერიკაზეც დავწერ, მაგრამ არა ამ წიგნში“.

რატომ არ უნდათ ამერიკიდან დაბრუნება

„საზოგადოებაში ხვდები. არის პირობები თამაშის. მდიდარია და საინტერესოა ცხოვრება. თავისუფლებაა უფრო... მე არ ვთვლი, რომ სამუდამოდ გავემგზავრე. 2 წლის წინ აქ სახლიც ვიყიდე. კახეთში... თოხლიაურში. ნელ-ნელა ვარემონტებ... სხვათა შორის ყველას უნდა დაბრუნება. სამწუხაროდ, ძალიან შორს არის და ამის გამო წელიწადში მხოლოდ ერთხელ მიწევს ხოლმე ჩამოსვლა“.

არტისტერიუმი

„არტისტერიუმი ძალიან მაგარია... საქართველოში მარტო მაგდა გურული თუ გაქაჩავდა ამას. ჩამოდიან, კონტაქტია, იდეების გაცვლა. ბევრი სიახლეა... მინდა, რომ საქართველოში სულ იყოს ახალი იდეების „ტრეფიკი“... მაგდა ამას აკეთებს“...

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ის ანატომიით“

„თოფებს ისროდნენ და ასე აღნიშნავდენენ საქართველოს ამ გამარჯვებას. წლების შემდეგ კი იგივე თოფი მათ ქართველების წინააღმდეგ გამოიყენეს“...

საუკუნის მწერალი და ბერობის სამი წელი

„იდექ მკვიდრად და ურყევლად შენი ერისა და სამშობლოსთვის ბრძოლაში“...

„უნდა გქონდეს შეგნება იმისა, რომ რაც თავს გადგას სწორი პასუხია შენს დამოკიდებულებაზე. ცხოვრების არსსა და მიზანზე“

my View
დეა თავგერიძე

„არა მგონია, ჩემი წარსულის მსგავსმა სხვა ადამიანმა სხვა გზა აირჩიოს. რაც ვარ ღმრთივ ვარ, რაც გამოვიარე მისი ნებით იყო, რაც მომელის ესეც მისი ნებით იქნება. მორწმუნე ვარ და არა ბრმად ამღიარებელი ღმერთისა“, - ეს უკვე ბერი დავითის სიტყვებია.

ზუსტად სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეპოქალური ნაწარმოების „დათა თუთაშხიას“ ავტორი ჭაბუა ამირეჯიბი ბერად აღიკვეცა. 2010 წლის 15 ოქტომბერს საუკუნის მწერალი ბერი დავითი გახდა. ბერად აღკვეცის შემდეგ შემოქმედებითი საქმიანობა არ შეუწყვეტია - მწერლობა ღმერთის ბოძებულიაო, - ამბობს. პატრიარქის კურთხევით ახალ წიგნზე დღესაც მუშაობს... პირველად თურმე 8 წლისამ დაწერა. ეს ლექსი იყო რომელსაც „შავო ზღვაო“ ერქვა. მწერალს, რომელიც თავისი ცხოვრების მანძილზე ბევრ ტკივილს შეჯახებია სულიერ გამარჯვებად ყოველგვარ სიბნელეთა ძლევა მიაჩნია.

მოძალადე იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი

მამა დაუხვრიტეს, დედა გადაუსახლეს, თავად კი რეპრესირებული მშობლებისა და ნათესავების გამო სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს და თბილისში დააბრუნეს. მებრძოლი სულის მქონე ამირეჯიბისთვის რთული იყო ბედს შეგუებოდა, ამიტომაც საბჭოთა რეჟიმის დაუმორჩილებელ მებრძოლად იქცა. მაგრამ მოძალადე იმპერიის წინააღმდეგ გალაშქრება ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა. თანამოაზრეებთან ერთად არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“ დააარსა... 1943 წელს შეიარაღებული აჯანყების მზადების ბრალდებით დააპატიმრეს და 25 წლის პატიმრობა მიუსაჯეს. პატიმრობა მალე დახვრეტით შეუცვალეს. სიკვდილმისჯილთა საკანში სამთვენახევარი გაატარა. ამის შემდეგ განაჩენი კვლავ 25 წლის პატიმრობით შეუცვალეს.

პატიმრობის მანძილზე ციხიდან სამჯერ გაიქცა. ამის გამო დახვრეტა მეორედაც მიუსაჯეს, თუმცა შემდგომ გადწყვეტილება კვლავ შეცვალეს და ახალი ვადა დაუმატეს. საერთო ჯამში, მას 83 წელი ჰქონდა მისჯილი. პატიმრობის დროს მონანილეობდა ყარაგანდისა და ტაიმირის პოლიტპატიმართა აჯანყებებში... პატიმრობის 16 წელი ყარაგანდის, კოლიმის, მორდოვეთის, ტაიმირის ნახევარკუნძულის, აღმოსავლეთ ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის ბანაკებში გაატარა. გადასახლებიდან 1959 წლის დეკემბერში დაბრუნდა...

ოჯახში არცთუ სახარბიელო ვითარება დახვდა: მამა ხომ 38-ში დაუხვრიტეს, დედას ათი წლის პატიმრობა მოუხდია სხვადასხვა ბანაკებში და დაბრუნებულა. მისი უმცროსი და, ნათია ამირეჯიბი დეიდებთან იზრდება. უფროსი და, როდამი მოსკოვში ცხოვრობდა...

ჭაბუა ამირეჯიბის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, დაიბადა თბილისში 1921 წლის 18 ნოემბერს. დედა – მარიამ მიხეილის ასული ნაკაშიძე, ქალთა უმაღლეს კურსებდამთავრებული პედაგოგი – პირდაპირი შთამომავალი იყო აფხაზეთის, სამეგრელოს და გურიის მთავრებისა: შერვაშიძეებისა, დადიანებისა, გურიელებისა და ასევე – მიქელაძეებისა და ნაკაშიძეებისა. მამა – ირაკლი გიორგის ძე ამირეჯიბი – ცნობილი ადვოკატი – ჩამომავალი ამირეჯიბებისა, მაღალაშვილებისა, ქარუმიძეებისა, ფავლენიშვილებისა, ჯოხთაბერიძეებისა.

„დათა თუთაშხიას“ ბეჭდვა 1972 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიწყო. მერე კი რომანი მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა. 1995 წელს გამოაქვეყნა რომანი „გორა მბორგალი“.

ექვსი შვილიდან ერთ-ერთი, ირაკლი ამირეჯიბი, აფხაზეთის ომს შეეწირა. თავისი სიკვდილით კი ჟურნალისტის სიცოცხლე იხსნა. წინ გადაეფარა და გადაარჩინა. ირაკლის გარდა ჭაბუა ამირეჯიბის სამივე ვაჟი იბრძოდა სამშობლოსთვის... სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. მწერლის ყველაზე დიდი სატკივარი ხომ დღესაც თავისი ქვეყანა და თავისი ხალხია. ამიტომაც მოუწოდებს ახალგაზრდებს: „იდექ მკვიდრად და ურყევლად შენი ერისა და სამშობლოსთვის ბრძოლაში“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N41 (239), ორშაბათი 14 ოქტომბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„მე არჩევნებში გამარჯვების რეალური იმედი მაქვს და ამიტომაც წაგებაზე არ ვფიქრობ“

„ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, მხოლოდ ჩემს ინაუგურაციაზე იმდენი ბიზნესმენი ჩამოვა, ამ ადამიანებიდან თუნდაც 10%-მა რომ ჩადოს ფული საქართველოში, ეს მთლიანად მოხსნის დასაქმების პრობლემას...

ISSN 1987-7404
9 771987 740005

ნინო ჭანიშვილი - ბრძოლა გამარჯვებისთვის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება